

ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების მოსალოდნელი შედეგები და ინდიკატორები

ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ.ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
35 02	სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა	2,041,000.0	2,041,000.0	0.0	2,250,000.0	2,350,000.0	2,500,000.0
35 03	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	656,161.0	656,161.0	0.0	685,000.0	720,000.0	730,000.0
35 01	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	86,674.0	52,546.0	34,128.0	59,700.0	53,200.0	52,900.0
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	31,293.0	31,293.0	0.0	35,000.0	35,000.0	35,000.0
27 04	ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალუნტური სამედიცინო მომსახურებით	14,301.0	14,301.0	0.0	17,300.0	17,300.0	17,300.0
29 03	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	12,000.0	8,000.0	4,000.0	14,000.0	14,000.0	14,000.0
54 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7,450.0	7,450.0	0.0	7,450.0	7,450.0	7,450.0
35 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	4,000.0	4,000.0	0.0	4,500.0	4,500.0	4,500.0
30 04	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	3,873.0	3,692.0	181.0	4,650.0	4,750.0	4,750.0
57 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	260.0	260.0	0.0	260.0	260.0	260.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		2,857,012.0	2,818,703.0	38,309.0	3,077,860.0	3,206,460.0	3,366,160.0

სოციალური დაცვა და საპენსიო უზრუნველყოფა (35 02)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში სიღარიბის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრა, სოციალური რისკების განეიტრალება და ღირსეული სიბერის უზრუნველყოფა ხანდაზმული მოქალაქეებისათვის; ეფექტიანი და ფინანსურად მდგრადი საპენსიო და სოციალური დახმარების სისტემის განვითარებით მოწყვლადი ჯგუფების საარსებოდ აუცილებელი ფულადი შემოსავლებით და სოციალური სერვისებით უზრუნველყოფა; საპენსიო სისტემის რეფორმის ფარგლებში დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული ღონისძიებების ხელშეწყობა; შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის ბავშვთა) პრევენციული, სარეაბილიტაციო და ალტერნატიული მომსახურებითა და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა. ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ და მიუსაფარ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ადეკვატური სერვისებით უზრუნველყოფილი და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით გაუმჯობესებული მიზნობრივი ჯგუფები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	უკიდურესი სიღატავის აღმოფხვრა/პრევენცია და მოწყვლადი ჯგუფებისთვის ალტერნატიული სერვისების რაოდენობის გაზრდა

საპენსიო უზრუნველყოფა (35 02 01)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცემა სახელმწიფო პენსიები ქალებისათვის 60 წლის, მამაკაცებისათვის - 65 წლის ასაკის მიღწევისას და სახელმწიფო კომპენსაციები სხვადასხვა კატეგორიებისათვის (სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთათვის, პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილი მუშაკებისათვის, უმაღლესი დიპლომატიური რანგის მქონე პირთათვის, მოსამართლეთათვის და სხვა); ქვეპროგრამის მიზანია კანონით განსაზღვრული პირების სახელმწიფო პენსიის და სახელმწიფო კომპენსაციების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, ბენეფიტის დანიშვნა და გაცემის ორგანიზება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>სახელმწიფო პენსიის ოდენობა შეადგენს საარსებო მინიმუმს. სახელმწიფო კომპენსაცია გაიცემა გადააწყარიშებული ოდენობით</p>
---	--

სოციალური დახმარებები (35 02 02)

პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ქვეყანაში სიღარიბის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრისა და სოციალური რისკების განეიტრალების მიზნით სხვადასხვა სოციალური გასაცემლის დაფინანსება, კერძოდ, სიღარიბის ზღვრის ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის საარსებო შემწეობების, დევნილთა, ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ფულადი დახმარებების, რეინტეგრაციის შემწეობის, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სოციალური დახმარებების გაცემა.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>სოციალური ტრანსფერების გაცემა და უკიდურესი სიღარიბის პირობებში მყოფი შინამეურნეობების ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესება.</p>
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გასაცემლებით</p>

სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (35 02 03)

პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>რეინტეგრირებული და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა; გონიერი და ფიზიკური დარღვევების მქონე ბავშვთა ადრეული დიაგნოსტიკა და მიტოვების პრევენცია; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია; ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია; ომის ვეტერანთა რეაბილიტაცია; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მ.შ. ბავშვთა) და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა დღის ცენტრების მომსახურებით უზრუნველყოფა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა სათემო ორგანიზაციების მომსახურებით უზრუნველყოფა; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა; ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობა; სხვადასხვა პრობლემების მქონე ორსულთა და დედათა თავშესაფრით უზრუნველყოფა 10 წლამდე ასაკის შვილებთან ერთად; მზრუნველობამოკლებული ბავშვების მიმღებ ოჯახებში განთავსების გზით ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფა და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში მომსახურება; მიუსაფარ ბავშვთა</p>

	სადღელამისო მომსახურების მიწოდება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულებისა და ოჯახის მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის უნარის გაძლიერება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	პროგრამის სამიზნე ჯგუფებისთვის შესაბამისი მომსახურებების სათანადოდ და დროულად მიწოდება, ალტერნატიული სერვისების განვითარება

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა (35 03)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო ; სსიპ - ლ. საყვარელიმის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა მეთოდით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება. „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა“ პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უზრუნველყოფა გეგმიური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული, გეგმიური ქირურგიული მომსახურებით, სტაციონარული, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიით და მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისებით; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიზნებიდან გამომდინარე, მოსახლეობის იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობის განხორციელება და ისეთი გადამდები დაავადებების, როგორიცაა მაღარია და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების, გავრცელების კონტროლის, სისხლისა და სისხლის პროდუქტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; სამედიცინო განათლების რეფორმის ფარგლებში დიპლომისმდგომი სამედიცინო განათლების პროცესის, შესაბამისი შეფასების სისტემების სრულყოფისა და პროფესიული რეგულირების დამატებითი მექანიზმების შემოღების მიზნით საჭირო ღონისძიებებისა და ასევე, უწყვეტი პროფესიული განვითარების ფორმალიზებული სისტემის ამოქმედებისათვის გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა; იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება; ინფექციური/გადამდები დაავადებების ინციდენტობის (ახალი შემთხვევების) შემცირება; ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გაზრდა; დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება (ათასწლეულის განვითარების მე-4 და მე-5 მიზნების მიღწევა); აივ-ინფექცია/შიდსისა და ტუბერკულოზის ინციდენტობისა და პრევალუნტობის შემცირება.

სამოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>სახელმწიფოს მიერ სამედიცინო მომსახურებებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა ; ტუბერკულოზის ინციდენტობა და პრევალენტობა; შიდსის გვიანი გამოვლენის მაჩვენებელი ; იმუნიზაციით მართვადი დაავადებების ინციდენტობა ; სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს ყელის კიბოთი პირველად აღრიცხულ პირთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც დიაგნოზის გამოვლენიდან ერთ წელიწადში გარდაიცვალა ; ჩვილ ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი</p>
---	---

მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (35 03 01)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	„მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“, ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობის უზრუნველყოფა გეგმიური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული, გეგმიური ქირურგიული მომსახურებით, სტაციონარული, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია და მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისები. დაიწყება ზოგიერთი ბენეფიციარის შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	სახელმწიფოს მიერ სამედიცინო მომსახურებებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (35 03 02)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო ; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	ჯანმრთელობის ხელშეწყობის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და დაავადებათა პროფილაქტიკისკენ მიმართული პროგრამების განხორციელების გზით, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება. პროგრამების განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობენ გადამდებ და ონკოლოგიურ დაავადებათა პრევენციას. მათი ადრეული გამოვლენა, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოების დაცულობის გაზრდას და მეორეს მხრივ, სახელმწიფო დანახარჯების ოპტიმიზაციას;

მოსახლეობის იმუნიზაცია, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, ასევე ისეთი გადამდები დაავადებების, როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ღონისძიებების განხორციელება საქართველოს მთელ მოსახლეობაში.

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გადამდები დაავადებებით დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება.	სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	დედიდან ბავშვზე აივ–ინფექცია/შიდსის გადაცემის თავიდან აცილება ; ტუბერკულოზით, აივ–ინფექცია/შიდსით და სხვა პრიორიტეტული დაავადებებით ავადობის შემცირება და ეპიდზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება (საქართველოში ათასწლეულის განვითარების მე-6 მიზნის მიღწევა) ; ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული სიკვდილიანობის თავიდან აცილება ; დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება ; იმუნიზაციის კომპონენტის ფარგლებში მოსახლეობის მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება (საქართველოში ათასწლეულის განვითარების მე-4 მიზნის მიღწევა)	

დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (35 03 02 01)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
	დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და გავრცელების პრევენციის უზრუნველყოფა და მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: <ul style="list-style-type: none"> • ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგი; • ბავშვთა ასაკის განვითარების შეფერხება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი; • ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა; • მოსახლეობის საგანმანათლებლო კამპანია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ონკოლოგიური დაავადებების გვიანი დიაგნოსტირების შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	ძუძუს და საშვილოსნოს ყელის კიბოს ახლად გამოვლენილ შემთხვევებში მე-4 და მე-3 სტადიაზე გამოვლენილი შემთხვევების წილის შემცირება 5%-ით გასული წლების მაჩვენებლებთან შედარებით

იმუნიზაცია (35 03 02 02)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	მოსახლეობის მართვადი ინფექციებისაგან დაცვა იმუნიზაციის გზით და მოსახლეობის უზრუნველყოფა ანტირაბიული ვაქცინით, იმუნოგლობულინითა და ანტირაბიული სამედიცინო დახმარებით;

	<p>იმუნიზაციის წარმოებისთვის საჭირო ვაქცინების და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შესყიდვა;</p> <p>სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების სტრატეგიული მარაგის შესყიდვა, შენახვა და გაცემა;</p> <p>მოსახლეობის ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა და შესაბამისი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა;</p> <p>ვაქცინების, შრატების და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) შენახვა და გაცემა-განაწილება „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან ადმინისტრაციულ ერთეულებამდე.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეყნის მოსახლეობის დაცვა მართვადი ინფექციებისაგან იმუნიზაციის გზით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	იმუნიზაციის გზით მართვადი ინფექციებით სიკვდილიანობის თავიდან აცილება ; იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელის რაოდენობა

ეპიდზედამხედველობის პროგრამა (35 03 02 03)				
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი			
	ქვეყანაში	ეპიდემიოლოგიური	უსაფრთხოების	გაუმჯობესება;
	ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში და მუნიციპალურ დონეზე სამედიცინო სტატისტიკური სისტემის მუშაობის			
პროექტის აღწერა და მიზანი	იმუნიზაციის წარმოებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვისა და რაიონულ დონეზე ლოჯისტიკის განხორციელება;			
	მაღარისა და სხვა პარაზიტული დაავადებების პროფილაქტიკისა და კონტროლის გაუმჯობესება;			
	გადამდებ დაავადებათა დროული გამოვლენების გაუმჯობესება ეპიდზედამხედველობისა და ლაბორატორიულ სამსახურებზე დაფუძნებული სისტემის გამართული მუშაობის გზით.			

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეყანაში გაუმჯობესებულია ინფექციური და პარაზიტული დაავადებების ეპიდზედამხედველობის სისტემა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	მაღარის შემთხვევების პრევენცია (ერადიკაცია)

უსაფრთხო სისხლი (35 03 02 04)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია და საქართველოს მასშტაბით სისხლის კომპონენტების თანაბარი სტანდარტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ფასიანი დონორობის ინსტიტუტის ეტაპობრივი ჩანაცვლება უანგარო, რეგულარული დონორობის სისტემით;</p> <p>დონორული სისხლის კვლევის მხარდაჭერა B და C ჰეპატიტებზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და სიფილისზე;</p> <p>ხარისხის გარე კონტროლის უზრუნველყოფა;</p> <p>უანგარო დონორების მხარდაჭერა და მოზიდვის კამპანია.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სისხლისა და სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება და ხელმისაწვდომობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	დონაციათა წლიური რაოდენობის ზრდა

პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (35 03 02 05)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა პროფესიით განპირობებული დაავადებების პრევენციით;</p> <p>შრომის პროცესში მოქმედი გარე ფაქტორების შესწავლა-შეფასება, სამიზნე ჯგუფებში პროფესიული ჯანმრთელობის</p>

	კვლევა და დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინფორმირება პროფესიული ჯანმრთელობის რისკებისა და მათგან დაცვის მეთოდების შესახებ.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	პროფესიულ დაავადებათა მონიტორინგის პროგრამაში ჩართული დაწესებულებების რაოდენობა

ინფექციური დაავადებების მართვა (35 03 02 06)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს მრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი ; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფთა ადეკვატური სტაციონარული სამედიცინო დამარტით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ინფექციური სწორულებებით დაავადებული მოსახლეობისთვის ადეკვატური სტაციონარული მომსახურების მიწოდება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა შორის სიკვდილიანობის მაჩვენებელი

ტუბერკულოზის მართვა (35 03 02 07)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ტუბერკულოზით ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირების უზრუნველსაყოფად, ტუბერკულოზზე აქტიური ეპიდზედამხედველობის განხორციელება და სასჯელადსრულების დაწესებულებებში ანტიტუბერკულოზური ღონისძიებების ხელშეწყობა. ტუბერკულოზის საკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვა, სენსიტიური და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა ინსენტივობა; ქვეპროგრამა უზრუნველყოფს: ტუბერკულოზის ყველა საეჭვო შემთხვევის გამოკვლევას, ტუბერკულოზით დაავადებულთა ამბულატორიულ მომსახურებას (ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით უზრუნველყოფა და მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ), ეროვნული რეფერალური ლაბორატორიის მიერ სტაციონარსა და ამბულატორიაში ბაქტერიოლოგიური დიაგნოსტიკის ხარისხის კონტროლის და რეზისტენტული ტუბერკულოზის

	<p>ლაბორატორიული მართვის უზრუნველყოფას, ტუბკაბინეტებსა და ტუბდისპანსერებში ზედამხედველობას (სუპერვიზია), უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ (DOTS სამსახური) მკურნალობას, ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარების ფარგლებში დიაგნოსტიკურ, თერაპიულ და ქირურგიულ მომსახურებას, მათ შორის, რეზისტენტული ფორმების მკურნალობას.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საჭირო გამოკვლებით, დიაგნოსტიკური საშუალებებითა და ხარისხიანი მედიკამენტებით უზრუნველყოფილი პაციენტები; ხანგრძლივგადაინ მკურნალობაზე პაციენტთა დამყოლობა ფულადი წახალისების გზით; ადეკვატური მკურნალობის უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	ტუბერკულოზის ინციდენტობა და პრევალენტობა

აივ ინფექცია/შიდსი (35 03 02 08)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო ; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	აივ-ინფექცია/შიდსზე მაღალი რისკის ჯგუფის პირთათვის კონსულტაციის გაწევა და კვლევა. აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა პალიატიური მოვლა, ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა, პირველი რიგის ანტირეტორივირუსული მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ბენეფიციარების მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში ჩართვა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	შემთხვევების ადრეული დიაგნოსტირების გაუმჯობესება და მკურნალობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით სრულად უზრუნველყოფილი დაავადებული პირები ; მაღალი რისკის ჯგუფებში აივ-ინფექცია/შიდსზე სკრინინგით გამოვლეულ პირთა რაოდენობა

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (35 03 02 09)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო ; სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება და სიკვდილიანობის შემცირება, ანტენატალური ზედამხედველობის, მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობის, გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენის, ორსულებში B ჰეპატიტის (სწრაფი/მარტივი და კონფირმაციული), ათაშანგის (სწრაფი/მარტივი და კონფირმაციული) და აივ-ინფექციის/შიდსის (სწრაფი/მარტივი) განსაზღვრისათვის მათი საჭირო ტესტებითა და სახარჯი მასალით უზრუნველყოფის, ჰიპოთირეოზზე, ფენილკარბონურიაზე,

	ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგის და ახალშობილთა სმენის სკრინინგის გზით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	დედათა სიკვდილიანობის შემცირება ; დედიდან ბავშვზე აივ-ინფექცია/შიდსის და ჰეპატიტის გადაცემის მაჩვენებლის შემცირება ; ორსულთა და მელოგინეთა სიკვდილიანობის შემცირება

ნარკომანია (35 03 02 10)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა (სტაციონარული დეტოქსივაცია) და პირველადი რეაბილიტაცია, ასევე მათი ჩამანაცვლებელი ნარკოტიკით უზრუნველყოფა და სამედიცინო მეთვალყურეობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ნარკომანიით დაავადებულ პირთა ადეკვატური მკურნალობითა და ჩამანაცვლებელი თერაპიით უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	მკურნალობის პროცესში ჩართული პაციენტების რაოდენობა

ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამა (35 03 02 11)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	თამბაქოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი საზოგადოებრივი ბრძოლის დასაწყებად და თამბაქოსაგან თავისუფალი გარემოს შესაქმნელად სამოქალაქო მობილიზაციის გაზრდა და მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება. მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ამაღლება თამბაქოს საკითხებზე, მათ შორის კანონმდებლობის ძირითად პრინციპებზე და თამბაქოს, როგორც ჯანმრთელობის ქცევით რისკ-ფაქტორზე; საინფორმაციო მედია-კამპანიის განხორციელება, თამბაქოს მოხმარების აკრძალვის/შეზღუდვის დანერგვისა და აღსრულების შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ტიპის დაწესებულებების მონიტორინგი, ტრენინგების ჩატარება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. მულტისექტორული თანამშრომლობის გამტკიცება თამბაქოსაგან თავისუფალი გარემოს მხარდასაჭერად.

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჯანსაღი კვების შესახებ განათლება და ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლება;ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა;ჰიპერტენზიის ადრეული გამოვლენისა და კონტროლის/მართვის ხელშეწყობა და მოსახლეობის განათლება;სკრინინგში მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა;ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია და გაძლიერება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	თამბაქოს მოხმარების შეწყვეტისათვის დახმარების გაუმჯობესება ; თამბაქოს შესახებ არსებული კანონმდებლობის აღსრულების ხელშეწყობა ; მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება თამბაქოს საკითხებზე, თამბაქოს მოხმარების კონტროლის რეგულაციების შესახებ და სამოქალაქო მობილიზაციის გაზრდა

მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (35 03 03)

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ; სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>არაგადამდები დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირება და მოსახლეობის დაცვა ამ დაავადებებით გამოწვეული ფინანსური რისკებისგან, მათთვის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებებზე (მათ შორის პირველადი სამედიცინო მომსახურებები სასწრაფო-გადაუდებელ შემთხვევებში) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.</p> <p>პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; • დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; • ბავშვთა ონკოპერატოროგიური მომსახურება; • თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; • ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; • იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; • სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; • რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; • სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებით;</p> <p>ინკურაბელური პაციენტები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;</p> <p>დიაბეტის მქონე პაციენტები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;</p>

	მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასწრაფო სამედიცინო დახმარებითა და ტრანსპორტირებით, ასევე ხელმისაწვდომია პირველადი/ამბულატორიული მომსახურება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	ქვეყნის მასშტაბით ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები 100%-ით უზრუნველყოფილნი არიან სპეციალიზებული სტაციონარული მომსახურებით ; ქვეყნის მასშტაბით სასწრაფო სამედიცინო დახმარებასა და ტრანსპორტირებაზე, ასევე პირველადი ჯანდაცვის მომსახურებებზე უზრუნველყოფილი 100%-იანი ხელმისაწვდომობა

ფსიქიკური ჯანმრთელობა (35 03 03 01)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობისათვის სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული დახმარების აღმოჩენა, მათ შორის:
	<ul style="list-style-type: none"> • ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული მომსახურება; • ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; • ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიკური სტაციონარული მომსახურება; • კრიზისული ინტერვენცია; • ფსიქოაქტიური ნივთიერებებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება; • სტაციონარში მყოფი პაციენტების ურგენტული მომსახურებით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	სტაციონარულ მკურნალობზე მყოფი პაციენტების რაოდენობა (მწვავე და ქრონიკული)

დიაბეტის მართვა (35 03 03 02)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	დიაბეტით დაავადებული ბავშვებისა და მოზრდილების ადეკვატური სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა, შესაძლო გართულებების პრევენცია და შემცირება;

	<p>დიაბეტით (მ.შ. უშაქრო დიაბეტით) დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილ ავადმყოფთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა და ბავშვთა საანალიზო–ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;</p> <p>დიაბეტით დაავადებულ პირთა სპეციალიზებული ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დიაბეტით გამოწვეული სპეციფიკური გართულებების შემცირება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა

ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურება (35 03 03 03)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	18 წლამდე ასაკის ონკოლოგიური პაციენტების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ონკოპემატოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარების გაუმჯობესება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა

დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (35 03 03 04)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო ; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პაციენტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით, კერძოდ, ჰემიდიალიზით, პერიტონეული დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციის ოპერაციით და შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პირების უზრუნველყოფა დიალიზით</p>
---	---

ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (35 03 03 05)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული და სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა, მათ შორის, აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებულთა პალიატიური სტაციონარული მზრუნველობა; ინკურაბელურ პაციენტთა ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტებით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ინკურაბელური პაციენტების უზრუნველყოფა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	პალიატიური სამსახურით მოცული ბენეფიციარების რაოდენობა

იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (35 03 03 06)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის პირთა სტაციონარული მომსახურება დაავადების სპეციფიკური გართულებების დროს, ასევე ჰემოფილიით დაავადებული ბავშვებისა და მოზრდილების ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პირთათვის სპეციფიკური მედიკამენტებისა და საკვები დანამატების შესყიდვა;</p> <p>ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა (ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატებისა და ანტიინჰიბიტორული პროთრომბინ-კომპლექსის შესყიდვა); ფენილკეტონურით დაავადებულ ბავშვთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფა; მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა (პანკრეასის ფერმენტების შესყიდვა); სომატოტროპული ჰორმონის დეფიციტის მქონე პაციენტებისათვის ჰორმონის შესყიდვა; ბრუტონის დაავადების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა.</p>

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უზრუნველყოფა ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა

სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (35 03 03 07)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო ; სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირების სერვისების მიწოდება მოსახლეობისათვის.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	გადაუდებელი მდგომარეობების დროს გართულებებისა და ლეტალური გამოსავლის შემცირება.;დროული, ეფექტური და უწყვეტი პირველადი სასწრაფო სამედიცინო დახმარება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ხარისხი ; გამოძახებათა რაოდენობა

სოფლის ექიმი (35 03 03 08)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სოფლად მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების (გარდა სახელმწიფოს მიერ დაზღვეული მოქალაქეებისა) უზრუნველყოფა პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით (ექიმთან ვიზიტი, ექიმის ვიზიტი ბინაზე, ლაბორატორიული გამოკვლევები, ექიმის მეთვალყურეობა და სხვა); სპეცდაფინანსების გათვალისწინება მაღალმთიან, სასაზღვრო და ოკუპირებული ტერიტორიების მოსაზღვრე რეგიონებში არსებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	პირველადი ჯანდაცვის/ამბულატორიული მომსახურების უტილიზაციის წილი ; ვიზიტების რაოდენობა სამიზნე პოპულაციაში
---	---

რეფერალური მომსახურება (35 03 03 09)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამედიცინო მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული შემთხვევების რაოდენობა

სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (35 03 03 10)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სამხედრო ძალებში გასაწვევ კონტინგენტს დაქვემდებარებული პირების ამბულატორიული და დამატებითი სტაციონარული გამოკვლევების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სამხედრო ძალების შევსება განხორციელდება ჯანმრთელი კონტინგენტით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	სამხედრო ძალებში გაწვეულთა ჯანმრთელი მდგომარეობა

დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (35 03 04)	
---	--

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროცესისა და შეფასების მექანიზმების სრულყოფისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების პროცესის გაუმჯობესება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	ექიმთა დიპლომისშემდგომი განათლებისა და პროფესიული კომპეტენციების შეფასების მაჩვენებელი

სამედიცინო მომსახურების შეუფერხებელი მიწოდების მიზნით, სამედიცინო დაწესებულებების ფინანსური ხელშეწყობის ღონისძიებები (35 03 05)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

ჯანმრთელობის დაზღვევა (35 03 06)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (35 01)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საზოგადოების სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა და ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, შრომის უფლების რეალიზაციის ღირსეული პირობების შექმნა; შრომის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია; სოციალური დამარტინირებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული) ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, დახმარების დანიშვნა და გაცემის ორგანიზება; უმუშევართა და ვაკანსიების აღრიცხვა, შესაბამისი საინფორმაციო ბანკის წარმოება და შრომის ბაზარზე საშუალო საქმიანობის წარმოება; შრომის უსაფრთხო და ჯანსაღ პირობებზე მეთვალყურეობა, სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევების პრევენცია, შესაბამისი ექსპერტიზა და საინფორმაციო ბანკის წარმოება; იბოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად/შვილობილად

	<p>აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და შვილად აყვანის მსურველთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკის წარმოება; სამედიცინო საქმიანობის ხარისხისა და სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კონტროლი; საზოგადოების გარკვეული ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველსაყოფად და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებებისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება, განხორციელების კონტროლი და შედეგების მონიტორინგი; ეპიდსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემუშავება და მათზე ზედამხედველობა; ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობის და ხანგრძლივი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სისტემის განვითარება; სასწრაფო სამედიცინო დახმარების კოორდინაცია.</p>
	<p>გეოგრაფიულად და ფინანსურად ხელმისაწვდომი ჯანმრთელობის დაცვის სერვისები;</p> <p>შრომასთან დაკავშირებული ტრავმების, ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელთა აღრიცხვიანობის მოწესრიგება და პრევენცია;</p> <p>ქვეყნის მასშტაბით სამუშაოს მაძიებელთა ბაზის ფორმირება და ვაკანსიების პროფილის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების შესახებ ზუსტი ინფორმაცია, შრომის ბაზარზე ეფექტურად განხორციელებული საშუალებელი საქმიანობა;</p> <p>ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;</p> <p>ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტისაგან დაცული ფარმაცევტული ბაზარი;</p> <p>შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულებისა და ოჯახის მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის გაუმჯობესებული ცხოვრების ხარისხი, საზოგადოებაში ინტეგრაციის გაძლიერებული უნარი;</p> <p>ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის შემცირებული შემთხვევები.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>ოჯახურ გარემოში ინტეგრირებულ ბავშვთა რაოდენობა ; ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენციათა რაოდენობა ; ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება ; ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის შემთხვევების რისკის სტატისტიკური მაჩვენებელი ; დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურებების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა ; სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ პირთა საცხოვრებელი პირობები ; ფალსიფიცირებული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტის რაოდენობის მაჩვენებელი ბაზარზე ; ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით მოცული სამედიცინო სერვისები ; ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით მოცული მოსახლეობის რაოდენობა</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (35 01 01)</p>

პროექტის განმახორციელებელი	<p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, განხორციელება და კოორდინაცია;</p> <p>ჯანდაცვის სფეროში წარმოებული საქმიანობის მართებულობის, რესურსების ეფექტიანად და ეკონომიურად გამოყენების, მართვის გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობა და რისკების ანალიზი;</p> <p>სამედიცინო მომსახურების წესების, პირობებისა და ნორმატივების შემუშავება, მათი შესრულების კონტროლი;</p> <p>ჯანმრთელობის მართვის საინფორმაციო სისტემების სრულყოფა და კოორდინაცია. თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება, პროგრამული უზრუნველყოფა და დანერგვა.</p>

სამედიცინო საქმიანობის რეგულირების პროგრამა (35 01 02)	
პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლი, სამკურნალო საშუალებების ხარისხზე, მიმოქცევასა და ფარმაცევტულ საქმიანობაზე ზედამხედველობა, ფარმაცევტული პროდუქტების წარმოების უზრუნველყოფა, სამედიცინო-სოციალურ ექსპერტიზაზე კონტროლი; ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების იმპორტზე და ექსპორტზე კონტროლი;</p> <p>საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის ორგანიზაციული სრულყოფა, სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაცემული არასწორი საექსპერტო დასკვნების გამოვლენა, რაც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე განსაზღვრული სოციალური გასაცემლების სწორად მიმართვას ბენეფიციარებზე;</p> <p>სამედიცინო პერსონალის სერტიფიცირების პროცესის უზრუნველყოფა, სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებებზე შესაბამისი ლიცენზიისა და ნებართვის გაცემა, ასევე შეტყობინებას დაქვემდებარებული სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სერვისის მიმწოდებელთა აღრიცხვა და საქმიანობის კონტროლი.</p>

დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვა (35 01 03)	
პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი</p>

პროექტის აღწერა და მიზანი	<p>საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგი და ანალიზი;</p> <p>ქვეყანაში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს მეცნიერულ კვლევებზე დაყრდნობით გადამდები და არაგადამდები დაავადებების და რისკების გამოვლენას, საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებას, სამედიცინო სტატისტიკის წარმოებას, დაავადებათა კონტროლსა და პრევენციას;</p> <p>ლაბორატორიული საქმიანობა, ეროვნული რეფერალური ლაბორატორიების ორგანიზება და ფუნქციონირება, განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან დაკავშირებული საქმიანობა, ეპიდემიოლოგიური სტანდარტების შემუშავება;</p> <p>იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელება.</p>
----------------------------------	---

სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მართვა (35 01 04)

პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია და განხორციელების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირებას, შესაბამისი საინფორმაციო ბაზების შემუშავებასა და კომპეტენციის ფარგლებში მართვას;</p> <p>სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული) დახმარების მიმღებ ბენეფიციართა დადგენა, აღრიცხვა, მათთვის დახმარების დანიშვნა და მისი გაცემის ორგანიზება;</p> <p>ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა შვილად/შვილობილად აყვანის, მეურვეობისა და მზრუნველობის პროცესის კოორდინაცია, გასაშვილებელ ბავშვთა და შვილად აყვანის მსურველთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა;</p> <p>მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესაბამისი სამედიცინო მომსახურების შესყიდვა და მათი განხორციელების მონიტორინგი.</p>

სახელმწიფო ზრუნვის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვა და დახმარების პროგრამა (35 01 05)

პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი</p>
-----------------------------------	---

<p>პროექტის აღწერა და მიზანი</p>	<p>ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის პრევენცია, ამ საკითხზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოსახლეობის ინფორმირება, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან შეხვედრების გამართვა;</p> <p>ადამიანით ვაჭრობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, მათი თავშესაფრით და სხვადასხვა სერვისით უზრუნველყოფა, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ბენეფიციარებისათვის კომპენსაციების გაცემა;</p> <p>შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, ხანდაზმულთათვის და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთათვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსამედიცინო რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა;</p> <p>სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი პირების ინსტიტუციონალური პატრონაჟი - მოვლა პატრონობა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, დღის და სადღელამისო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების განხორციელება.</p>
---	---

სამედიცინო მედიაციის პროგრამა (35 01 06)	
<p>პროექტის განმახორციელებელი</p>	<p>სსიპ - სამედიცინო მედიაციის სამსახური</p>
<p>პროექტის აღწერა და მიზანი</p>	<p>სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამების ფარგლებში დაზღვევის სუბიექტებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავის გადაწყვეტასთან დაკავშირებით მედიატორის როლის შესრულება, რომლის ფარგლებშიც მოხდება მზღვეველის, დაზღვეულისა და სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა კანონიერი ინტერესების დაცვა;</p> <p>ჯანმრთელობის დაზღვევის ურთიერთობებში მზღვეველთა და დაზღვეულთა უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p>

ნარკომანიისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის პროგრამა (35 01 07)	
<p>პროექტის განმახორციელებელი</p>	<p>სსიპ - ნარკომანიის და ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკისა და პროგრამების მართვის ცენტრი</p>
<p>პროექტის აღწერა და მიზანი</p>	<p>ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობის და ხანგრძლივი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სისტემის განვითარება.</p>

სასწრაფო სამედიცინო დახმარების მართვის პროგრამა (35 01 08)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	მოსახლეობისათვის პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა, რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში (გარდა თბილისისა);არსებული რესურსების სწორად გადანაწილების კოორდინირება;დროული, ეფექტური და უწყვეტი პირველადი სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა.

სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (35 04)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ხარისხიან სამედიცინო სერვისებზე გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაცია/აღჭურვა, ასევე ახალი სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა;ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის შენობის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის სამუშაოების თანადაფინანსება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს არსებული სერვისების ხარისხის გაუმჯობესებას.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	რეაბილიტირებული და სრულად აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები; ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ამბულატორიული და სტაციონარული სერვისების ხარისხის გაუმჯობესება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	რეაბილიტირებული და აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობა

ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით (27 04)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	სასჯელადსრულების სისტემაში ჯანმრთელობის დაცვის რეგულირება და ადმინისტრირება;ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურების განხორციელება პირველადი ჯანდაცვის დონეზე პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში, შემდგომ ჯანდაცვის დონეებზე, როგორც სასჯელადსრულების, ასევე სამოქალაქო ჯანდაცვის სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში;სასჯელადსრულების სისტემაში გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენცია, ეპიდემიოლოგიური კონტროლი და მეთვალყურეობა;პირველადი ჯანდაცვის რგოლის ფუნქციონირება და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიწოდება; ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება

	სასჯელაღსრულების სისტემასა და მის გარეთ; პენიტენციურ დაწესებულებებში აივ, ტუბერკულოზის და C ჰეპატიტის ინფექციების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის უზრუნველყოფა; მსჯავრდებულთათვის ფსიქიატრიული დახმარების, ხოლო წამალდამოკიდებულ პირთათვის მკურნალობისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა; მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებულ მსჯავრდებულთა სასჯელისაგან გათავისუფლება; სამედიცინო პერსონალის პროფესიული განვითარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	პენიტენციური სისტემაში პრევენციული ჯანდაცვის სერვისებზე 100%-ით ხელმისაწვდომობა ; ექვივალენტური სამედიცინო დახმარებით 100%-ით უზრუნველყოფილი, შესაბამისი საჭიროების მქონე ყველა ბენეფიციარი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პერსონალის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (29 03)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა და პენსიონერთა (საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან დათხოვნილი კომპენსაციის/ პენსიის მიმღები სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურე) და მათი ოჯახის წევრთა, ასევე დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთა და სამოქალაქო პირთა სათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევა;პაციენტთა ამბულატორიული, სტაციონალური მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია; პაციენტთა მკურნალობის შედეგების ანალიზი და მკურნალობის ხარისხისა და ეფექტურობის ამაღლების ღონისძიებების გატარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამხედრო-სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფის ეფექტური სისტემა;პროფილაქტიკური ღონისძიებებით ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური სტატუსის შენარჩუნება და განმტკიცება, ავადობის მაჩვენებლებისა და შრომისუუნარობის ხანგრძლივობის შემცირება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	1. მაღალხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურების, სამოქალაქო პირების, პენსიონერების (საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან დათხოვნილი კომპენსაციის/ პენსიის მიმღები სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე მოსამსახურე) და მათი ოჯახის წევრების რაოდენობა

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური (54 00)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური

პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სამსახურის ძირითადი მიზნებია:ა) ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლელი დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახების (შემდგომში ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების) სათანადო ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისათვის მყარი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა;ბ) სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და საზოგადოებაში მხედრული ტრადიციების განმტკიცება, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ვეტერანთა ღვაწლის და დამსახურების სათანადო აღიარება, მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება;გ) სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისათვის სათანადო პირობების შექმნა;დ) სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სახელების სადიდებლად და მათი საქმის უკვდავსაყოფად, საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა მიმართ საზოგადოებაში ხსოვნის განმტკიცებისათვის მუდმივი ზრუნვა;ე) ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ხელშეწყობა</p>

შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (35 05)

პროექტის განმახორციელებელი	<p>საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და შრომის პირობების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი;საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაოს მაძიებელთა მოთხოვნად პროფესიებში მომზადება-გადამზადების ღონისძიებების დაფინანსება, მათი დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესების მიზნით;შრომით ბაზართან დაკავშირებული მთლიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, ინფორმაციის შეფასება-ანალიზი, გავრცელება.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>დასაქმებულთა შრომის პირობების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა;შრომითი ბაზრის ინფორმაციის სისტემატიზაცია.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა ; მონიტორინგის შედეგად აღკვეთილი/გამოსწორებული დარღვევების რაოდენობა ; განხორციელებული მონიტორინგის რაოდენობა ; შრომითი ბაზრის ინფორმაციის სისტემატიზაცია</p>

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურეობით უზრუნველყოფა

(30 04)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	სამინისტროს მოსამსახურეთა, თადარიგში დათხოვნილ პირთა მათი ოჯახების წევრთა და სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მსმენელთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა; სამინისტროს თანამშრომელთა ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირება, დისპანსერიზაცია, სამკურნალწამლო საშუალებებით უზრუნველყოფა, სტაციონალური მკურნალობა, ავადობის მიზეზების შესწავლა, დაჭრილთა სამედიცინო რეაბილიტაცია, პენსიონერთა და უნარშეზღუდულთა სამედიცინო შემოწმება; დადგენილი წესით სამხედრო-საექიმო კომისიის ორგანიზება და ჩატარება. შესაძლო საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და ევაკუაციის ორგანიზება. სამედიცინო აპარატურის განახლება/შევსება. სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებათა უზრუნველყოფა. მედიცინის თანამედროვე მიღწევების გაცნობა და პრაქტიკაში დანერგვა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მიმაგრებული კონტიგენტის ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის ამაღლება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი მოსამსახურეთა რაოდენობა

ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი (57 00)

პროექტის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში მცხოვრები სოციალურად განსაკუთრებულად დაუცველი ან კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისათვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზაცია და პრიორიტეტულ სოციალურ საჭიროებებზე მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით; სოციალური და ჯანდაცვითი პროექტების დაფინანსება, მათ შორის, ერთჯერადი დახმარებების და ასევე, რეგულარული სოციალური შემწეობების/პროექტების დაგეგმვა/განხორციელება.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
29 01	შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება	606,304.0	606,304.0	0.0	629,800.0	671,800.0	701,800.0
30 01	საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	550,910.0	550,910.0	0.0	577,000.0	596,800.0	617,200.0
27 02	სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა	127,758.0	126,768.0	990.0	137,000.0	142,300.0	148,800.0
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	46,550.0	46,550.0	0.0	45,500.0	45,500.0	45,500.0
60 00	სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	36,000.0	36,000.0	0.0	110,000.0	110,000.0	110,000.0
26 02	გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა	34,500.0	34,500.0	0.0	35,000.0	35,000.0	35,000.0
29 05	სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	34,273.9	32,331.9	1,942.0	31,259.0	31,230.0	31,351.0
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	20,000.0	20,000.0	0.0	20,000.0	20,000.0	20,000.0
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	16,921.0	16,921.0	0.0	18,000.0	18,000.0	18,000.0
31 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	12,400.0	12,400.0	0.0	15,000.0	18,000.0	20,000.0
30 02	ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება	131,363.0	9,962.0	121,401.0	136,500.0	137,500.0	138,500.0
27 01	პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შეტუშავება და მართვა	8,440.0	8,440.0	0.0	9,000.0	9,000.0	9,000.0
59 01	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს პარატის ხარჯები	4,740.0	4,740.0	0.0	5,370.0	5,370.0	5,370.0
24 06	საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი	4,000.0	4,000.0	0.0	5,000.0	5,000.0	5,000.0

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
	ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში "გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა)						
03 01	საქართველოს ეროვნული უმიშროების საბჭოს აპრატი	2,000.0	2,000.0	0.0	2,000.0	2,000.0	2,000.0
29 04	კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა	1,644.0	1,644.0	0.0	2,000.0	2,000.0	2,000.0
26 07	დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები	1,315.0	1,315.0	0.0	1,500.0	1,700.0	1,700.0
30 05	სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	344.0	344.0	0.0	350.0	350.0	350.0
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	65,465.0	0.0	65,465.0	69,400.0	72,800.0	76,500.0
30 08	საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება	13,029.0	0.0	13,029.0	10,000.0	10,300.0	10,300.0
40 03	სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო	1,200.0	0.0	1,200.0	1,200.0	1,200.0	1,200.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		1,719,156.9	1,515,129.9	204,027.0	1,860,879.0	1,935,850.0	1,999,571.0

შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შენარჩუნება და ამაღლება (29 01)

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	არსებული უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე, საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის დაკისრებული ამოცანების ეფექტურად შესასრულებლად თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესება; კონცეპტუალური და დოქტრინული ბაზის განვითარება; ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერა; საყაზარმე, სამხედრო-სასწავლო დაწესებულებების და საინჟინრო-საფორტიფიკაციო და სააეროდრომე ინფრასტრუქტურის ზრდა და გაუმჯობესება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის დონის შენარჩუნება „ეროვნული სამხედრო სტრატეგიით“ განსაზღვრული სამხედრო მიზნების შესრულება, როგორიცაა: შეკავება და თავდაცვის უზრუნველყოფა, რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა, ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა საგანგებო მდგომარეობისა და ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	საერთაშორისო მისიებში ეფექტური მონაწილეობა; საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა; ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს ხელისუფლების ორგანოების სათანადო მხარდაჭერის უზრუნველყოფა

საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (30 01)	
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების დონის ამაღლებისათვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების სრული რეაბილიტაცია და ახალი შენობების მშენებლობა, მათი მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა და დაცვითი სისტემებით უზრუნველყოფა, სამინისტროს ავტომარკის მუდმივი განახლება, საგანგებო სიტუაციების მართვისათვის სასწავლო გეგმების განხორციელება, კავშირგაბმულობის საშუალებების ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, სასაზღვრო პოლიციის რეგიონალური სამართველოების, მათი განყოფილებების და სასაზღვრო-საემიგრაციო გამშვები პუნქტების მუდმივი და შეუფერხებელი კავშირის გაუმჯობესება, სასაზღვრო სექტორებამდე და სასაზღვრო საგუშაგოებამდე მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებებით მისვლის ხელშეწყობა, სასაზღვრო სივრცის მოდერნიზებული სწრაფმავალი კატარდებით კონტროლირება და სამშველო ოპერაციების წარმოება ავიაციის გამოყენებით. ასევე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების და წესრიგის უზრუნველყოფა, კომპიუტერული და სპეციალური ტექნიკის ეტაპობრივი ცვლა, ინოვაციური თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ქსელური უწყვეტი კავშირის უზრუნველყოფა, ოპერატორულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანათა შესარულებისათვის საინფორმაციო სისტემების შექმნა, სამინისტროს მოსამსახურეთათვის სადაზღვევო მომსახურების გაუმჯობესება და სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოება უწყებებს შორის შეთანხმებული მემორანდუმის შესაბამისად. საქართველოს პარტნიორი სახელმწიფოების ხელშეწყობით პირადი შემადგენლობის კვალიფიკაციის ამაღლება, მომზადება-გადამზადება. საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაციის გაცვლა, ერთობლივი ოპერაციების ჩატარება და

სხვა.საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის და სამართლებრივი ბაზის განვითარება;არალეგალ მიგრანტთა გამოვლენის პროგრამის დაწერგვა, რომლის დანიშნულებაა მიგრანტის შესახებ ყველა იმ ინფორმაციის შეგროვება და ასახვა პროგრამაში, რაც დაკავშირებულია ქვეყნის ტერიტორიაზე მათ ლეგალურ ყოფნასთან. სისტემა მოახდენს იმ პირის იდენტიფიცირებას, რომელსაც არ აქვს ქვეყანაში ლეგალურად ყოფნის საფუძველი. მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით, მიგრაციის სამსახური განახორციელებს უცხოელთა ქვეყანაში ყოფნის მონიტორინგს.არალეგალ მიგრანტთა განთავსების ცენტრის აღჭურვა შესაბამისი მატერიალურ/ტექნიკური ბაზით, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს;ადამიანის უფლებების დაცვისა და უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დაწერგვა, არაადამიანური მოპყრობის აღკვეთა და სისხლის სამართლებრივ საქმეებზე დაკავებული და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა. შესაბამისი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება.შესაბამისი პრევენციული სახის ღონისძიებების გატარება ნარკომანიასთან ბრძოლის კუთხით.ქვეყნის მასშტაბით ქრობ საფრთხეებისადმი ერთიანი მექანიზმის ჩამოყალიბების მიზნით, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქრობ) პროგრამის განხორციელება. ქრობ კუთხით არსებული მდგომარეობის მუდმივი შესწავლისა და შეფასების, ახალი საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების საფუძველზე, განხორციელდება სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პერიოდული განახლება.ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგის ფარგლებში აღებული ვალდებულებების თანახმად, საქართველოში ევროკავშირისა და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით ორგანიზებული დანაშაულის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩოს ჩამოყალიბება.ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით არსებული მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი, ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის 2013-2014 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული შსს-ს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და შესაბამისი ღონისძიებების გატარება.წინასწარი დაკავების საკნებში მოთავსებულთა რეგისტრაცია, სამედიცინო შემოწმება და რეგულარული მონიტორინგი წინასწარი დაკავების იზოლატორებზე.მოთავსებულთა ინფორმირება (საპროცესო უფლებების შესახებ), დაკავებულ პირთათვის საკვების მიწოდება და სანიტარული პირობების გაუმჯობესება.სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების დაწერგვა, არაადამიანური მოპყრობის აღკვეთა და დაკავებული და ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოს შექმნა.დანაშაულის პრევენციის კუთხით აქტიური თანამშრომლობა საზოგადოებასთან. საზოგადოებასთან ინტენსიური ურთიერთობების მექანიზმების შემუშავება და სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში საინფორმაციო კამპანიების ჩატარება დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში მოქალაქეთა თვითშეგნების ამაღებისა და ჩართულობისთვის.საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტროლირებადი სივრცის მაქსიმალურად გასაკონტროლებლად და კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა გამოსავლენად და აღსაკვეთად, სასაზღვრო სექტორებამდე და სასაზღვრო პოსტებამდე გზებისა და ხიდების მშენებლობა, შესაბამისი ქვედანაყოფების მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფა. სასაზღვრო სექტორებისათვის ახალი შენობების მშენებლობა, დასაცავი მონაკვეთებისათვის სათვალთვალო კოშკურების მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია, საგუშაგოებისა და პოსტების ელექტრიფიცირებით უზრუნველყოფა, კავშირგაბმულობის სისტემის მოდერნიზაცია და სახელმწიფო საზღვრის სრული პერიმეტრის დაფარვა სათანადო რადიოკავშირის საშუალებებით.სანაპირო დაცვის შესაძლებლობების შემდგომი განვითარება,

	<p>ახალი, უფრო ეფექტური მცურავი საშუალებებით აღჭურვა და არსებულის მოდერნიზება. რადიოტექნიკური დაკვირვების სისტემების და მცურავი საშუალებების მეშვეობით საქართველოს საზღვაო სივრცეში სამართლებრივი რეჟიმის დაცვის კონტროლი, სამართალდარღვევათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, საქართველოსა და უცხო ქვეყნის გემების საქმიანობის მონიტორინგი, ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ზღვაზე ძებნა-გადარჩენის ოპერაციების განხორციელება, ნავსადგურის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებათა კონტროლი, ზღვის მხრიდან სტრატეგიული ობიექტების დაცვა. სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთა ძებნისა და დევნის ეფექტურიანობის ამაღლების მიზნით კინოლოგიური სამსახურის განვითარება, ვოლიერებისა და სამძებრო ძალებისთვის სავარჯიშო ტერიტორიების მოწყობა; სამძებრო-სამაშველო ოპერაციების დღისით და ღამით, რთული მეტეოპირობების მიუხედავად სრულყოფილად ჩატარების მიზნით, სასაზღვრო ავიაციის საფრენი აპარატების და სანაპირო დაცვის სწრაფმავალი კატარღების თანამედროვე საკომუნიკაციო-სანავიგაციო და ღამის ხედვის ხელსაწყოებით აღჭურვა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დონის ამაღლება; ავტოსატრანსპორტო შემთხვევების მინიმუმამდე დაყვანა; უცხო ქვეყნების სპეციალისაბურების სადაზვერვო და სხვა კანონმსაწინააღმდეგო საქმიანობის დროულად გამოვლენა და თავიდან აცილება; სახელმწიფოსათვის მოსალოდნელი საფრთხეების პროგნოზირება და პრევენცია; ნარკოტიკული საშუალებების, კონტრაბანდული საქონლის, იარაღის, ასაფეთქებელი ნივთიერებებისა და მასობრივი განადგურების საშუალებების უკანონო იმპორტისა და ექსპორტის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა; ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული უწყებების კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობა; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთობლივად სააფთიაქო დაწესებულებების საქმიანობაზე ერთობლივი კონტროლისა და შემოწმების უზრუნველყოფა; ქარბ სფეროში შესაბამისი სტანდარტების შემუშავება, არსებული შესაძლებლობების განვითარება და საჭიროების შემთხვევაში, ახლის ჩამოყალიბება; რისკ ჯგუფების ორგანიზებულ დანაშაულში ჩართულობის პრევენცია; ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება; ორგანიზებული დანაშაულის, მასთან დაკავშირებული რისკებისა და საფრთხეების შესახებ ბიზნეს სექტორის ინფორმირებულობის გაზრდა; სამართალდამცავ სტრუქტურებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაღრმავება; ქალთა როლის გაძლიერება და წარმომადგენლობის გაზრდა პოლიციის სტრუქტურებში; სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა; ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვა; საზღვაო სივრცეში სამძებრო-სამაშველო ოპერაციების სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა; სამინისტროს მოსამსახურეთა სოციალური გარანტიების გაუმჯობესება; შსს-ს გაზრდილი შესაძლებლობები პიროვნებების დაბრუნების და რეადმისიის სფეროში (კონკრეტული ღონისძიებების, გაფორმებული შეთანხმებებისა და საიმპლემენტაციო ოქმების რაოდენობა); ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, მეზობელ და სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის შესახებ ინიცირებული და გაფორმებული შეთანხმებები; არალეგალ მიგრანტთა გამოვლენის, დაბრუნებისა და ქვეწიდან გაძევების პროცედურების გაუმჯობესება/ დახვეწა; დანაშაულის პრევენციის კუთხით საზოგადოებასთან ურთიერთობების სტრატეგიის შემუშავება; დროებითი მოთავსების იზოლატორების ინფრასტრუქტურის განვითარება და დაკვებულთა პირობების გაუმჯობესება.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>დანაშაულის პრევენციის კუთხით განხორციელებული საინფორმაციო კამპანიების რაოდენობა; წამების საწინააღმდეგო კომიტეტისა (CPT) და ევროკავშირისა და ევროსაბჭოს დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ მომზადებულ ანგარიშებში ასახული დადებითი შეფასებები; ქარბ თემატიკასთან დაკავშირებული პროექტების</p>

რაოდენობა და გაუმჯობესებული ქბრბ უსაფრთხოება ; მაქსიმალურად გაკონტროლებული საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კონტროლირებადი სივრცის 85% და გამოვლენილი არალეგალი მიგრანტების რაოდენობა, გაძვევებული და ნებაყოფლობით დაბრუნებული მიგრანტების სტატისტიკური მაჩვენებელი ; კანონსაწინაადმდევო ქმედებათა მინიმუმამდე შემცირებული ავტოსატრანსპორტო შემთხვევები (სტატისტიკური მაჩვენებლები)

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა (27 02)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო ; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება; ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა; სრულყოფილი პრობაციის სისტემის ჩამოყალიბება: - სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება; - სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერების ჩართულობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება და ბრალდებულ/მსჯავრდებულთა გაუმჯობესებული საცხოვრებელი და ყოფითი პირობები; რესოციალიზაციის მიზნით, ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების შემუშავება, პატიმართა მიერ განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, საწარმოო ზონების შექმნით მსჯავრდებულთა დასაქმების ხელშეწყობა; ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია და რეაბილიტაციის გზით სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებულთა საზოგადოებაში ინტეგრაცია, დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემცირებული ალბათობა; თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ფუნქციონირება; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბებისათვის შექმნილი ახალი და ჩატარებული სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოებით უზრუნველყოფილი პენიტენციური დაწესებულებები, საზოგადოებრივი მისაღებებისა და გრძელვადიანი პატენტებისათვის შექმნილი შესაფერისი ინფრასტრუქტურა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული პრობაციონერთა რაოდენობა ; საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფილი პატიმრების რაოდენობა

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (27 02 01)

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისა და მათი სამართლებრივი

	გარანტიების შენარჩუნების გზით; ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები ითვალისწინებს: ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის რბილი ინფორმაციისა და საჭიროების შემთხვევაში, შესაფერისი უნიფორმის შესყიდვას, ხარისხიანი კვებითი მომსახურების შენარჩუნებას, განათლების ხელმისაწვდომობას - პროფესიული/სახელობო/საგანმანათლებლო სწავლების პროგრამების განსაზღვრას და შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, მსჯავრდებულთა დასაქმებას, სამართლებრივი გარანტიების განმტკიცებას, პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებას, პატიმრობის ცნობიერების ამაღლებასა და სრული ინფორმაციულობის უზრუნველყოფას მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციული პროცედურების) შესახებ;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების ამუშავებით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მიერ განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა: საწარმოო ზონების ამოქმედებით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა; ინფორმაციულობის ზრდით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	ოზურგეთის რაიონში სოფელ ლაითურში ახალი თავისუფლება აღვეთის დაწესებულების მშენებლობის მთლიანი სამუშაოების შესრულებული 66%; ნორმატივებით განსაზღვრული რაციონისა და კალორიულობის დაცვით სამჯერადი კვების რეჟიმით უზრუნველყოფილ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა პროცენტული რაოდენობა - 100%; პროფესიული/სახელობო/საგანმანათლებლო სწავლების პროექტში ჩართული ბრალდებულ/მსჯავრდებულთა პროცენტული რაოდენობის 30%-ით ზრდა 2014 წლის მაჩვენებლთან შედარებით; დასაქმებულ ბრალდებულ/მსჯავრდებულთა პროცენტული რაოდენობის 30%-ით ზრდა 2014 წლის მაჩვენებლთან შედარებით; საწარმოო ზონის სამშენებლო სამუშაოების 100%-ის შესრულება

სრულყოფილი პრობაციის სისტემა (27 02 02)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერების ჩართულობა; სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება; დამატებით ერთი თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების მშენებლობის დაწყება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ფუნქციონირებით მსჯავრდებულების რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია, ასევე დაწესებულების ბაზაზე არსებულ საწარმოებში მათი დასაქმება; სხვადასხვა სახის პროფესიული გადამზადების კურსებით, თავისუფლება შეზღუდული პირების სამუშაო ბაზაზე კონკურენტულ კადრებად ჩამოყალიბების ხელშეწყობა; სარეაბილიტაციო პროგრამების განვითარებით პირობით მსჯავრდებულთა საზოგადოებაში უმტკივნეულო რეინტეგრაცია, ასევე ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე პრობაციონერთა ჩართულობა საჭირო პროგრამებში.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>აღსასრულებელ საქმეთა რაოდენობა თითოეულ ოფიცერზე - არაუმეტეს 150 საქმე ; თავისუფლების შეზღუდვის არსებული დაწესებულების სრული დატვირთვით ამოქმედება ; სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული პრობაციონერთა არანაკლებ 2%</p>
---	--

გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (26 02)

პროექტის განმახორციელებელი	<p>საქართველოს პროკურატურა</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, ეფექტური გამოძიების წარმოება და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება. გამოძიების ერთიანი მეთოდოლოგიის შექმნა და სისხლის სამართლებრივი დევნის ერთიანი მოქნილი სისტემის, ერთგვაროვანი პრაქტიკის დასამკავიდრებლად თითოეულ რაიონში არსებული კრიმინოგენური სპეციფიკის შესწავლის საფუძვლზე შესაბამისი გაიდლაინების შემუშავება. გამოძიებისა და სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებაზე კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება; საკანონმდებლო რეფორმისთვის წინადადებების შემუშავება სისხლის სამართლის კოდექსის ე.წ. მკვდარი მუხლების ამოქმედების და რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით; ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმის პროპორციული და ადეკვატური სანქციების სისტემის დანერგვა; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფა გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში. ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტური ვალდებულების დარღვევის გამომწვევი მიზეზების დადგენა და საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება; ოჯახური ძალადობის, წამების, არასათანადო მობყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნა; პროკურატურის თანამშრომელთა შერჩევის წესის გაუმჯობესება და კვალიფიკაციის ამაღლება. ტრენინგსაჭიროებების იდენტიფიცირების მდგრადი სისტემის შექმნა, აუცილებელი ტრენინგების დაგეგმვა და შესაბამისი მოდულების შემუშავება. პროკურატურის თანამშრომელთა სამუშაო უნარ-ჩვევებზე დაფუძნებული ობიექტური, ეფექტური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შეფასების სისტემის შექმნა; სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემისა და პროკურორთა საჭიროებებზე მორგებული ელექტრონული პროგრამების დახვეწა, ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამის შექმნა, პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის იმპლემენტაცია, პრობლემური საკითხების იდენტიფიცირების მიზნით კვლევების ინიცირება; პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით საზოგადოებაზე ორიენტირებული პროკურატურის კონცეფციის შემუშავება, მასმედიასთან ურთიერთობის ეფექტური მექანიზმების შექმნა, პროკურორებისა და ურნალისტებისათვის ცნობიერებისა და უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით ერთობლივი გასვლითი სემინარების ჩატარება, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად არსებული მექანიზმების სრულყოფა; მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დახვეწა; პროკურატურის როლის გაზრდა დანაშაულის პრევენციის პროცესში. ამ მიმართულებით სტრატეგიის და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება;</p>

პროექტის მოსალოდნელი სამოლოო შედეგი	დანაშაულებრივი ქმედების სიმძიმის პროპორციული და ადეკვატური საწყიერების სისტემის დანერგვა; მაღალკვალიფიციური პროკურორები და პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობა; ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით გაუმჯობესებული მდგომარეობა; დანაშაულის პრევენციის ახალი ღონისძიებები; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში გადამზადებული პროკურორები.
სამოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	არასრულწლოვნებთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციების რაოდენობა; საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მისაწიდებლად არსებული მექანიზმების სრულყოფის გზების ამსახველი დოკუმენტის შექმნა; მომზადებული კვლევების, ანალიზების, რეკომენდაციების, საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული წინადადებებისა და არსებული პრაქტიკის ამსახველი ანგარიშების, რაოდენობა; დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით განხორციელებული კვლევების რაოდენობა; სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დახვეწა, ხოლო ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამისა და პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის შექმნა და იმპლემენტაცია; საქართველოში კრიმინოგენური მდგომარეობის ამსახველი ანალიზების რაოდენობა; ადამიანის უფლებათა ეკრანული სასამართლოს გადაწყვეტილებების ანალიზის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციების რაოდენობა; ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის საფუძველზე მომზადებული ანალიზების რაოდენობა; არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე გადამზადებულ პროკურორთა რაოდენობა; პრევენციის ფონდის პროექტის მომზადება; ტრენინგსაჭიროებების იდენტიფიცირებისათვის შექმნილი დოკუმენტებისა და ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა; პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების სტანდარტის არსებობა; დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შექმნა; საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების რაოდენობა; მოწმისა და დაზარალებულის კორდინატორის სამსახურის აქტივობის შესახებ შექმნილი ანალიზების რაოდენობა; პროკურატურაში მიღების დადგენილი და კონკურსის გავლისა და თანამდებობაზე დანიშვნის გაწერილი კრიტერიუმები და სტანდარტები

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (29 05)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი; სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი; სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა; სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო - ტექნიკური ცენტრი დელტა; სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი; სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა - ტექნიკის ინსტიტუტი; სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოსა და მისი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის სამეცნიერო კვლევების განხორციელება; მანქანათმშენებლობის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებისათვის ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ორიგინალური კონსტრუქციების დამუშავება; სამრეწველო ფეთქებადი მასალების ექსპერტიზა, მათი გამოცდის მეთოდების სრულყოფისათვის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელება; საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო დანიშნულების ინფრასტრუქტურის შემთხვევითი და ტერორისტული აფეთქებებისაგან დაცვის ღონისძიებების შემუშავება; ტურისტული და სამხედრო დანიშნულების მსუბუქი საბაგირო გზების საპროექტო მასალის დამუშავება; ახალი მასალების, ნაკეთობების, მოწყობილობებისა და რთული ტექნიკური სისტემებისა და კომპლექსების შესაქმნელად პრიორიტეტული სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო

	<p>და ინოვაციური ტექნოლოგიური სამუშაოების განხორციელება; უპილოტო საფრენი აპარატების, სპეციალური დანიშნულების ავტომობილებისა და სამოქალაქო დანიშნულების პროდუქციის შექმნა (ჯავშანჯილეტებისა და ჩაფეუტების წარმოება და მოდერნიზაცია), მავი ზღვის სპეციფიკური კლიმატური პირობების მოქმედების არეალში როგორც ლითონთა და ლითონის ნაკეთობათა კოროზიულ პრობლემებთან დაკავშირებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განხორციელება, ისე არალითონური მასალების გამოცდა ხელოვნურად შექმნილ კლიმატურ პირობებში და კვების პროდუქტების შენახვის ხანგრძლივობისა და კლიმატური პარამეტრების განსაზღვრა; საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არსებული ტექნიკის აღდგენა და მის მოდერნიზაციაში მონაწილეობა; ვადაგასული, გამოუყენებელი საბრძოლო მასალების, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის დახარისხების, შეფასების, უტილიზაციის, ფეთქებადი ნივთიერებების გადამუშავების, ჰუმანიტარული განაღმვითი საქმიანობის განხორციელების ღონისძიებებში მონაწილეობა; მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის დარგებში ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ახალი მასალების დამუშავება; მიკრო-, ნანო- და ოპტოელექტრონიკის ნაკეთობების შესაქმნელად ნახევარგამტარული მასალების საფუძველზე უნიფიცირებული საბაზისო ტექნოლოგიის დამუშავება; ოპტიკური და ოპტოელექტრონული ხელსაწყოების შესწავლა, შექმნა და მოდერნიზაცია; ჰელიოენერგეტიკის განვითარების ხელშეწყობა; თანამედროვე მაღალტექნოლოგიური ნანოსითხეების შესწავლა, დამუშავება და შექმნა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობისა და ეკონომიკური უსაფრთხოების ღონის ამაღლება; საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო დანიშნულების ინფრასტრუქტურის შემთხვევითი და ტერიორისტული აფეთქებისაგან დაცვა; საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით ადგილობრივი სტანდარტებისა და მეთოდიკების შექმნა; ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება და ახალი კლასის მასალების მიღება; მზის ენერგიის ფოტოელექტრული გარდამქმნელების ეფექტური გამოყენება; მეცნიერული კვლევებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარება; სამოქალაქო პროდუქციის სპექტრისა და მოცულობის მნიშვნელოვანი გაზრდა; სამუშაო ადგილების შექმნა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	პუბლიკაციების, პატენტებისა და საექსპერტო დასკვნების რაოდენობა; საპილოტე და ექსპერიმენტული ნიმუშების, მათი ტესტირებისა და გამოცდის ოქმების რაოდენობა

სამოქალაქო უსაფრთხოების ღონის ამაღლება (30 06)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო უსაფრთხოების განხორციელების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების კოორდინაციისა და ორგანიზების სისტემის სრულყოფა და დახვეწა; საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების პრევენციის მზადყოფნა და ღონისძიებების განხორციელება/ ხელმძღვანელობა; სახანძრო უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და სახელმწიფო ზომების შემუშავება - რეალიზება, ხანძრების პროფილაქტიკისა და დასახლებების, ორგანიზაცია-დაწესებულებების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის ეფექტურობის ამაღლება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სამოქალაქო უსაფრთხოების მაღალი ღონე.

<p>საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>	<p>საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ოპერატიულობა და ხარისხი</p>
--	---

ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (23 03)					
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური				
პროექტის აღწერა და მიზანი	საფინანსო და ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს ხარისხის ამაღლება, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის დაცვა და სამსახურში მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება; საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების კუთხით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა; საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება გადასახადების თავის არიდების ფაქტების აღკვეთის მიზნით, ასევე პრევენციული ღონისძიებების გატარება შემდგომში დანაშაულის ჩადენის თავის არიდების მიზნით.				
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საგამოძიებო სამსახურის მართვის თანამედროვე პრინციპებზე გადაყვანა;				
	საფინანსო და ფისკალურ სფეროში დანაშაულის დონის შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა;				
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტიანი გარემოს შექმნა.				

ეროვნული საგანძურისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (30 02)					
პროექტის აღწერა და მიზანი	დიპლომატიური მისიების და მათი ხელმძღვანელების რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურისა და საპატრიარქოს ობიექტების დაცვა.				
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, საქართველოს საპატრიარქოსა და მნიშვნელოვანი ობიექტების უსაფრთხოების დაცვა.				
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	დიპლომატიური მისიების, რეზიდენციების, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფო ობიექტების, ეროვნული საგანძურის, საქართველოს საპატრიარქოსა და მნიშვნელოვანი ობიექტების უსაფრთხოების დაცვა				

პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა (27 01)

პროექტის გნმახორციელებელი	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საერთაშორისო სტანდარტების პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და მისი განხორციელების კოორდინაცია; ურთიერთობების კოორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან, თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება.

საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით წარმოდგენილი ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში "გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა) (24 06)

პროექტის გნმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ევროპის ერთიან საპარტნერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება; საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა კომპეტენციის ფარგლებში; ფრენების უსაფრთხოებისა და საავაიაციო უშიშროების დონის ამაღლება; აშშ-ს სამხედრო ავიაციის საპარტნერო წარმოდგენილი ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ხარისხის ამაღლება
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	საქართველოში ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლების თაობაზე დადებითი დასკვნის გამოტანა

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი (03 01)

პროექტის გნმახორციელებელი	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	<ul style="list-style-type: none"> სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის მიმართულებით სტრატეგიული გადაწყვეტილებების შემუშავება და მათ ფარგლებში ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის სიტუაციების მართვა უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე; სამხედრო ძალების რაოდენობის განსაზღვრა და პარლამენტისათვის წარდგენად. საინფორმაციო-ანალიტიკური საქმიანობის მიმართულებით ქვეყნის თავდაცვის, უშიშროებისა და სამხედრო აღმშენებლობის საკითხებზე აქტების მომზადება და ექსპერტიზა, საინფორმაციო

ანალიტიკური მასალების მომზადება და ამ მასალებით საქართველოს პრეზიდენტისა და უშიშროების საბჭოს წევრების უზრუნველყოფა; ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების სფეროში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საქმიანობის მიმართულებით საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს დასკვნებისა და გადაწყვეტილებების პროექტების მომზადება.

კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფა (29 04)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო
პროექტის აღწერა და მიზანი	კრიზისების დროს თავდაცვის სფეროში შემავალი კრიტიკული მნიშვნელობის მქონე ობიექტების შეუფერხებლად მუშაობის, ინფორმაციული სივრცის უსაფრთხოების, ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების პროგრამული და ტექნიკური დაცულობისა და ეფექტურად ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის ჩამოყალიბებას და მათი სრული რეაგირების ფუნქციონირება; თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების კიბერუსაფრთხოების საკითხებში ნატოს სწავლებებში მონაწილეობისათვის მუდმივ ხელშეწყობა და მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	თავდაცვის სისტემისა და კრიტიკული ობიექტების კიბერუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად კიბერსივრცეში არსებულ საფრთხეებზე, რისკებსა და ინციდენტებზე რეაგირებისათვის მუდმივი მზადყოფნა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	თავდაცვის სფეროში შემავალი კრიტიკული ობიექტების შეუფერხებელი მოქმედება ; 24/7 სწრაფი რეაგირების სამსახურის მიერ პრევენციული ზომების განხორციელება

დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები (26 07)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	დანაშაულის პირველი დონის პრევენციის ღონისძიებათა ბენეფიციარებზე მორგებული სხვადასხვა სახის ტრენინგების, სემინარების, დებატების, კონფერენციების ჩატარება, ანტიარკოტიკული, ტრეფიკინგის, ბულინგის წინააღმდეგ მიმართული აქტივობების, ბიზნეს მეწარმეობისა და სხვა მონათესავე სფეროების საფუძვლების შესწავლა და სამოქალაქო აქტივობის სხვა ღონისძიებების განხორციელება; პროექტის „ახალგაზრდული კლუბი“-ს ფარგლებში სხვადასხვა სახის კულტურული თუ სპორტული ღონისძიების, სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული ტრენინგებისა და საგანმანათლებლო სემინარების ჩატარება; დანაშაულის ჩადენის რისკ ჯგუფების საჭიროებების კვლევა, რისკ ჯგუფებთან მიკუთვნებულ არასრულწლოვანთა ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა და მათი ოჯახის წევრებთან მუშაობა, რისკ ჯგუფებთან მომუშავე სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის კოორდინირება და მეორე ღონის პრევენციის სტრატეგიის შემუშავება; ყოფილ პატიმართა საზოგადოების სრულფასოვან წევრებად დაბრუნების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება, ყოფილი პატიმრის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების

	<p>მოგვარება, მათი სოციალური უნარების ამაღლება და პროფესიული გადამზადება და დასაქმებაში ხელშეწყობა; სოციალური მუშაკების პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლება და ზოგადად ქვეყანაში სოციალური მუშაკის პროფესიის განვითარება; სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას განრიდებულ არასრულწლოვანთათვის ადექვატური სერვისების მოძიება და შესაბამის პროგრამებში ჩართვა, პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისთვის (პროკურორები, სოციალური მუშაკები, მედიატორები) სპეციალური ტრენინგების განხორციელება და განრიდების ინსტრუმენტების ეფექტურობის ამაღლება; მედიატორის საქმიანობის სტანდარტისა და ეთიკის კოდექსის შემუშავება, მედიატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა; კვლევისა და სერვისების განვითარების ხელშეწყობა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>პროგრამის სხვადასხვა მიმართულების ბენეფიციართა, მათ შორის, განრიდებული არასრულწლოვნების, ყოფილ პატიმართა რაოდენობრივი ზრდა; პროგრამის სხვადასხვა მიმართულებების განხორციელების გეოგრაფიული არეალის გაფართოება; ყოფილი პატიმრების დასაქმება და კერძო ბიზნეს ინიციატივების მხარდაჭერა; განრიდებულ ახალგაზრდებში განმეორებითი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილება; განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სამართლებრივი ბაზის სრულყოფა; მედიაციის გამოყენების სფეროების გაფართოება და მედიაციის სახეების დანერგვა; მედიატორების ეთიკის კოდექსის შექმნა და მედიატორის საქმიანობის სტანდარტის შემუშავება/დახვეწა; ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე მიმართული ქვეყნის მასშტაბით არსებული მომსახურებების ელექტრონული ბაზის განახლებასაგრანტო პროექტების ეფექტური მენეჯმენტის განხორციელება.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>განრიდების პროცენტული მაჩვენებლის 10%-ით გაზრდა იმ არასრულწლოვნებში, რომლებიც განრიდების კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ. პროგრამის ბენიფიციარების საერთო რაოდენობის 1000-მდე გაზრდა; პროექტი „ლიდერთა სახლის“ გავრცელება ქვეყნის არანაკლებ 14 რაიონში; წლის განმავლობაში სულ მცირე 120 ყოფილი პატიმრის დასაქმება; ორგანიზაციის ვებ-გვერდზე არსებული ერთიანი მომსახურების ბაზაში დამატებული ახალი მომსახურებები; წლის განმავლობაში, 25-მდე ბიზნეს იდეის დაფინანსება, რომელთა ფარგლებშიც ყოფილმა პატიმრებმა წამოიწყეს ან/და განავითარეს ბიზნესი; პროგრამის სხვადასხვა მიმართულებაში ყოველწლიურად 20 000-მდე მონაწილის მათ შორის, განრიდებული არასრულწლოვნების, ყოფილი პატიმრების ჩართულობა; პროექტი „ახალგაზრდული კლუბის“ გავრცელება ქვეყნის არანაკლებ 6 რაიონში; ყოფილი პატიმრების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოსაგარებლად სამედიცინო მომსახურებების მიწოდების ზრდა ყოველწლიურად 20%-ით; მედიატორების ეთიკის კოდექსისა და საქმიანობის სტანდარტების შესაბამისობა საერთაშორისო მოთხოვნებთან; რისკ ჯგუფებთან სამუშაოდ, 3 ახალი რეგიონული რესურს ცენტრის ფუნქციონირების დაწყება; წლის განმავლობაში განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნების მხრიდან რეციდივის არაუმეტეს 15%-იანი მაჩვენებლის შენარჩუნება</p>

სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (30 05)

პროექტის
განმახორციელებელი

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დაგროვებისა და მისი სწორად მართვის საკითხებში მეთოდოლოგიის შემუშავება და მარაგების შევსება. სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოება, უიმედო დებიტორული დავალიანებების ბალანსიდან მოხსნა და ჩამოწერა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შემუშავებული თანამედროვე მეთოდოლოგიის შესაბამისად დაგროვილი მარაგები და მათი მოვლა-პატრონობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების სრულყოფილად წარმოება

საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (30 08)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - 112
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>საქმიანობის სფეროში შემავალი საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევათა შესახებ შეტყობინებების მიღების, საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევათა შესახებ მიღებული შეტყობინებების დამუშავების და მათზე რეაგირებისათვის შესაბამისი სუბიექტებისათვის ინფორმაციის დროული მიწოდების, საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის სხვა შემთხვევათა მართვის შესახებ უფლებამოსილ სუბიექტებთან კოორდინირებული მუშაობის, საგანგებო სიტუაციებსა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევებზე რეაგირების განმახორციელებელი უფლებამოსილი სუბიექტების დანიშნულების ადგილას მისვლამდე თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეთათვის შესაბამისი კონსულტაციების გაწევის და აუცილებელი პირველადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და შესაბამისი ინოვაციების დანერგვა; საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევებზე ქცევისა და მოქმედების აუცილებელი წესების შესახებ საზოგადოების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება; საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევების შესახებ შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა შესაბამის დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობით; მომსახურების ხარისხისა და ოპერატორულობის ამაღლების მიზნით შესაბამისი ინფარსტრუქტურის შექმნა და არსებულის რეაბილიტაცია.</p>

სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (30 07)	
პროექტის აღწერა და მიზანი	იარაღის შემენის, შენახვის და ტარების, იარაღისა და საბრძოლო მასალის გადატანა-გადაზიდვის ან გადაგზავნის, იარაღის ცალკეული ეგზემპლარების საქართველოში შემოტანისა და საქართველოდან გატანის, ტირის, სასროლეთის ან/და სასროლო-სანადირო სტენდის გახსნის ნებართვების და იარაღის რეგისტრაციის, მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე გირავნობის, სატრანსპორტო საშუალებების, ნომრიანი აგრეგატებისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მათი მისაბმელების რეგისტრაციის (რეგისტრაციაში ცვლილებები) პრცედურების დახვეწა თანამედროვე

ტექნოლოგიების გამოყენებით;სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მინიჭებაში და შესაბამისი მოწმობების გაცემაში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ინოვაციების დანერგვა და აღნიშნულის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა;მომსახურების სააგენტოს ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია.

რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	577,080.0	577,080.0	0.0	645,600.0	686,200.0	740,100.0
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	220,348.0	214,281.0	6,067.0	254,000.0	284,000.0	314,000.0
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	129,600.0	129,600.0	0.0	109,000.0	109,000.0	130,100.0
36 03	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	55,000.0	55,000.0	0.0	96,400.0	0.0	0.0
36 01	ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა	36,350.0	35,900.0	450.0	36,450.0	46,450.0	51,450.0
36 02	ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია	23,400.0	23,400.0	0.0	0.0	0.0	0.0
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	18,000.0	18,000.0	0.0	12,700.0	13,000.0	13,200.0
25 01	რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	5,840.0	5,840.0	0.0	6,600.0	6,600.0	6,700.0
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	2,366.0	1,435.0	931.0	1,330.0	1,335.0	1,340.0
24 07	ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა- კომპენსაცია	40.0	40.0	0.0	0.0	0.0	0.0
24 11	სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	7,107.0	0.0	7,107.0	6,670.0	6,937.0	7,006.0
24 14	სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	4,096.0	0.0	4,096.0	3,950.0	4,000.0	4,100.0
24 13	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	3,940.0	0.0	3,940.0	3,000.0	3,000.0	3,000.0
24 12	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	3,344.0	0.0	3,344.0	4,000.0	4,500.0	5,000.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		1,086,511.0	1,060,576.0	25,935.0	1,179,700.0	1,165,022.0	1,275,996.0

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (25 02)

პროექტის განმახორციელებელი	<p>საავტომობილო გზების დეპარტამენტი</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველომ ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დერეფნის სტატუსი შეიძინა. ვინაიდან სატვირთო გადაზიდვების საკმაოდ დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საავტომობილო გზები. საავტომობილო გადაზიდვებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ განაპირობა არსებული გზების რეკონსტრუქციის, საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება და ზოგ შემთხვევაში უსაფრთხო, ცენტრალური ქალაქების გვერდის ავლით, ახალი საგზაო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა, რითაც გარკვეული ტერიტორიები გამოთავისუფლდება. ეს ტურიზმის განვითარების და ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობის საფუძველი იქნება.</p> <p>უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს საგზაო ქსელის საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში ინტეგრირება, ქვეყნის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, ავტოსატრანსპორტო დერეფნის განვითარება და საერთაშორისო სატრანზიტო კონკურენტუნარიანობის ზრდა, სახელმწიფოთაშორისო და რეგიონთაშორისო ავტოსაგზაო კავშირების გაუმჯობესება, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის გაზრდა, ინტენსიური ავტომობილიზაციის დონესთან საავტომობილო საგზაო ქსელის განვითარების ტემპების შესაბამისობა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>ქვეყნის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა და საქართველოს საგზაო ქსელის ჩართვა საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა; მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება; რაიონულ ცენტრებთან, ასევე ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან გამარტივებული დაკავშირება; გადაადგილებისათვის საჭირო დროის შემცირება.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>სატრანზიტო გადაზიდვების საერთაშორისო კოლიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობის გაზრდა; ავტოტრანსპორტის გადადგილების სიჩქარის გაზრდა, მგზავრობის დროის შემცირება, სატრანსპორტო დანახარჩების შემცირება; გზებზე ავტოტრანსპორტის და მგზავრთა შეუფერხებელი, უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება; ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის უზრუნველყოფა; საავტომობილო გზებზე ავტოტრანსპორტის ნაკადების, მათ შორის სატრანზიტო ავტომობილების ინტენსივობის გაზრდა</p>

საავტომობილო გზების პროგრამების მართვა (25 02 01)

პროექტის განმახორციელებელი	საავტომობილო გზების დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურული პროექტების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის ადმინისტრირება და მონიტორინგი.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შესაბამისი მიზნების მიღწევა
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	ქვეპროგრამის შუალედური შედეგები შეესაბამება პროგრამის ინდიკატორებს

გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (25 02 02)

პროექტის განმახორციელებელი	საავტომობილო გზების დეპარტამენტის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია; რაიონულ და საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან ასევე, მოსაზღვრე ქვეყნებთან მისასვლელი საავტომობილო გზების პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით სამუშაოების ჩატარება; საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო გადაზიდვების, მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზები, ასევე შეკეთდება და აღდგება ხიდები, რითაც მნიშვნელოვლად მოწესრიგდება რაიონულ ცენტრებთან, ასევე ისტორიულ ძეგლებთან და ტურისტულ ადგილებთან მისასვლელი გზები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	ქ. ქუთაისი (ნიკეას ქუჩა)– გეგუთის კვანძის მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის განხორციელებით უზრუნველყოფილი იქნება სატრანსპორტო ნაკადების უსაფრთხო გამტარიანობა ; 7000 კმ-დე საავტომობილო გზას ჩაუტარდება მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში ; პერიოდული შეკეთება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 120 კმ-დე საავტომობილო გზას ; რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია ჩაუტარდება 23 კმ-დე თიანეთი–ზარიძეები–უინვალის საავტომობილო გზას ; შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სტეფანწმინდა-სამების

ეკლესია საავტომობილო გზის კმ1-კმ6 მონაკვეთის რეკონსტრუქცია-მშენებლობით გაუმჯობესდება გზაზე ავტოტრანსპორტისა და მგზავრთა უსაფრთხო და შეუფერხებელი გადაადგილება, ამაღლდება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ხელი შეეწყობა ტურისტულ ინფრასტრუქტურის განვითარებას ; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოები ხელს შეუწყობს გზებისა და ხელოვნური ნაგებობების ცალკეული დაზიანებული მონაკვეთების დროულ აღდგენას, რითაც შეჩერებული იქნება მათი სრული დაზიანება და გზებზე მოძრაობის მოსალოდნელი შეფერხება

ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (25 02 03)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი ; საავტომობილო გზების დეპარტამენტი
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამა მოიცავს ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობის სამუშაოების ჩატარებას. აღნიშნული საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია-მშენებლობა გაზრდის სატრანსპორტო გადაზიდვების საერთაშორისო კოლიდორებში საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობას, უზრუნველყოფილი იქნება ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობა და უსაფრთხო მოძრაობა
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენილი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის (E-60 ავტომაგისტრალი) რეკონსტრუქცია-მოდერნიზაცია და განვითარება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	საქართველოს საგზაო ინფრასტრუქტურის კონკურენტუნარიანობა, ავტოტრანსპორტის ნაკადების გამტარუნარიანობა და უსაფრთხო მოძრაობა

რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (25 03)

პროექტის განმახორციელებელი	შპს თეთნულდი დეველოპერი ; შპს ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია ; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ; შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია ; შპს სახელმწიფო სამშენებლო კომპანია ; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა საბის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა, ასევე სახელმწიფო მნიშვნელობის (ადმინისტრაციული, სტრატეგიული, სამხედრო, პოლიციური და სხვა დანიშნულების) ობიექტების სამშენებლო სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. ნაპირდავითი სამუშაოების უზრუნველყოფა, ასევე სამინისტროს მმართველობაში არსებული საწარმოების საოპერაციო ხარჯებისა და შესაბამისი ფუნქციური დავალებების შესასრულებლად წარმოებული სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშეოების და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა. ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მიზნით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;

	<p>დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მოსამზადებლად პროეტებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება, საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება და ანალიზი;</p> <p>მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) ნაგავსაყრელების მოწყობა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადამუშავება და უტილიზაცია.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და თვითმართველ ერთეულებში რეგიონული განვითარება;</p> <p>მუნიციპალიტეტებში საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლება.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>მუნიციპალიტეტებში მოზიდული ინვესტიციების მოცულობა ; ახალი სამუშაო ადგილების უზრუნველყოფა ; ადგილობრი თვითმართველობებში რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურულა</p>

წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (25 04)

პროექტის განმახორციელებელი	<p>შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ ; სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ; საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის და ორგანიზაციების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყალი 24 საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა;</p> <p>საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია;</p> <p>მუნიციპალიტეტებში წყალსადენის სათავე ნაგებობების მოწყობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;</p> <p>ტურისტულ-დასასვენებელ ცენტრებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>საქართველოს რეგიონებში მაცხოვრებელი მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესება;</p> <p>მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემები;</p> <p>საქართველოში ტურიზმის სექტორის განვითარებას.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>რეაბილიტირებული საკანალიზაციო სისტემები ; დღე-ღამეში წყლის მიწოდების ხანგძლივობა</p>

სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (36 03)

პროექტის განმახორციელებელი	სს სახელმწიფო ელექტროსისტემა ; ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა რეაბილიტაცია, მეზობელ ქვეყნებთან არსებული ელექტროგადამცემი ხაზების რეაბილიტაცია და ახლის მშენებლობა. სისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისათვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სისტემის მდგრადობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ორი 8 კმ-იანი და ერთი 60 კმ სიგრძის 500 და 220 ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა ; ერთი ახალი 500/220 კვ ქვესადგურის მშენებლობა ; 1 ახალი 220/110 ქვესადგური „ხორგა“-ს მშენებლობა ; ორი 500 კვ ქვესადგურის რეაბილიტაცია. (ქვესადგური „ქანი“-ს რეაბილიტაცია და ქვესადგური „მარნეული“-ს რეაბილიტაცია, გაფართოება) ; ერთი ახალი 220 კვ ელექტროგადამცემი ორჯაჭვა ხაზის მშენებლობა

ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (36 01)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი ; სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ენერგეტიკის უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და მათი განხორციელების კოორდინაცია. საქართველოს ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. ელექტროენერგიის დამატებითი, ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების, ენერგიის შემცველი წყაროების უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარღის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. არსებული წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი, მოქმედი ინვესტორების საქმიანობის კოორდინაცია, აღნიშნულის ფარგლებში ნავთობისა და გაზის ოპერაციების მონიტორინგი, კომპანიების ყოველწლიური სამუშაო გეგმების და ბიუჯეტების განხილვა, შეთანხმება და შესრულების მონიტორინგი. ინვესტორებისაგან ყველა სახის ტექნიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება, სისტემატიზაცია, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების და ნავთობგაზროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის ერთიანი მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა. ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. შავი ზღვის შელფის საქართველოს ნაწილზე ნახშირწყალბადების რესურსების ათვისების მიზნით პოტენციური ინვესტორების მოძიება. საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (იმერეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, სამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) გაზის გარეშე არსებული სოფლების (დაახლოებით 113 სოფელი) გაზიფიცირება. ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი სოფლების

	მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება.ეკონომიკის სხვადასხვა დარღის განვითარება ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით.ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა.ხალი საბადოების გახსნა/ათვისება.საქართველოს ენერგოუსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ახალი ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობა ; ნავთობ/გაზპროდუქტების ეროვნული წარმოების განვითარება ; ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობა ; ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დონისე

ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის გატარება (36 01 01)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო ; ენერგეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ენერგეტიკის უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და მათი განხორციელების კოორდინაცია.საქართველოს ენერგეტიკის დარღი ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.ელექტროენერგიის დამატებითი, ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების, ენერგიის შემცველი წყაროების უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარღის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება.ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. არსებული წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი, მოქმედი ინვესტორების საქმიანობის კოორდინაცია, აღნიშნულის ფარგლებში ნავთობისა და გაზის ოპერაციების მონოტორინგი, კომპანიების ყოველწლიური სამუშაო გეგმების და ბიუჯეტების განხილვა, შეთანხმება და შესრულების მონიტორინგი.ინვესტორებისაგან ყველა სახის ტექნიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება, სისტემატიზაცია, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის ერთანი მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა.ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.შავი ზღვის შელფის საქართველოს ნაწილზე ნამშირწყალბადების რესურსების ათვისების მიზნით პოტენციური ინვესტორების მოძიება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება.ეკონომიკის სხვადასხვა დარღის განვითარება ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით.ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა.ხალი საბადოების გახსნა/ათვისება.საქართველოს ენერგოუსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.

	ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დაწერება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	ახალი ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობა ; ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობა ; ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დონე ; ნავთობ/გაზპრდუქტების ეროვნული წარმოების განვითარება

მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (36 01 02)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამა მოიცავს გაზიფიცირების მე-2 ეტაპის სამუშაოების დაწყებას, კერძოდ: საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (იმერეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, სამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) გაზის გარეშე არსებული სოფლების (დაახლოებით 113 სოფელი) გაზიფიცირებას.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	პროექტის რეალიზაციის შედეგად საქართველოში ძირითადად გადაწყვეტილ იქნება ბუნებრივი აირის გარეშე არსებული აღნიშნული რეგიონების სოფლების გაზიფიცირების საკითხი.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პროექტის რეალიზაციის შედეგად საქართველოში ძირითადად გადაწყვეტილ იქნება ბუნებრივი აირის გარეშე არსებული აღნიშნული რეგიონების სოფლების გაზიფიცირების საკითხი.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	113 სოფლის გაზიფიცირება ; ბუნებრივი აირის პოტენციური 32 904 ახალი აბონენტი
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	113 სოფლის გაზიფიცირება ; ბუნებრივი აირის პოტენციური 32 904 ახალი აბონენტი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (36 01 03)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	განხორციელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის

	პერიოდებში პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	პროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში სუბსიდირების მიმღები მოსახლეობის რაოდენობა

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (36 02)	
პროექტის განმახორციელებელი	შპს ენგურჰესი
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰესების (ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი) რეაბილიტაციას. კერძოდ: ვარდნილჰესების კასკადის რეაბილიტაცია.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ჰესების პიდროელექტროსადგურების (ენგურჰესი, ვარდნილჰესების კასკადის პირველი საფეხური) საპროექტო სიმბლავრეზე გაყვანა, ელექტროენერგიის საპროექტო პარამეტრზე გაყვანა, სადგურის საიმედოობის ამაღლება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ვარდნილჰესების კასკადის პირველი საფეხურის ნომინალურ პარამეტრებზე გაყვანა, ელექტროენერგიის წარმოების გაზრდა 600 მლნ. კვტ. სთ.მდე. სადგურის საიმედოობის ამაღლება. ენგურჰესის ნორმალური ფუნქციონირების ხელშეწყობა ; ენერგოსისტემის მდგრადი ფუნქციონირება

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (24 05)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
პროექტის აღწერა და მიზანი	ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა და ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაცია;შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე ქვეყნის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო სპორტული, კულტურული, მარკეტინგული და სხვა ღონისძიებების გარკვეული სარეკლამო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის რეკლამირებას არა მარტო ერთ კონკრეტულ ქვეყნაში, არამედ იმ ქვეყნების მოსახლეობაშიც, საიდანაც წარმოდგენილები იქნებან ღონისძიებებზე(საქართველოს ტურისტული პოტენციალის, არსებული ტურისტული პროდუქტების შესახებ ფართო მასებისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით სარეკლამო მასალების მომზადება (ბეჭდვითი, აუდიო და ვიდეო პროდუქცია, სასაჩუქრე აქსესუარები);შიდა და საერთაშორისო ტურისტისათვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის

	<p>სწრაფად და ეფექტურად მიწოდების მიზნით ბიზნეს-სივრცეში საძიებო სისტემის დახვეწა და პრიორიტეტულ ბაზრებზე ვებ-მარკეტინგის კამპანიის ჩატარება; სხვადასხვა ქვეყნების წამყვანი მასმედიის საშუალებებისა და მსხვილი ტურ-ოპერატორებისათვის პრეს და გაცნობითი ტურების ორგანიზება საქართველოს რეგიონებში; საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, პოზიციონირებისა და ტურისტული ნაკადის გაზრდის მიზნით საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობის მიღება, ასევე საქართველოს დღეების ორგანიზება ქვეყნისათვის პრიორიტეტულ ბაზრებზე (ქვეყნის ტურისტული სტენდი, სამზარეულოსა და ღვინის პოპულარიზაციის მიზნით ქართული კერძებისა და ღვინის დაგემოვნება, კულტურის წარმოჩენის მიზნით ცნობილი შემსრულებლების მონაწილეობით ღონისძიებების გამართვა); ტურისტული ინფრასტრუქტურის ახალი ერთეულების შექმნა და არსებულების განახლება, საინფორმაციო-საინტერპრეტაციო დაფების დამზადება და რეგიონებში განთავსება; საქართველოს ტურისტული პოტენციალის სრული შესწავლა და ინვენტარიზაცია, სტატისტიკური კვლევების ჩატარება და საერთაშორისო ბაზრების შესწავლა შესაბამისი მარკეტინგული კამპანიების დასაგეგმად, მსოფლიოში ტურიზმის სფეროში არსებული სტანდარტების დანერგვა და უცხოურ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთანამშრომლობის გაღრმავება.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>ქვეყნისა და ცალკეული რეგიონების დონეზე ტურიზმის განვითარების სწორი დაგეგმარება სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო მაგალითების გაზიარებით და მათთან მჭიდრო თანამშრომლობით; მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტის შექმნა, რაც განაპირობებს ქვეყნის კონკურენტულიანობისა და მის მიმართ ინტერესის გაზრდას; მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის და ტურისტების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; შიდა და საერთაშორისო ბაზარზე ქვეყნის ცნობადობის ამაღლება, საქართველოს ტურისტული პოტენციალით დაინტერესება და შესაბამისად ტურისტული ნაკადების მომატება; ტურიზმის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ქვეყნის და მისი ტურისტული პოტენციალის ცნობადობა; ქართველი და უცხოელი ტურისტების რაოდენობა</p>

რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (25 01)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება, დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის განვითარების მიზნით რეფორმების განხორციელება, მოქალაქეების მაქსიმალური გააქტიურება და უშაალო ჩართვა მართვის პროცესში, რეფორმის შედეგად თითოეულ დასახლებაში საზოგადოებრივი თვითმმართველობის შექმნა და კოორდინაცია;</p> <p>თვითმმართველი ერთეულების რაოდენობის გაზრდა და მათი ფუნქციური და მატერიალური გაძლიერება, სამხარეო მმართველობის დონეზე სამხარეო თვითმმართველობის ძირითადი კომპონენტების დანერგვა;</p> <p>თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ოპტიმიზაცია და გაძლიერება;</p> <p>სამხარეო ხელისუფლებაში თვითმმართველობის ელემენტების დამკვიდრება;</p> <p>სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმების შექმნა;</p>

რეფორმირების პროცესის სამართლებრივი, ტექნიკური და რესურსული უზრუნველყოფა; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მონიტორინგი; ტურიზმისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მონიტორინგი; საქართველოს მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა; საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია. თვითმართველ ერთეულებში (გარდა ქალაქ თბილისისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) ნაგავსაყრელების მოწყობისათვის საჭირო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; რეგიონებში სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის მონიტორინგი.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა და რეგიონული მმართველობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	კვალიფიციური კადრები ადგილობრივ თვითმმართველობებში ; მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა

ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (24 02)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირების დახვეწა, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოება DCFTA-ით გათვალისწინებული პერიოდის შესაბამისად (ევროპული ახალი და გლობალური მიდგომის 16 დირქტივასთან დაახლოება და ასევე, მათი იმპლემენტაცია); საქართველოში სამრეწველო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის შექმნის მიზნით, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ინსტიტუციური განვითარების გეგმის შემუშავება; ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზის შემუშავება და ასევე, სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება; სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებით განსაზღვრულ სამრეწველო პროდუქტებზე, ზედამხედველობის პროაქტიულ (გეგმიური) სისტემასთან ერთად რეაქტიული (ინსპექტირება რისკის შესახებ მიღებული ინფორმაციის საფუძველზე) სისტემის დანერგვა; განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისა და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენებაზე ნებართვების გაცემის ელექტრონული (ონლაინ) სისტემის დანერგვა;

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების მოთხოვნებთან;ბაზარზე უსაფრთხო პროდუქტის განთავსების ხელშეწყობა; ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება;სამრეწველო პროდუქტის ბაზარზე რეაქტიული და პროაქტიული ფორმით ზედამხედველობა;სანებართვო დოკუმენტაციის ანალიზისა და ნებართვების გაცემის დროს შემცირება;სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველ ობიექტებზე ავარიული/უბედური შემთხვევების სტატისტიკური მაჩვენებელი ; განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობისა და სამრეწველო დანიშნულების ფეთქებადი მასალების გამოყენების თაობაზე გაცემული ნებართვების რაოდენობა ; ევროდირექტივების შესაბამისი ქართული ტექნიკური რეგლამენტების რაოდენობა

ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა- კომპენსაცია (24 07)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით, მარაბდიდან კარწახის მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე მდებარე კერძო მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა და ამ პროცესთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა, შესასყიდი მიწის ნაკვეთების ტექნიკური და იურიდიული ბაზის მომზადება ნასყიდობის გარიგების გასაფორმებლად, საკუთრების უფლების რეგისტრაცია მყიდველზე, პრობლემური ნაკვეთების იურიდიული და ტექნიკური ბაზის გამართვა და ინდივიდუალური საკომპენსაციო შეთავაზების მომზადება თანდართული გრაფიკული მონაცემებით და რუკით.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გადაზიდული ტვირთების მოცულობისა და გადაყვანილი მგზავრების რიცხვის გაზრდა;ევროპიდან აზისა და უკუმიმართულებით, სარკინიგზო ტრანსპორტით, სატვირთო გადაზიდვების გამარტივებული პროცედურებით გადაზიდვების მრავალმხრივი შეთანხმებების გაფორმება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	მგზავრთნაკადების და ტვირთნაკადების რაოდენობა

სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (24 14)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	„საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საპარტო სივრცის შესახებ“ (ECAA) შეთანხმების გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების ქართულ საავიაციო კანონმდებლობაში ასახვა;საქართველოს საავიაციო დარგისათვის პრიორიტეტული რეგულაციებისა და დირექტივების განსაზღვრა, მათი დაწერგვის დროში გაწერა, სამართლებრივი ანალიზი და ამ მიზნით, შესაბამისი დასკვნებისა და წინადადებების

შემუშავება;ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) PART 145-ის, PART M-ის, PART 147-ის და PART 66-ის რეგლამენტების დაწევრვა;სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელება.

სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური (24 13)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	სამსახურის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით სანავიგაციო ნიშნებისა და მოწყობილობების ჩანაცვლება/მოდერნიზაცია;უსაფრთხო ნაოსნობის მხარდასაჭერად სანავიგაციო ქაღალდის და ელექტრონული რუქების ახალი სახეობებისა და მონაცემების განვითარება/ კორექტირება;სამსახურის საზღვაო სანავიგაციო მოწყობილობებისა და საშუალებების სამეთვალყურეო მონიტორინგული სისტემით უზრუნველყოფა;სანავიგაციო გაფრთხილებების გავრცელების არეალის გაზრდა;პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;ჰიდროგრაფიულ კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობის მიღება.

სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო (24 11)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება;პროექტ „TRACECA 2“-ის ფარგლებში საზღვაო უსაფრთხოებასა და უშიშროებაში სემინარებისა და ტრეინინგების განხორციელება;საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის VIMSAS (Voluntary IMO Audit Scheme) წებაყოფლობითი აუდიტის შედეგების მონიტორინგი და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;საპილოტე პროექტის „მსოფლიო საზღვაო სატრანსპორტო ინდუსტრიის ტრანსფორმაცია მხუთავი გაზების გამოყოფის შემცირებისავენ - ენერგო ეფექტურობის ამაღლების გზით (Transforming the Global Maritime Transport Industry towards a Low Carbon Future through Improved Energy)" განხორციელება;საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მიერ დაგეგმილ სემინარებსა და შეხვედრებში მონაწილეობის მიღება.

სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო (24 12)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტის მომზადება;ელექტრონული აღრიცხვის ბაზის სისტემის სრულყოფა;სააგენტოს სპეციალისტთა და მეწარმეთა (მენეჯერები/მდლოლები) გადამზადება;თანამედროვე სიმულატორების დაწევრვა;საერთაშორისო აქტივობების გაძლიერება;დარგის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების შემუშავება;სავიზო პროცედურების ხელშეწყობა;ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობა.

განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
32 02	ზოგადი განათლება	493,227.0	492,947.0	280.0	579,900.0	629,700.0	699,500.0
32 04	უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა	380,220.4	154,972.4	225,248.0	360,000.0	370,000.0	375,000.0
32 05	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	95,895.0	95,895.0	0.0	110,000.0	130,000.0	130,000.0
32 06	ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	48,900.0	48,900.0	0.0	80,000.0	85,000.0	85,000.0
32 03	პროფესიული განათლება	43,979.3	31,620.3	12,359.0	54,700.0	64,800.0	69,900.0
29 02	სამხედრო განათლების განვითარება	19,332.0	19,052.0	280.0	22,280.0	22,280.0	22,280.0
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	18,249.3	16,465.3	1,784.0	18,000.0	18,100.0	18,100.0
33 03	სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა	21,760.0	14,160.0	7,600.0	22,000.0	22,800.0	23,700.0
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	7,990.7	7,990.7	0.0	7,340.0	7,707.0	8,093.0
30 03	სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკულიციფიური კადრების მომზადება-გადამზადება და სასწავლო პროცესის ხელშეწყობა	7,492.0	6,742.0	750.0	13,450.0	8,750.0	8,650.0
61 00	სსიპ -განათლების საერთაშორისო ცენტრი	5,768.2	5,768.2	0.0	6,000.0	6,000.0	6,000.0
26 04	იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება	2,650.0	1,950.0	700.0	3,200.0	3,200.0	3,200.0
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება- გადამზადება	1,340.0	1,315.0	25.0	1,325.0	1,325.0	1,325.0
27 03	სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული	991.0	991.0	0.0	1,200.0	1,200.0	1,200.0

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
	განვითარება						
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1,169.0	869.0	300.0	1,400.0	1,500.0	1,600.0
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	450.0	450.0	0.0	500.0	500.0	550.0
28 02	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	395.0	385.0	10.0	410.0	415.0	415.0
64 00	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	8,047.0	0.0	8,047.0	7,000.0	7,200.0	7,400.0
24 10	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია	4,062.0	0.0	4,062.0	4,375.0	4,500.0	4,600.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		1,161,917.9	900,472.9	261,445.0	1,293,080.0	1,384,977.0	1,466,513.0

ზოგადი განათლება (32 02)

<p>პროექტის განმახორციელებელი</p>	<p>სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის აპარატი ; სსიპ – გამოცდების ეროვნული ცენტრის აპარატი ; სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის აპარატი ; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი ; სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური</p>
<p>პროექტის აღწერა და მიზანი</p>	<p>ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ინკლუზიური</p> <p>საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს, სრულად განმახორციელონ მათთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები;</p> <p>მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება და მათი ხელფასების ეტაპობრივი ზრდა.</p> <p>ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბება, სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და მართვა;</p>
<p>პროექტის აღწერა და მიზანი</p>	<p>საქართველოს საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლისათვის, ასევე კერძო სკოლების სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების მოსწავლე შვილებისათვის სასკოლო სახელმძღვანელოების</p> <p>უფასოდ ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა;</p> <p>საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება;</p> <p>საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა და დისციპლინის გაუმჯობესება.</p>
<p>პროექტის მოსალოდნებელი საბოლოო შედეგი</p>	<p>ყველა მოქალაქისათვის ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;</p> <p>ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის კურსდამთავრებულთა განათლების დონის ამაღლება.</p>
<p>საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>	<p>წლის განმავლობაში დაფინანსებული სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროექტების რაოდენობა ; თითოეულ ასაკობრივი ჯაუფში მოსწავლეთა არანაკლებ 85%-ის ზოგადი განათლების დონის შესაბამისობა საგანმანათლებლო სტანდარტებთან ; ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართულ მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი შესაბამისი ასაკის ბავშვების მთლიან რაოდენობასთან ; ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის კურსდამთავრებულთა რაოდენობა</p>

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (32 02 01)

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეთა რაოდენობის, სპეცილური საგანმამანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა რაოდენობის, მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის, სერტიფიცირებული მასწავლებლების, ადმინისტრაციული და სხვა ხარჯების გათვალისწინებით
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის უზრუნველყოფა შესაბამისი დაფინანსებით; მოსწავლეთათვის ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების უზრუნველყოფა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	საჯარო სკოლების 100% ფლობს მოსწავლეთათვის ხარისხიანი ზოგადი განათლების მისაწოდებლად საჭირო ფინანსურ რესურსს

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (32 02 02)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ხარისხის ამაღლება; სკოლაში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის განმსაზღვრელი მაღალი სტანდარტის დამკვიდრება, მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლება, მათთვის საგანმანათლებლო სიახლეების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ცოდნის ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებისადმი და მოთხოვნებისადმი გათანაბრება; ქართული ენის გაძლიერებული სწავლების პროცესის გაგრძელება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში; საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით უცხოური ენების სწავლების გაძლიერება;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მასწავლებელთა ეტაპობრივი პროფესიული განვითარება და კლავალიფიკაციის ხარისხის ამაღლება; სერთიფიცირებული ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება, რაც შესაძლებელს გახდის მათ ჩართვას, როგორც საქართველოს საგანმანათლებლო, ასევე სამუშაო სექტორში; მოსწავლეების გაუმჯობესებული უცხო ენების ცოდნის დონე;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	დატრენინგებული მასწავლებლების რაოდენობა; სახელმძღვანელოების და ტესტების მომზადება ელექტრონული სახით, მათი ჩაწერა კომპაქტ-დისკზე (500 ცალი) და დარიგება იმ უმაღლეს სწავლებლებსა და ცენტრებში,, სადაც ქართული ისწავლება როგორც უცხო ენა; ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მაღალი მომზადების

დონე სხვადასხვა გამოცდებსა თუ ოლიმპიადებში ; სერთიფიცირებული მასწავლებლების რაოდენობა ; საქართველოს საგანმანათლებლო და სამუშაო სექტორში ჩართული ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა

უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (32 02 03)

პროექტის განმანათლებელი	<p>სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური</p> <p>საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა უსაფრთხო გარემოს შექმნა;</p> <p>ყველა ბავშვისა და ახალგაზრდისათვის ზოგადი განათლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობების, ჯანსაღი და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფა;</p> <p>ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებისა და მათი ოჯახის წევრების კვალიფიციურ ფსიქო-სოციალურ მომსახურებით უზრუნველყოფა;</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>საჯარო სკოლებში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, მოსწავლეთათვის შესაბამისი გაკვეთილების, ექსკურსიებისა და გაფართოებული შეხვედრების ჩატარება მათი შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენის გზით;</p> <p>სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ძალადობის, მათ მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღების ტარების, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების/გამოყენების პრევენცია და აღმოფხვრა.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დარღვევების შემცირებული რაოდენობა, გაცდენილი გაკვეთილების შემცირებული რაოდენობა;</p> <p>მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და მათი ზოგადი განათლების ხელშეწყობა;</p> <p>საზოგადოებაში მანდატურის სამსახურის გაზრდილი ნდობა.</p>
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>საგანმანათლებლო დაწესებულებებში კონფლიქტების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემცირება ; საჯარო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებთაც გაეწიათ ფსიქო-სოციალური მომსახურება ; გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებლის გაუმჯობესება ; საჯარო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც ჩართული იყვნენ პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამით გათვალისწინებულ აქტივობებში</p>

წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (32 02 04)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ; სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარების, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სწავლებისა და თანაბრად კონკურენტულ გარემოში ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზების ხელშეწყობისა და საერთაშორისო დონეზე მათი წარმოჩენის მიზნით, სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადების ორგანიზება;წარჩინებული მოსწავლეების ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება; მოსწავლეთა ზოგადი განათლების განვითარებაზე ორიენტირებული განსაკუთრებით საინტერესო პროექტების დაფინანსება;
	სკოლებისათვის სხვადასხვა თემატური და კალენდარული დღისადმი მიძღვნილი კონკურსების გამოცხადება. წარჩინებული მოსწავლეების ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება;
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ფიზიკის, მათემატიკის, ინფორმატიკისა და ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადებში წარმატებით მონაწილე საქართველოს დაკომპლექტებული ნაკრები გუნდები; მოსწავლეების ამაღლებული მოტივაციის დონე.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	სასწავლო წლის ბოლოს წარჩინებულ მოსწავლეებზე გაცემული მედლების რაოდენობა ; წლის განმავლობაში დაფინანსებული სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროექტების რაოდენობა ; საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეების და ფულადი პრემიით დაჯილდოვებული მოსწავლეებისა და სკოლების რაოდენობა ; სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული კონკურსების რაოდენობა

განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა და ინკლუზიური განათლების განვითარება (32 02 05)						
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატი					
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა; ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შეფასება; საჯარო სკოლებისათვის დახმარებისა და კონსულტაციების გაწევა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობასთან დაკავშირებით; ინკლუზიური განათლების საკითხებში სპეციალური პედაგოგების გადამზადება;					
	საჯარო სკოლების მოსწავლეების, სტუდენტებისა და სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე, დევნილი, რეპატრირებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოზარდების ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა, აგრეთვე სათემო აქტივობების დაგეგმვისა და					

	განხორციელების გზით მათში საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის სურვილის გაღვიძება;
	სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ბენეფიციარების უზრუნველყოფა სრული სახელმწიფო სადღელამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა განვითარებაზე ზრუნვა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ინკლუზიური განათლების პროცესის განვითარება და მონიტორინგი; საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის გაუმჯობესებული პროცესი, კერძოდ, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სპეციალიზირებული ინვენტარი, ტექნიკა, განმავითარებელი თვალსაჩინოებები და სათამაშოებით აღჭურვილი რესურსოთახები;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შეფასებული სამასზე მეტი ბავშვის საგანმანათლებლო საჭიროება, ორასზე მეტი საჯარო სკოლის კონსულტაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობასთან დაკავშირებით; პროგრამაში ჩართულ მოზარდთა სოციალიზაცია და ინტეგრაცია; განათლების მიწოდებისა და ბავშვებზე ზრუნვის გაზრდილი ხარისხი სპეციალური პროფილის მქონე სკოლა - პანსიონებში, შეფასებული ყველა ჩასარიცხი ბავშვი, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში;

მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (32 02 06)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლეებისათვის და კერძო სკოლის სიდარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უფასო/ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების მიღება საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, ასევე კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარების რაოდენობა

საზაფხულო სკოლები (32 02 07)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენის სწავლა/სწავლების ხელშეწყობა; მომავალი ლიდერებისთვის ისეთი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, როგორიცაა საკუთარი თავის შეცნობა, მიზნისა და მთავარი ამოცანის ჩამოყალიბება, პრიორიტეტების გამოვლეთა და მასზე ფოკუსირება; არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების მოსწავლებისა და მასწავლებლებისათვის სახელმწიფო ენის სწავლებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ამაღლებული ცოდნის დონე, ახალი გამოცდილება და უცხოელი თანატოლების ცხოვრებისა და მათი ქვეყნის კულტურის გაცნობა; ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	საერთაშორისო სამეცნიერო საზაფხულო სკოლაში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა ; „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ აქტივობის მონაწილე 15 ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ; „ინგლისური ენის საზაფხულო სკოლა საქართველოში“ აქტივობაში მონაწილე მოსწავლის რაოდენობა, რომელთაც აიმაღლეს ცოდნის დონე ინგლისურ ენაში ; გაერთიანებულ სამეფოში ორკვირიან ინგლისური ენის საზაფხულო სკოლაში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც აიმაღლეს ცოდნის დონის ინგლისურ ენაში

ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (32 02 08)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	გალის რაიონისა და 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე ახალგორის რაიონის ფუნქციონირებადი სკოლების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარებით უზრუნველყოფა.

პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ოკუპირებულ რეგიონებში ფუნქციონირებადი სკოლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის პროგრამაში ჩართულობა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1000-ზე მეტი ბენეფიციარის ფინანსური დახმარება

ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (32 02 09)						
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო					
პროექტის აღწერა და მიზანი	სასჯელადსრულების დაწესებულებებში ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობა;	სასჯელადსრულების დეპარტამენტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებასა და ქალთა და არასრულწლოვანთა №5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულებაში არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;				
	პროფესიული განათლების კურსების მეშვეობით სასჯელის მოხდის პერიოდში ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების (როგორც სრულწლოვნები, ისე არასრულწლოვნები) სხვადასხვა პროფესიის დაუფლების ხელშეწყობა.					
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სასჯელადსრულების დაწესებულებებში მყოფ ყველა არასრულწლოვან მსჯავრდებულებს შესაძლებლობა სპეციფიურ გარემოში შესწავლილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ზოგადი განათლებისთვის აუცილებელი საგნები და მიიღებული შესაბამისი ატესტატი, მიღებული უფლება სწავლის გასაგრძელებლად განათლების სხვა					
	დასაქმების შესაძლებლობა სასჯელადსრულების პერიოდის დასრულების შემდგომ.					
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	პროფესიული განათლების კურსებში ჩართული ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რაოდენობა ; ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში ჩართული მსჯავრდებულების რაოდენობა ; საატესტატო გამოცდებზე მონაწილე მსჯავრდებულების რაოდენობა					

ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (32 02 10)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (32 02 11)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ქვეყანაში ჰერალდიკურის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის წარმართვა;</p> <p>თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სიმბოლიკის (დროშა, გერბი) შექმნის, მიღების, დამტკიცებისა და გამოყენების წესების სასწავლება-სემინარის მომზადება და ჩატარება;</p> <p>თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების სიმბოლიკის გამოფენის მომზადება და ჩატარება;</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	პოპულაროზაციის ხელშეწყობის ღონისძიებები

მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (28 02)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა უწყებებში საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება;სასწავლო ცენტრის სრულყოფა (თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი პროგრამების შემუშავება და არსებული პროგრამების დახვეწა);მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან;საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ბიბლიოთეკის გამდიდრება;სასწავლო ცენტრის დამოუკიდებელი ვებ-გვერდის შექმნა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო კურსების და საჯარო ლექციების მომზადება და ჩატარება;საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მომუშავე საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება.სასწავლო ცენტრის დამოუკიდებელი ვებ-გვერდი
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	სათანადო ლიტერატურით გამდიდრებული ბიბლიოთეკა ; მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები ; სასწავლო ცენტრის ამაღლებული ცნობადობა და ეფექტური მუშაობა ყველა მიმართულებით ; ტრენინგების, სემინარების და ლექციების შედეგად ამაღლებული კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების რაოდენობა ; სასწავლო ცენტრში წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია (24 10)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია
პროექტის აღწერა და მიზანი	საზღვაო-სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასაქმების მიზნით კვალიფიციური კადრების მომზადება;სტუდენტების მიერ არჩეული პროფესიისათვის საჭირო პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენის მიზნით, სასწავლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებით უზრუნველყოფა და ასევე, ისეთი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და უზრუნველყოფა, რომლებიც სტუდენტებში განავითარებენ მართვისა (ლიდერობისა) და კვლევისათვის აუცილებელ ანალიზის უნარ-ჩვევებს;მაღალი მორალური ღირსებების მქონე მოქალაქეების აღზრდის მიზნით, შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელიც დაფუძნებულია ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებზე, გარემომცველი ბუნებისადმი მზრუნველობის, ჰუმანიზმის, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი და გენდერული ტოლერანტობის პრინციპებზე,

სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“ (64 00)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“
პროექტის აღწერა და მიზანი	ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი უზრუნველყოფა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
24 01	ეკონომიკური და სექტორული (ტრანსპორტი, მშენებლობა) პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია	105,643.1	60,643.1	45,000.0	73,600.0	73,500.0	78,500.0
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	137,444.0	39,144.0	98,300.0	142,000.0	146,000.0	149,000.0
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	26,266.0	26,266.0	0.0	31,300.0	31,300.0	31,300.0
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	8,200.0	7,800.0	400.0	8,200.0	8,200.0	8,200.0
40 02	სახელმწიფო ობიექტების მოვლა- შენახვა	7,500.0	7,500.0	0.0	7,500.0	7,500.0	7,500.0
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	4,760.0	4,600.0	160.0	4,360.0	4,660.0	5,200.0
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	2,400.0	2,400.0	0.0	800.0	100.0	100.0
56 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2,150.0	2,150.0	0.0	2,150.0	2,150.0	2,150.0
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	1,900.0	1,900.0	0.0	2,000.0	2,000.0	2,000.0
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	1,900.0	1,900.0	0.0	2,500.0	2,600.0	2,700.0
49 02	ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა	1,170.0	1,170.0	0.0	1,300.0	1,300.0	1,300.0
49 01	საინვესტიციო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა	1,130.0	1,130.0	0.0	1,200.0	1,200.0	1,200.0
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	2,087.0	990.0	1,097.0	1,960.0	1,960.0	1,980.0
04 03	საქართველოს ეკონომიკური საბჭოს აპარატი	965.0	965.0	0.0	1,365.0	1,365.0	1,365.0
04 04	საგადასახადო ომბუდსმენის აპარატი	525.0	525.0	0.0	525.0	525.0	525.0
52 01	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	850.0	500.0	350.0	900.0	900.0	900.0

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
24 04	აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	540.0	260.0	280.0	500.0	500.0	500.0
23 06	სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო	5,500.0	0.0	5,500.0	5,500.0	5,500.0	5,500.0
62 00	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	4,199.0	0.0	4,199.0	4,200.0	4,200.0	4,200.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		315,129.1	159,843.1	155,286.0	291,860.0	295,460.0	304,120.0

ეკონომიკური და სექტორული (ტრანსპორტი, მშენებლობა) პოლიტიკა და მისი განხორციელების კოორდინაცია (24 01)

პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ; სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო ; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ; სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ; სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველყოფი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის საინვესტიციო კლიმატის პოპულარიზაცია და კვალიფიციური სექტორული კვლევების განხორციელება;მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;საგარეო სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურული გაუმჯობესება და ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება; საქართველოში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა;ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა და სატრანზიტო პოტენციალის განვითარებისა და მისი სრულად რეალიზების მიზნით, საქართველოს სატრანსპორტო პოლიტიკისა და სტრატეგიის განმსაზღვრელი დოკუმენტის შემუშავება, საავტომობილო მიმოსვლის განვითარება, რეგიონალური მწიშველობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, სამოქალაქო ავიაციის შემდგომი განვითარება ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლების გზით;სამშენებლო სექტორის შემდგომი განვითარება მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესების, ინვესტიციების მოზიდვის, სამშენებლო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდისა და მოსახლეობის ადგილებზე შენარჩუნების მიზნით;სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია და მონაცემთა ერთიანი სისტემების შექმნა, ასევე მათი მართვა-განკარგვა, მოვლა-შენახვა და ეტაპობრივი პრივატიზება ეკონომიკურ აქტივობაში სრულყოფილად ჩართვის მიზნით; სახელმწიფო საწარმოების ოპტიმიზაცია და თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპების დანერგვა საქმიანობის ეფექტურად წარმართვისა და საწარმოთა მომგებიანობის გაზრდის მიზნით;საწარმოების პროდუქტიულობის გაზრდისა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც ითვალისწინებს: დამწყები, არსებული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევას, კომპანიებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებას, ექსპორტის განვითარების ხელშეწყობასა და საქართველოს სექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაციას საერთაშორისო მედია საშუალებების მეშვეობით;ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) და ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა;ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბების მიზნით ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა;ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საფოსტო კავშირის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა (კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების კავშირგაბმულობის მდგრადი და დაცული საშუალებებით უზრუნველყოფა, ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების მართვისა და ელექტრონული კომერციის სისტემების შექმნა, ინფოკომუნიკაციების სფეროს განვითარება და საქართველოს საფოსტო კავშირის სფეროს რეფორმა);საპენსიო სისტემის რეფორმის ფარგლებში დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის საკანონმდებლო ბაზის შექმნა, დაგროვებითი საპენსიო სისტემის შესახებ საზოგადოების</p>

ინფორმირება, საგანმანათლებლო კამპანიის განხორციელება და სხვა.

ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (24 01 01)

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ეკონომიკური პროცესების ანალიზი, სექტორული კვლევების განხორციელება ქვეყნის ეკონომიკის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად;მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება;არსებული ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი და ახალი ტენდენციების გამოვლენა ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით; ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორების შესწავლა და დეტალური კვლევების განხორციელება;საინვესტიციო კლიმატის ამსახველი მასალების მომზადება, ბეჭდვა და მისი გაცნობა დაინტერესებული დელეგაციებისათვის ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ;საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის მიზნით, სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება; რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობებისა და რეჟიმების ანალიზი და მათი განვითარებისათვის რეკომენდაციების მომზადება; ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საგარეო ვაჭრობის შედეგების ანალიზი, ახალი საექსპორტო ბაზრებისა და პროდუქციის იდენტიფიკაცია, სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება;„მწვანე ბიზნეს“ შესაძლებლობების არეალის გამოვლენის, საქართველოში ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, 4 მირითად სექტორში (ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და საკვები პროდუქტები, „მწვანე პროდუქტების“ წარმოება, განახლებად ენერგიაზე დაფუძნებული წარმოება) განხორციელებული კვლევის შედეგების საფუძველზე შესაბამისი საპილოტე პროექტების განხორციელება და პროექტების ტექნიკურ-ეკონომიკური დახსასიათების მომზადება; მდგრად ეკონომიკურ განვითარებასთან, „მწვანე ეკონომიკასა“ და „მწვანე ბიზნესთან“ დაკავშირებულ საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საინფორმაციო ვებ პორტალის (www.greengeorgia.ge) მუდმივი განახლების, სემინარებისა და საჯარო ლექციების მეშვეობით;საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნების ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, სატრანზიტო გადაზიდვების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, ეროვნული სტრატეგიის განვითარება სატვირთო გადაზიდვებისა და ლოჯისტიკის მიმართულებით და საინვესტიციო პროგრამის შემუშავება მულტიმოდალური სატვირთო დერეფნების და მწვანე ლოჯისტიკის მიმართულებით; ადგილობრივი გადამზიდველების საერთაშორისო სატრანსპორტო ბაზარზე გამარტივებული პროცედურებით შესვლის ხელშეწყობისა და უვროპიდან აზიისა და უკუმიმართულებით სარკინიგზო ტრანსპორტით სატვირთო გადაზიდვების გამარტივებული პროცედურებით განხორციელების მიზნით, სხვადასხვა ქვეყანასთან საერთაშორისო შეთანხმებების გაფორმება;საქართველოს ევროპის ერთიან საპარტნერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების, ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლების მიზნით, საავიაციო სფეროში ევროკავშირის 45 ტექნიკური რეგლამენტისა და 11 დირექტივის იმპლემენტაცია და ასევე, სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოვლევა და პრევენციული ზომების გატარება უსაფრთხოების დონის გაუმჯობესების მიზნით;სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის ხელშეწყობა, სამშენებლო პროდუქციის წარმოების განვითარება და საქართველოში წარმოებული სამშენებლო</p>

	<p>პროდუქტის სამსალოდნებლი შუალედური შედეგი</p>
	<p>სტაბილური მაკროეკონომიკური გარემოს შენარჩუნება საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში; საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება;საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდა და ბაზრების დივერსიფიკაცია;არსებული სავაჭრო რეჟიმების განვითარება და ახალი სავაჭრო შეთანხმებების გაფორმება (მ.შ თავისუფალი ვაჭრობის);საქართველოს მიმართულებით გადაზიდული ტვირთების მოცულობისა და სამგზავრო გადაყვანების რაოდენობის გაზრდა;ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის ამაღლება და მულტიმოდალური გადაზიდვების განვითარება; სატრანზიპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; საქართველოს სატრანსპორტო სისტემის კონკურენტულარიანობის ამაღლება; საქართველოს საპარტნერო კანონმდებლობის მოყვანა ევროკავშირის სტანდარტებთან;საქართველოს აეროპორტებში მგზავრთნაკადის და ტვირთნაკადის გაზრდა;სამშენებლო ინდუსტრიის განვითარება და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესება;ევროპულ სამშენებლო ბაზართან ინტერგაცია;საგანგებო სიტუაციების დროს ელექტრონული კომუნიკაციების, საფოსტო კავშირის და მაუწყებლობის ქსელების უზრუნველყოფა, ფუნქციონირების და ინფორმაციული რესურსების დაცვა ეროვნულ დონეზე.</p>
	<p>შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>

სახელმწიფო ქონების მართვა (24 01 02)

პროექტის განმახორციელებელი	205005910 სსიპ -სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია და მონაცემთა ერთიანი სისტემების შექმნა; საწარმოს მართვისა და განკარგვის სწორი სტრატეგიის განსაზღვრა;სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობის ფუნქციის სრულყოფა;სახელმწიფო საწარმოების ოპტიმიზაცია და თანამედროვე მენეჯმენტის პრინციპების დანერგვა საქმიანობის ეფექტურად

	წარმართვისა და საწარმოთა მომგებიანობის გაზრდის მიზნით; საწარმოთა განკურძოების ხელშეწყობა ეკონომიკურ აქტივობაში სრულყოფილად ჩართვის მიზნით; გამჭირვალობისა და ანგარიშვალდებულების მაღალი სტანდარტის დანერვის ხელშეწყობა; ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობა და სერვისების ელექტრონიზაცია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოების ხარჯების შემცირება და მოგების გაზრდა; აქტივების ეფექტური მართვა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გამარტივებული პროცესი; საწარმოების ოპტიმიზაცია, მათი რენტაბელობის ამაღლება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	სახელმწიფო საკუთრებად აღრიცხული, კლასიფიცირებული და რეგისტრირებული ქონების რაოდენობა; პრივატიზებული ობიექტების რაოდენობა; სააგენტოს სერვისების რაოდენობა

მეწარმეობის განვითარება (24 01 03)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საწარმოების პროდუქტიულობის გაზრდისა და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც ითვალისწინებს: დამწყები, არსებული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევას სამეწარმეო უნარების ამაღლების მიზნით, კომპანიებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გამარტივებას, ექსპორტის განვითარების ხელშეწყობასა და საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაციას საერთაშორისო მედია საშუალებების მეშვეობით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	კომპანიების პერსონალის ცოდნის, უნარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლება; ბიზნესის განვითარება რეგიონებში; საწარმოების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდა; ახალი ბიზნესების შექმნის წახალისება; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა; ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისება; ექსპორტთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა; საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა; ახლად დარეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობა; საწარმოების და რეგიონებში ბიზნეს აქტივობის მაჩვენებელი; კომპანიების ბრუნვის მოცულობა; საერთაშორისო გამოფენებზე პროდუქციის წარდგენის შედეგად ექსპორტზე გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა

საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლა (24 01 04)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) და ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა; საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სიგნალის საქართველოს მთელს ტერიტორიაზე

	<p>გადამცემი DVB-T2-ის სტანდარტის მიწისზედა საეთერო-სამაუწყებლო ქსელის პროექტირება, მშენებლობა და ახლადაგებული ქსელის ინტეგრაციის სამუშაოების განხორციელება; 70 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის (საორიენტაციოდ 250 000 ოჯახი) ციფრული მაუწყებლობის ინდივიდუალური მიმღებების შექმნა და დამონტაჟება; მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისათვის საინფორმაციო კამპანიის წარმოება, ბუკლეტების და დამხმარე საინფორმაციო მასალების შედგენა, ტიპოგრაფიული ბეჭვდვა და მათი მოსახლეობაში გავრცელება.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მიწისზედა ციფრულ საეთერო მაუწყებლობაზე გადასვლა; სოციალურად დაუცველი ოჯახების საინფორმაციო ვაკუუმში მოქცევის საფრთხის აცილება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	მიწისზედა ციფრული საეთერო მაუწყებლობით უზრუნველყოფილი აბონენტების რიცხვი

საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (24 01 05)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყანაში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბების მიზნით, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა; ICT ტექნოპარკის შექმნა და მისი განვითარება, ქართველი მეცნიერების, მკვლევარების, სპეციალისტების, ინოვაციური ჯგუფების, სტუდენტებისა და მეწარმეების მიერ ინოვაციური პროდუქტებისა და ტექნოლოგიების შექმნისა და შემდგომ მათ დაწერვაში და ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში მონაწილეობის მიზნით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ინვესტიციების მოცულობის გაზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა

შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (23 02)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - შემოსავლების სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის და პროცედურების დახვეწის გაგრძელება, გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ელექტრონული მომსახურების განვითარება; საგადასახადო ადმინისტრირების შემდგომი გამარტივება, მათ შორის სრულყოფილი კონტროლის პროცედურების დაწერვის მიზნით საბაჟო გამშვები პუნქტების

	<p>პროცედურული სახელმძღვანელოების შემუშავება, ტვირთის გაფორმების დროისა და ხარჯების შემცირების მიზნით დეკლარირების პროცედურების გამარტივება და აქციზური მარკების მოძრაობისა და აღრიცხვის ახალი საინფორმაციო სისტემის შექმნა;მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საგადასახადო და საბაჟო კუთხით მომუშავე თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, ინფრასტრუქტურის განახლება;საგადასახადო საკითხებთან დაკავშირებული საინფორმაციო ბუკლეტების და ბროშურების სისტემატურად გამოცემა, საგადასახადო პოლიტიკაში დაგეგმილი რეფორმების შესახებ საზოგადოებისა და გადამხდელთა სისტემატური ინფორმირება და საჯაროობის ამაღლება;საგადასახადო დავების მექანიზმების დახვეწა და მედიაციის საბჭოს ფუნქციონირების გაუმჯობესება;საგადასახადო დავალიანებების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელება და ხარვეზების აღმოფხვრა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ძლიერი, ეფექტური და გადამხდელებზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	შემოსავლების ზრდა ; პროცედურების გამართივება, ელექტრონული მომსახურების განვითარება ; სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა

სახელმწიფო ფინანსების მართვა (23 01)

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სახელმწიფო პრიორიტეტების დაფინანსება, ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება და საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო დეფიციტის დაბალი მაჩვენებლის შენარჩუნება;მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების გაუმჯობესება, მეთოდოლოგიის დახვეწა და მისი არეალის გაფართოება, გრძელვადიანი პროგნოზირების გაუმჯობესება, მაკროეკონომიკური განვითარების სცენარების მოდელირების სრულყოფა, ფისკალური რისკების მართვის და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება;დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მოლაპარაკებების გაგრძელება, რათა შესაძლებელი იყოს სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად დამატებითი რესურსების მოზიდვა ქვეყნისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობებით;დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად სახელმწიფო საგარეო ვალის კონტროლის გაგრძელება, რათა მან შეინარჩუნოს ხელსაყრელი ფინანსური პარამეტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მდგრადობას როგორც საშუალოვადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდშიც;შემუშავდება სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი, დაიხვეწება სახელმწიფო ვალის შესახებ კანონმდებლობა, გაძლიერდება ვალის მართვის ანალიტიკური ნაწილი;შესაბამისი სისტემის შექმნა პირობითი ვალდებულებების აღრიცხვისა და მართვისათვის;საქართველოს ეროვნულ ბანკთან კონსულტაციების გათვალისწინებით გაგრძელდება სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება, რაც ხელს შეუწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას;საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და საგადასახადო კოდექსის სრულყოფა, რაც გულისხმობს საგადასახადო ტვირთის თანაბარ განაწილებას გადამხდელებს</p>

	<p>ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, რაც საჭიროების შემთხვევაში დეფიციტის საშინაო წყაროებით დაფინანსების საშუალებას მოგვცემს;</p> <p>სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თავისუფალი ფულადი სახსრების მართვის გაუმჯობესება;</p> <p>საბიუჯეტო პროცესისა და სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის გამჭირვალობის ზრდა;</p> <p>სახელმწიფო ბიუჯეტის ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება და ანგარიშების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან;</p> <p>ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებიდან გამომდინერე დამატებითი საგადასახადო შეღავათებით სარგებლობა.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შესაბამის სტრუქტურებსა და ორგანიზაციებში წარდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები ; საერთაშორისო სარეინტინგო კომპანიების შეფასებები ; ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების სტატისტიკური მაჩვენებლები ; ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების რაოდენობა

ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (23 04)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, განვითარება, მომსახურება, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა; საჯარო ფინანსების მართვის სისტემის შემდგომი განვითარება და საბიუჯეტო სისტემაში დაგეგმილი ცვლილებების IT მხარდაჭერა, მათ შორის ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget) და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის (eTreasury) მოდულების განახლებით, რაც დაკავშირებულია ყველა დონის ბიუჯეტისა და სსიპების ფინანსების მართვის ხაზინის ერთიან სისტემაში მოქცევასთან; ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა; ფინანსთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი IT პროდუქტების, ელექტრონული სერვისებისა და მომსახურების კვლევა და ანალიზი; პროგრამული უზრუნველყოფის ახალი სისტემების შექმნა, დანერგვა და მომსახურება; ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების ხელშეწყობა; ფინანსთა სამინისტროს, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების ვებ-გვერდების შექმნა; ელექტრონული მთავრობის კომპონენტების განვითარება და შესაბამისი სახელმწიფო სერვისების მიწოდება; ელექტრონული მმართველობის კომპონენტების განვითარება და შესაბამისი მუნიციპალური სერვისების მიწოდება; ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია.</p>

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) დაწერგვის შემდგომი პროცესის უზრუნველყოფა და გეგმის მიხედვით განვითარება; ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა; საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე აგებული ფინანსთა სამინისტროს სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია; ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემების და ზოგადად ინფორმაციული ტექნოლოგიების ყველა მომხმარებლის იდენტიფიცირება, მათი სხვადასხვა რესურსებზე წვდომის უფლებების განსაზღვრა, კონტროლი და მონიტორინგი, მომხმარებელთა სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისების გამოყენების ოპტიმიზაცია; ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სისტემებისა და ელექტრონული სერვისების, ვებ-პროდუქტებისა და ვებ-სერვისების, ელექტრონული მმართველობის კომპონენტების, სხვა ახალი ტექნიკური სისტემების შემუშავება, დანერგვა და განვითარება.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>რეალიზებული ინფორმაციულ-ანალიტიკური სისტემების და ვებ-პროდუქტების ფუნქციონალის შესაბამისობა ფინანსთა სამინისტროს სისტემის ან სხვა სამთავრობო უწყებების მოთხოვნების ფუნქციონალურ სპეციფიკაციასთან ; საინფორმაციო სისტემებში ხარვეზების რაოდენობის და ავარიული გაჩერებების აღმოფხვრის დროის ჯამური წლიური მაჩვენებელი ; ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) ახალი კომპონენტების დანერგვის, უკვე არსებული ქვესისტემების სრულყოფის ფაქტობრივი ვადების და რესურსების ხარჯვის შესაბამისობა დაგეგმილ ვადებთან ; : თანამშრომელთა პროფესიულ ტრენინგებში მონაწილეობის რაოდენობრივი მაჩვენებელი ; სამსახურის მიერ 2014 წლის შემუშავებული და დანერგილი ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზაზე სისტემების, ვებ-პროდუქტების, ელექტრონული სერვისების, სხვა ტიპის ტექნიკური სისტემების ზოგადი მაჩვენებლები, სამსახურში მოქმედი ცხელი ხაზის 511-1551 საქმიანობის ამსახველი წლიური სტატისტიკური მაჩვენებლები</p>

სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (47 01)

პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სტატისტიკური საქმიანობისას გამოსაყენებელი სტატისტიკური სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შემუშავება; სტატისტიკური სამუშაოების პროგრამების შემუშავება;</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სტატისტიკური კვლევების მართვის და განხორციელების მიზნით საჭირო საკადრო და ადმინისტრაციული რესურსებით უზრუნველყოფა;</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>აღებული ვალდებულებებისა და ფუნქციების შესრულება, სტატისტიკური კვლევების განხორციელებება და მისი შედეგების ოფიციალური სტატისტიკის წარმოება და ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის სტრატეგიის და პრიორიტეტების</p>

	განხორციელება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და სანდოობა ; საერთაშორისო ინსტიტუტების შეფასება

მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (47 03)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკომიტეტის კომისიის 2013 წლის 2 აპრილს დამტკიცებული, საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამისა და სამოქმედო გეგმისა შესაბამისად განხორციელდება საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემთა კომპიუტერული დამუშავება და პირველადი შედეგების გამოქვეყნება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მოსახლეობის რიცხოვნობისა და მათი სოციალურ კონომიკური მდგომარეობის დადგენა; ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების და საზოგადოების ინფორმირება; არსებული სიტუაციის შესწავლის, შეფასებისა და პროგნოზირების საფუძველზე ქვეყნის უახლესი ათწლეულის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტრატეგიის შემუშავება. მიღებული იქნება აღწერის პირველადი შედეგები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	აღწერის მონაცემთა სიზუსტე და მათი გამოყენება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამეცნიერო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მეწარმეებისა და მოქალაქეების მიერ

სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური (56 00)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა; საინფორმაციო ქსელის შექმნა, რომელიც ახორციელებს მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციას და ანალიზს, უზრუნველყოფს შესაბამის მონაცემთა აღრიცხვის ბაზის შექმნასა და ფუნქციონირებას.

სსიპ – კონკურენციის სააგენტო (43 00)

პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ - კონკურენციის სააგენტო</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის ხელშეწყობა;ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა;ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვა, რომელიც ითვალისწინებს:დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას;კონკურენციის შემზღვდავი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების დაუშვებლობას;სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კონკურენციის არამართლზომიერად შემზღვდავი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა;კონკურენციის შემაფერხებელი სახელმწიფო დახმარებების დაუშვებლობა;კონკურენციის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;ქვეყნის კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა.</p>

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (47 02)

პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ქვეყნების სტატისტიკური კვლევების მომზადება, განხორციელება და შედეგების გავრცელება, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალისა და საინვესტიციო მიკრო კლიმატის შეფასება, სამომზმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ბიზნეს სექტორში (აგრეთვე არაკომერციულ ორგანიზაციების სექტორში) მიმდინარე მოვლენების და პროცესების ანალიზი, შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროში კერძო და სახელმწიფო სექტორში, მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა;</p> <p>მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შეფასების მიზნით მოსახლეობის უთანაბრობის, დასაქმებისა და უმუშევრობის, შემოსავლებისა და ხარჯების და სხვა მაჩვენებლების დადგენა;</p> <p>ტურიზმის სტატისტიკის კვლევა;</p> <p>ენერგორესურსების მოხმარების სტატისტიკის კვლევა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>მიღებულ იქნება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების მიხედვით შეფასების მაღალი ხარისხის მაჩვენებლების მიღება, რომელთა ბაზაზეც გაიანგარიშება ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები;</p> <p>მოსახლეობის უთანაბრობის მაჩვენებლების, მოსახლეობის ცხოვრების დონის (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები), მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის (დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები), ეროვნული</p>

	<p>ანგარიშების მაჩვენებლების გასაანგარიშებლად საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა, სამომხმარებლო კალათის დადგენისათვის</p> <p style="text-align: center;">საჭირო</p>	<p>მონაცემებით უზრუნველყოფა;</p>
მიღებული იქნება როგორც მიმდინარე (წინასწარი), ასევე საბოლოო მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ.		
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ერთობლივი საკონტროლო ღონისძიებების რაოდენობა ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან ერთად ; საერთაშორისო ექსპერტული შეფასებები ; მონაცემთა ანალიზი და შედარებები ; სხვადასხვა ჭრილში დამატებით ახალი მონაცემების გამოქვეყნების შესაძლებლობა	

ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა (49 02)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ _ საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;</p> <p>ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე ცნობადობის ამაღლება;</p> <p>წინა წლებში შემოსული და პოტენციური უცხოელი ინვესტორებისათვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა და მათ მიერ წამოწყებული სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა;</p> <p>ტურიზმის, მომსახურების, სოფლის მეურნეობის (აგრობიზნესი), ენერგეტიკის, ლოჯისტიკისა და მრეწველობის სფეროებში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად საჭირო სამუშაოების ჩატარება.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სათანადო დონეზე შენარჩუნდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და განვითარდება ქვეყნისათვის პრიორიტეტული სექტორები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა

საინვესტიციო პოლიტიკის დაგენერაცია და მართვა (49 01)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სტაბილური ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის დასაქმებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესების მიზნით ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა; ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე ცნობადობის ამაღლება; წინა

	წლებში შემოსული და პოტენციური უცხოელი ინვესტორებისათვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა და მათ მიერ წამოწყებული სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა;ქვეყნისათვის პრიორიტეტულ სექტორებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საჭირო სამუშაოების ჩატარება;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სათანადო დონეზე შენარჩუნდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და განვითარდება ქვეყნისათვის პრიორიტეტული სექტორები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ქვეყანაში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა

სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (24 03)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქართული პროდუქციის უცხოურ ბაზარზე შეღწევისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით, სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროების შემდგომი განვითარება საერთაშორისო და ევროპის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;მიღწეული საერთაშორისო აღიარების შენარჩუნება/გაფართოება და აღიარების მიღწევა გაზომვების ახალ მიმართულებებში;საქართველოს სახელმწიფო ეტალონების შენახვისათვის მეტროლოგიური ლაბორატორიების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მოწყობა, ეტალონური ბაზის განახლება-მოდერნიზება CIB (Comprehensive Institutional Building) პროგრამის ფარგლებში და ეტალონების მიკვლევადობის უზრუნველყოფა;საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობის ზრდა და სტანდარტების ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის მომსახურების ელექტრონული საშუალებების დანერგვა;სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება, ასევე სააგენტოს თანამშრომელთა უნარების გაძლიერება საზოგადოებასთან ურთიერთობის, მარკეტინგისა და კომუნიკაციის სფეროებში.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყნისათვის პრიორიტეტულ სფეროებში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად აღჭურვილი მიკვლევადი ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარება, როგორც გაზომვების ახალ მიმართულებებში, ასევე უკვე საერთაშორისოდ აღიარებულ ლაბორატორიებში (მასა, ელექტროობა და ტემპერატურა); საქართველოში ჩატარებული გაზომვების შედეგების და დაკალიბრების სერტიფიკატების საერთაშორისო დონეზე აღიარება;საერთაშორისო ბაზებზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება და მისი ექსპორტის გაზრდა;საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალური (ევროპული) სტანდარტების რაოდენობის გაზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	საქართველოში სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტების რაოდენობა ; სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობაში სააგენტოს მონაწილეობა ; თანამედროვე დონეზე აღჭურვილი ლაბორატორიების რაოდენობა ; სააგენტოს მომსახურების საერთაშორისო აღიარება

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (52 01)	
პროექტის გნმახორციელებელი	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>მეწარმე სუბიექტების შესახებ საჭირო ინფორმაციის მარტივად და დროულად მიღების მიზნით „ონლაინ ბიზნეს-კატალოგის“ ფორმატის საძიებო ვებპორტალის შექმნა;</p> <p>საქართველოში ექსპორტ-იმპორტის შესახებ და საბაჟოს საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება-დამუშავება;</p> <p>მეწარმე სუბიექტებისათვის შესაბამისი საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურებისა და რეკომენდაციების გაწევა;</p> <p>დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების განვითარების კუთხით საერთაშორისო (რეგიონული) საარბიტრაჟო იმსტიტუტის განვითარება და საქართველოს ეროვნული მედიაციის ცენტრის შექმნა;</p> <p>საქართველოში ბიზნესის განვითარებისა და დასაქმების გზით სოციალური ფონის გაუმჯობესების მიზნით პროფესიული განათლების კოორდინაცია და პროფესიული განათლების ცენტრის შექმნა;</p> <p>თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების გათვალისწინებით საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება;</p> <p>საქართველოს სხვადასხვა კუთხებში რეგიონული პალატების განვითარება;</p> <p>ბიზნეს-კატალოგის განახლებადი და ყოველწლიური ბეჭვდითი ვერსიის შექმნა;</p> <p>საქონლის წარმოშობის სერტიფიკატების ელექტრონული სისტემის დანერგვა;</p> <p>„ატა კარნეტი“-ს საერთაშორისო სასაქონლო პასპორტისა და „ბიო სერტიფიკატების“ გაცემასთან დაკავშირებული სამუშაოების განხორციელება;</p> <p>ბიოუსაფრთხოების სფეროს ეფექტური მართვისა და კოორდინაციის მიზნით ბიოუსაფრთხოებისა და აკრედიტაციის ეროვნული კომისიის შექმნა.</p>

აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (24 04)	
პროექტის გნმახორციელებელი	სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>უცხოურ ბაზრებზე ტექნიკური ბარიერების დაძლევისა და ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, აკრედიტაციის სისტემის დახვეწა და მისი ჰარმონიზაცია აკრედიტაციის საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნებთან; სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის აკრედიტაციის რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციების (EA (European Cooperation for Accreditation), ILAC (International Laboratory Accreditation Cooperation), IAF (International Accreditation Forum)) საქმიანობაში მიზანმიმართული თანამშრომლობის გაგრძელება და აქტიურად მონაწილეობა EA-ს ტექნიკური კომიტეტებისა და გენერალურ ასამბლეას მუშაობაში, ცენტრის საქმიანობის საერთაშორისო მოთხოვნებთან სწრაფი დაახლოვება აკრედიტაციის შედეგების თანმიმდევრული საერთაშორისო აღიარების საფუძვლების შექმნის მიზნით; საქართველოს</p>

	<p>ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად, შესაბამისობის შემფასებელ პირებისათვის სერვისის შეთავაზება, როგორც კანონმდებლობით რეგულირებულ, ასევე ნებაყოფლობით სფეროებში; რეგიონალური მასშტაბით აკრედიტაციის ფორუმის ჩატარება; შესაბამისობის შეფასების ბაზარზე აკრედიტაციის ახალი მიმართულებების შეთავაზება; საერთაშორისო ისო/იკ 17043-სტანდარტის შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარებელი პირების აკრედიტაციის სქემის შემუშავება.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ცენტრის საქმიანობის (აკრედიტაციის მენეჯმენტის წესები, პროცედურები და ხარისხის მენეჯმენტის სისტემა) სწრაფი დაახლოვება EA-ის, ILAC-ის, IAF-ის მოთხოვნებთან; საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციისათვის ტექნიკური ბარიერების შემცირება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	აკრედიტაციის მენეჯმენტის წესების, პროცედურების და ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ჰარმონიზაცია EA-ის, ILAC-ის, IAF-ის მოთხოვნებთან; EA-ს მიერ ჩატარებული აკრედიტაციის ცენტრის კოლეგიალური შეფასება; აკრედიტებულ პირთა (საგამოცდო ლაბორატორიები, საკალიბრო ლაბორატორიები, სერტიფიკაციის ორგანოები, ინსპექტირების ორგანოები) რაოდენობა კანონმდებლობით რეგულირებულ და ნებაყოფლობით სფეროებში

სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (62 00)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების კანონიერების მონიტორინგის განხორციელება; გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვა, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულებისა და ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა რაციონალური და თავისუფალი არჩევნის შესაძლებლობის უზრუნველყოფა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში; სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა, განვითარება და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება; სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკასთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა.

სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (23 06)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვა;

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვით მიღებული შემოსავლების ზრდა
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განკარგვით მიღებული შემოსავლების ზრდა

ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	46,091.0	46,091.0	0.0	54,695.6	57,430.4	60,302.0
04 01	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	19,471.8	19,471.8	0.0	25,240.0	25,240.0	25,240.0
05 01	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი	12,863.0	12,863.0	0.0	13,505.0	14,181.0	14,890.0
06 04	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	12,785.0	12,785.0	0.0	19,000.0	19,000.0	19,000.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	9,800.0	9,800.0	0.0	9,800.0	9,800.0	9,800.0
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	8,992.0	8,992.0	0.0	9,000.0	9,000.0	9,400.0
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	8,100.0	8,100.0	0.0	9,000.0	9,000.0	9,000.0
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	11,200.0	7,500.0	3,700.0	7,500.0	7,500.0	7,500.0
26 08	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	49,000.0	5,300.0	43,700.0	50,000.0	50,000.0	50,000.0
53 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	4,500.0	4,500.0	0.0	5,000.0	5,000.0	5,000.0
41 01	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი)	4,000.0	4,000.0	0.0	4,400.0	4,500.0	4,600.0
44 00	სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3,500.0	3,500.0	0.0	3,500.0	3,500.0	3,500.0

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	გ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	გ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
26 06	ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება	4,500.0	2,450.0	2,050.0	3,500.0	3,500.0	3,500.0
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	3,030.0	2,430.0	600.0	3,200.0	3,200.0	3,200.0
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	1,450.0	1,450.0	0.0	1,500.0	1,500.0	1,500.0
48 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,300.0	1,300.0	0.0	1,400.0	1,400.0	1,400.0
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,200.0	1,200.0	0.0	2,000.0	2,000.0	2,500.0
26 14	მიწის ბაზრის განვითარება (WB)	1,169.0	1,169.0	0.0	1,200.0	1,200.0	1,200.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1,000.0	1,000.0	0.0	1,000.0	1,000.0	1,000.0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში	900.0	900.0	0.0	900.0	900.0	900.0
26 10	ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება	3,800.0	900.0	2,900.0	1,500.0	1,500.0	1,500.0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში	800.0	800.0	0.0	800.0	800.0	800.0

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის,ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ჭუთასის მუნიციპალიტეტში	800.0	800.0	0.0	800.0	800.0	900.0
06 03	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	723.0	723.0	0.0	800.0	900.0	900.0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩეუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	700.0	700.0	0.0	700.0	700.0	700.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში	700.0	700.0	0.0	700.0	700.0	780.0
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	650.0	650.0	0.0	650.0	650.0	650.0
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში	650.0	650.0	0.0	650.0	650.0	650.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში	650.0	650.0	0.0	650.0	650.0	700.0
26 09	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	23,945.0	500.0	23,445.0	21,500.0	21,500.0	21,500.0

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
06 02	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	0.0	0.0	0.0	30,000.0	30,000.0	32,000.0
26 11	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	51,023.0	0.0	51,023.0	45,000.0	45,000.0	45,000.0
26 13	სანოტარო მომსახურების ხელშეწყობა და განვითარება	3,233.0	0.0	3,233.0	2,500.0	2,500.0	2,500.0
05 02	სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	610.0	0.0	610.0	640.0	670.0	710.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		293,135.8	161,874.8	131,261.0	332,230.6	335,871.4	342,722.0

საკანონმდებლო საქმიანობა (01 01)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს პარლამენტის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს პარლამენტი როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონტროლს უწევს საქართველოს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და პარლამენტის რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფოს საკანონმდებლო ბაზისსრულყოფა და საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაცია

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი (05 01)	
პროექტის განმახორციელებელი	სახელმწიფო აუდიტის სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამედროვე, დამოუკიდებელ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სარგებლობს საზოგადოების მაღალი წილით; უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და აუდიტორთა პროფესიული ცნობიერების ამაღლება აუდიტორული ცოდნითა და უნარებით; გარე აუდიტის შესაძლებლობების, საკანონმდებლო მანდატისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი; სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების მიზნობრიობის დაცვის და ეფექტური განვითარების ხელშეწყობა; კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებაში ხელშეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად წარმართვა; საჯარო ფინანსების მართვის განვითარების ხელშეწყობა.

პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (06 04)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი; საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
პროექტის აღწერა და მიზანი	„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ხელშეწყობა;

	<p>საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, პოლიტიკური პარტიებისათვის (კვლევები, სწავლება, კონფერენციები, მივლინებები, რეგიონული პროექტები) სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების განაწილების უზრუნველყოფა;</p> <p>არასამთავრობო ორგანიციებისთვის საარჩევნო თემატიკაზე საგრანტო კონკურსების ჩატარება და გრანტებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების განაწილების უზრუნველყოფა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>მრავალპარტიული გარემოს შენარჩუნება;</p> <p>კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის შექმნა;</p> <p>არასამთავრობო ორგანიზაციათა ჩართულობა.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	სახელმწიფო დაფინანსების მეშვეობით პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ღონისძიებები

საარჩევნო გარემოს განვითარება (06 01)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვა, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრთა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა ასარჩევად საყოველთაო არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა;</p> <p>არჩევნების და რეფერენდუმის/პლებისციტის მონაწილეთა მიერ თავიანთი კანონიერი უფლებების დაუბრკოლებლად განხორციელების უზრუნველყოფა;</p> <p>არჩევნების პროცესთან დაკავშირებული სამოქალაქო აქტივობების მხარდაჭერა და ამომრჩეველთა სამოქალაქო და საარჩევნო კულტურის ამაღლება;</p> <p>ამომრჩეველთა ინფორმირების ინსტრუმენტების შექმნა, პროფესიული ეთიკის ელემენტების გაძლიერება,</p>

სავალდებულო ტრენინგების, სერტიფიცირების, დისტანციური და ელექტრონული სწავლების მეთოდების დანერგვა;
ეფექტიანი საკომუნიკაციო არხების განვითარება, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, მედიის, სოციალური ქსელების და პირდაპირი კავშირების გამოყენება;

საარჩევნო პროცესების დაგეგმვა, ყველა ტიპის არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (26 01)

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა;საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და კონტროლი;სისხლის სამართლის რეფორმაში ჩართულ უწყებებს, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და მიმდინარე რეფორმის მონიტორინგი;სისხლის სამართლის მართლმასჯულების სისტემის რეფორმა - სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირება, ორგანიზაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა;უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოს ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება და მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა;სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ყოველწლიური განახლება;იმპლემენტაციის პროცესში უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია;წლიური პროგრესის შესახებ ანგარიშების მომზადება, მართლმასჯულების სისტემის რეფორმის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფინანსური შეთანხმების პირობების შესრულების ხელშეწყობა. პირობების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება და ევროპის კავშირის დელეგაციისათვის წარდგენა;საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვა. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რეფორმა, საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება სისხლის სამართლის პროცესში დაცვის მხარის უფლებების გაზრდისა და შეჯიბრებითობის უზრუნველსაყოფად;არასრულწლოვანთა მართლმასჯულების კოდექსის შემუშავება. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის მომზადება, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების მექანიზმის დახვეწა;ანტიკორუფციული და კარგი მმართველობის რეფორმა - კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს გაძლიერება, მისი როლის გაზრდა და ქმედით ორგანოდ გარდაქმნა;ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება, პერიოდული განახლება და მონიტორინგი, ანტიკორუფციული პოლიტიკის შესრულების შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება. ანტიკორუფციული საბჭოს საქმიანობის ანგარიშების მომზადება და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა. ანტიკორუფციული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და იმპლემენტაციის პროცესში შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით უწყებათაშორისი საქმიანობის</p>

	<p>კოორდინაცია;საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული რეკომენდაციების შესრულების უზრუნველყოფა, მათი იმპლემენტაციის შესახებ სახელმწიფო ანგარიშის მომზადების უზრუნველყოფა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ანგარიშება; ანტიკორუფციული პოლიტიკისა და რეფორმების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება; და მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობა და ღია მმართველობა საქართველოს 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავება. ახალი გეგმის შემუშავების პროცესში საჯარო კონსულტაციების გამართვა; საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ არსებული საკანონმდებლო ბაზის გადასინჯვა, ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის, პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის და ცალკეულ საკანონმდებლო აქტებში გაბნეული ნორმების ერთ ნორმატიულ აქტში გაერთიანების მიზნით ინფორმაციის თავისუფლების კანონის შემუშავება; მთავრობის მიერ დამტკიცებული საჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის საფუძველზე საჯარო სამსახურში ეთივის ნორმების, პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გაუმჯობესების, აგრეთვე ანაზღაურების, წახალისებისა და დაწინაურების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის სტრატეგიის შემუშავება და განხილვის „აღსრულების კოდექსი“ – პროექტის შემუშავება ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ევროპული გამოცდილების გაზიარების გზით; „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის გადახედვა; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცალკეული ინსტიტუტების გადახედვა, შემოღებული „სუმარული წარმოების“ (Summary judgment) ინსტიტუტი, რის შედეგადაც შემცირდება სასამართლოში საქმის განხილვის ვადები, პროპორციულად შემცირდება ადვოკატისა და სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები, დაიზოგება სასამართლოს რესურსები და სასამართლო განიტვირთება უსაფუძვლო სარჩელებისგან; ადმინისტრაციულ ორგანოებში ადმინისტრაციული საჩივრების ერთჯერადად განხილვის პროცესის გადასინჯვა;</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის პროგრესის წლიური ანგარიში, სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განახლება, თანამედროვე საერთაშორისო პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესაბამისი განახლებული „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ პროექტი; მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფინანსური შეთანხმების პირობების შესრულების შესახებ ანგარიში და აღსრულების სტრატეგიის შემუშავება; შემუშავებული ცვლილებები წაფიც მსაჯულთა სასამართლოს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის; შრომის კანონმდებლობაში ქალთა უფლებების გაზრდის, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის, „ინფორმაციის თავისუფლების“ კანონის პროექტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის, ახალი „აღსრულების კოდექსის“, „მეწარმეთა შესახებ“ კანონისა და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიმართულებით. ანტიკორუფციული საბჭოს ანგარიშვალდებულების გაზრდა და გაძლიერება, მისი წლიური ანგარიშისა და ანტიკორუფციული პოლიტიკის შესრულების შეფასების ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება; ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და ახალი 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის პროექტები; და მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულებისა და 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის სტრატეგიის განხილება.</p>

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>ანტიკორუფციული საბჭოს ანგარიშვალდებულების გაზრდისა და სხვა რეკომენდაციების შესრულების შესახებ საერთაშორისო/არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები ; განახლებული ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიისა და ახალი 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება საქართველოს სამართლის სისტემის უწყაბათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ ; საერთაშორისო საარბიტრაჟო ტრიბუნალსა და უცხო ქვეყნის სასამართლოებში მიმდინარე საქმეთა ოდენობა, აგრეთვე, მორიგებით დასრულებულ საქმეთა ოდენობა ; არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სამოქმედო გეგმის დამტკიცება ; ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის ანტიკორუფციული სამდიგნოსთვის წარდგენა ; განახლებული „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“, ინფორმაციის თავისუფლების კანონის პროექტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ საკანონმდებლო ცვლილებებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში</p>
---	---

ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (26 03)

პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>არსებული დოკუმენტების დაცვა/შენახვის პირობების გაუმჯობესების, დაცვის სისტემებით აღჭურვის, ახალი დოკუმენტებისათვის დამატებითი საცავების შექმნის და არქივის თანამშრომელთა სამუშაო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ზუგდიდის და ახალციხის რეგიონული არქივების შენობების კაპიტალური სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება და ახალი, დამატებითი საცავების მშენებლობა. აგრეთვე, ქუთაისში არქივის ახალი შენობის აშენება;ცენტრალიზაციის მომდევნო ეტაპის შედეგად, 47 ადგილობრივი არქივის დოკუმენტების 6 რეგიონულ არქივში განთავსება; მოქალაქეზე ორიენტირებული მომსახურების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, მომსახურების ელექტრონული პროგრამების ახალი პარამეტრების შემუშავება, არსებული ელექტრონული პროგრამების განახლება და დახვეწა.მკვლევართა აღრიცხვისა და მართვის სისტემის, საარქივო დოკუმენტების (ფოტო-ვიდეო-ფონო-ტექსტური დოკუმენტების, რუკების) ელექტრონული კატალოგების, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS), სივრცითი მიების პროგრამისა და ონლაინ მომსახურების რეჟიმი, დანერგვა; მოქალაქეთა მომსახურების პროგრამის პარამეტრების გაუმჯობესება, ასევე ეროვნული საარქივო ფონდის ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნა და სრულყოფა დოკუმენტების ელექტრონული ასლების ხელმისაწვდომობის გაზრდის, ფიზიკური და იურიდიული პირების სწრაფი და ხარისხიანი მომსახურების, დოკუმენტების დედნების შენარჩუნებისა და ეროვნული მეხსიერების დაცვლობის უზრუნველყოფის მიზნით;სკანირების აპარატურის კალიბრაციისა და ოპერირების პროგრამის, სკანირების პროცესის მონიტორინგის სისტემის, სკანირებული დოკუმენტების ელექტრონული რეესტრისა და ანოტირების სტანდარტების შემუშავება და დანერგვა;</p>

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>ცენტრალიზაციას დაქვემდებარებული 47 ადგილობრივი არქივი; მოქალაქეთა მომსახურების პროგრამული უზრუნველყოფის პარამეტრების განახლება-დახვეწა; საარქივო სერვისებზე მაღალი ხელმისაწვდომობა; დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა; საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონულ მატარებელზე გადატანა; საარქივო დოკუმენტების ელექტრონული კატალოგების წარმოება; სათანადო ინფრასტრუქტურით აღჭურვილი ოთხი რეგიონული და ერთი ცენტრალური არქივი; დოკუმენტების სათანადო პირობებში შენახვისათვის არსებული და ახალი დამატებითი საცავების მოწყობა.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>ცენტრალიზაციის შედეგად სტანდარტების შესაბამის პირობებში განთავსებული 47 ადგილობრივი არქივის დოკუმენტები; რეგიონული ზუგდიდის, გორის რეგიონული და ახალციხის რეგიონული არქივები და დამატებითი საცავები; მოქალაქეთა მომსახურების პროგრამაში 2 სერვისის დამატება: ონლაინ მომსახურების რეესიმი და სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს ბაზაზე წვდომა; ქუთაისის არქივის ახალი შენობა; საარქივო მომსახურებისთვის 3 ახალი პროგრამა: მცვლევართა აღრიცხვისა და მართვის სისტემა, საარქივო დოკუმენტების ელექტრონული კატალოგები, გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (GIS) და სივრცითი ძიების პროგრამა; ყოველწლიურად ელექტრომატარებლებზე გადატანილი 700 000 გვერდი</p>

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 08)

პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>საზოგადოებრივი ცენტრების (სოფლის სახლების) მშენებლობის განხორციელება გამართული ფუნქციონირება და მომსახურების ეფექტიანი მიწოდება. საზოგადოებრივი ცენტრების კონცეფციის განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ბაზაზე, რომელიც გულისხმობს შერჩეული სოფლის ბიბლიოთეკების ინფრასტრუქტურის გამართვას, ტექნიკითა და ინტერნეტით უზრუნველყოფას და თანამშრომელთა გადამზადებას; ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის დანერგვის პროექტის განხორციელება; სააგენტოს მონაცემთა ბაზების დახვეწა, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ხელშეწყობა, მონაცემთა ბაზების ტექნოლოგიური სრულყოფა, მონაცემთა ხარისხის მართვის სისტემის დანერგვა, მონაცემთა ბაზებში ხარვეზების ანალიზი და გამოსწორება; მოსახლეობის რეესტრის ხარისხის გაუმჯობესება; განახლებადი, საიმედო მონაცემთა ბაზის შექმნა და დამისამართების ერთიანი სტანდარტის დანერგვა, ციფრული ხელმოწერა და ორგანიზაციის ციფრული შტამპის განვითარება.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>გაზრდილი ხელმისაწვდომობა სააგენტოსა და სხვა უწყებების სერვისებზე ადგილობრივ დონეზე; თვითმმართველობის ორგანოების გაზრდილი წვდომა საჭირო ინფორმაციაზე, დარეგულირებული და სტანდარტიზებული პროცედურები, დანერგილი საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა; 7 საპილოტე მუნიციპალიტეტში დანერგილი ელექტრონული მმართველობის სისტემა, მოსახლეობის რეესტრის გაუმჯობესებული ხარისხი, მაქსიმალურად სრულყოფილი პოტენციურ საარჩევნო ხმის უფლების მქონე პირთა სია, გამარტივებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემის პროცესი შემცირებულია დოკუმენტების გაცემისას შეცდომების რაოდენობა, ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილზე რეგისტრირებული მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ამაღლებული მოსახლეობის რეესტრში დაცული მონაცემების ვალიდურობის ხარისხი, მოსახლეობის განსახლების სწორი ინფორმაციის არსებობა, მონაცემთა ბაზებში არსებული ხარვეზებით გამოწვეული შეფერხებისა და</p>

	<p>ინციდენტების შემცირებული რაოდენობა, სერვისის უწყვეტობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა;შექმნილი ციფრული შტამპის მომსახურების სისტემა და მისი უტყუარობის გადამოწმების სერვისი, საკანონმდებლო დონეზე ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული შტამპის გამოყენების პროცედურული და საკანონმდებლო ჩარჩოს განსაზღვრა, დამტკიცება და პრაქტიკაში გამოყენება;დისტანციური იდენტიფიკაციის სისტემის განვითარება და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა, ქვეყანაში არსებული ყველა მომსახურების ეტაპობრივად გადასვლა დისტანციურ ფორმაზე, უცხო ქვეყნის მოქალაქის ელექტრონული სამგზავრო დოკუმენტების აუთენტიფიკაციის შემოწმება, ქართული სამგზავრო დოკუმენტების მიმართ გაზრდილი ნდობა საერთაშორისო საზოგადოებაში, მიგრაციის ერთიანი ანალიტიკური სისტემის შექმნა.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>საზოგადოებრივი ცენტრების აშენება და აღჭურვა ; მომსახურების შედეგად შექმნილი დოკუმენტების 50%-ის გაცემა ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის გამოყენებით ; დაწერგილი ბიომეტრიულ მონაცემებზე წვდომის ავტომატური სერვისი ქვეყნის შიდა კომპეტენტური უწყებებისთვის ; ყველა დისტანციური სერვისის 20%-ის მიღების შესაძლებლობა მომხმარებლის დისტანციური იდენტიფიკაციის სისტემით ; ახალი სერვისებისთვის პლატფორმის მომზადება და 6 დისტანციური სერვისის დაწერგვა ; მონაცემთა კარგვის არასანქცირებული წვდომის მონიტორინგის სისტემა (DLP) დაწერგვა მომხმარებლების 95%-თან ; მონაცემთა ბაზებში იდენტიფიცირებული ხარვეზების 70% გასწორება</p>

სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური (53 00)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური
პროექტის აღწერა და მიზანი	იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა;მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება;უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონის გაზრდა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	უფასო იურიდიული დახმარების ბენეფიციართა რაოდენობის არანაკლებ 2%-ით გაზრდა

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (41 01)	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი
---	---------------------------------------

პროექტის აღწერა და მიზანი

საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმიური და მოულოდნელი (დაუგეგმავი) მონიტორინგის განხორციელება;წამებისა და სხვა სასტკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და მათი წარდგენა;საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა;ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების შესახებ განცხადების/საჩივრების მიღება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება;შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, მათი განხორციელების შეფასება;საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა და მათი გაზრდა;ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება, მათ შორის სოციალური რეკლამის დამზადება და მედიის საშუალებით გავრცელება;სამიზნე აუდიტორიებისთვის საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება;საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენის ყოველთვიური გამოცემა;ადამიანის უფლებათა თემატიკაზე ყოველთვიურად საჯარო დებატების გამართვა, კონკურსების ჩატარება, სხვადასხვა პუბლიკაციების გამოცემა და გავრცელება;ტოლერანტობის კულტურის განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშეწყობა;ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის მონიტორინგი, არსებული ტენდენციების გამოკვეთა და ანალიზი, ტოლერანტობის საკითხებზე რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება და წარდგენა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის;მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების ჩართულობით;ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ზედამხედველობა, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში; არასრულწლოვანთა სასჯელადსრულების დაწესებულებების მონიტორინგის გაძლიერება;სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი;24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების მომზადების ზედამხედველობა სამზრუნველო დაწესებულებიდან გასვლის მიმართულებით;საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი,სახალხო დამცველის აპარატში შემოსული გენდერული თანასწორობის საკითხის დარღვევასთან დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება;საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოების და ორგანიზაციების საქმიანობის, გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება;შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი;შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების ადვოკატიკება;გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება;ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი;„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგის განხორციელება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ადამიანის უფლებების დარღვევების აღმოჩენა და დაფიქსირება; საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრა და მათი პრევენცია; დისკრიმინაციისა და ქსენოფონბის გამოვლინების პრევენცია; რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის გაძლიერება; სახალხო დამცველის მიერ განხილული და შესწავლილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების სახალხო დამცველის ანგარიშში და რეკომენდაციებში ასახვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	დარღვეული უფლებების ფაქტებზე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების/წინადადებების/შუამდგომლობების რაოდენობა; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების მიზნით ჩატარებული ტრენინგების/სემინარების/სასწავლო გაცვლითი ვიზიტების აღწერა/ რაოდენობა; პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა წლის განმავლობაში, ასევე ყველა ტიპის დახურული დაწესებულებების მოცვა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში; აღდგენილი უფლებების ფაქტების და მათი რაოდენობის მონიტორინგი; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილული განცხადებების რაოდენობა, როგორც ცენტრალურ ისე რეგიონულ დონეზე, ინდივიდუალური კონსულტაციების რაოდენობა

ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება (26 06)

პროექტის განხორციელებელი	სსიპ - სმარტ ლოჯიქი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სსიპ - „სმარტ ლოჯიქში“ მენეჯერული პროცესების დანერგვა სხვადასხვა უწყებებისათვის IT სერვისების სრული სპექტრის მიწოდების მიზნით, კერძოდ: ქსელური უზრუნველყოფა, ელ-ფოსტის სერვისი, ონლაინკომუნიკაციის საშუალებები, ტელევიდეოკონფერენცია, დროისა და დავალებების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის გატარება, არასასურველი და მავნე ელფოსტის, პროგრამებისა და ვირუსებისგან დაცვა, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ერთიანი IT-მხარდაჭერის სატელეფონო ცენტრის შექმნა და ინციდენტების მართვა, ციფრული სატელეფონო სერვისი, სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთა კომპიუტერული ტექნიკის ადგილზე მომსახურება და სხვა სერვისები, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე გარემოში სრულყოფილი ოპერირებისათვის; ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისების მიწოდების ახალი, თანამედროვე „Cloud Computing“-ის „IaaS“ მოდელის დანერგვა, რომელიც დანახარჯების ეკონომიკურ უზრუნველყოფს მრავალი ორგანიზაციის ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას; სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით შესაბამისი კვლევის ჩატარება და კონკრეტული ინოვაციური ბიზნეს გადაწყვეტილების შექმნა, რაც გულისხმობს, კონკრეტულ შემთხვევაში, პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებას კონკრეტული დამკვეთისთვის და მაქსიმალურად მორგებას მის ბიზნეს პროცესებზე; სისხლის სამართლის საქმეთა ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფის სხვადასხვა მოდულის შექმნისთვის პროექტის გეგმის შედგენა და ამოცანის ჩამოყალიბება, სხვადასხვა ორგანიზაციის ჩართვა ავტომატიზებულ სისტემაში (ადვოკატურა, სასჯელაღსრულების სისტემა, განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილე სოციალური მუშაკები), ასევე სასამართლოს ჩართვისთვის საჭირო ინტეგრაციის მოდულის შემუშავება. დევნილთა ბაზის პროგრამული</p>

	<p>უზრუნველყოფის დახვეწა-განახლება და ვებ-ტექნოლოგიაზე გადაწერა;ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი ორგანიზაციებისთვის ზუსტი დროის გამოყენების მიზნით, სპეციალური ტექნიკური მოწყობილობების დაწერვა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება გარანტირებულად ზუსტი და მდგრადი დროის განსაზღვრა, რაც გამორიცხავს დოკუმენტებსა და პროცესებში მითითებული დროის უზუსტობას.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>სახელმწიფო სტრუქტურების მომსახურებაზე აყვანა, მომსახურების მიმღები დაწესებულებების ინფრასტრუქტურული ტექნიკის შეძენისა და მათ მხარდაჭერაზე გაწეული დანახარჯების შემცირება; სისტემების უსაფრთხოებისა და მონაცემთა დაცულობის დონის გაზრდა; IT სერვისის მიწოდების ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიის დაწერვა „Cloud Computing“-ის „IaaS “მოდელის გამოყენებით;დანახარჯების კონტროლისა და ანგარიშსწორების მარტივი მექანიზმები;სისხლის სამართლის საქმეთა ავტომატიზაციის პროგრამულ უზრუნველყოფაში ახალი ორგანიზაციების ჩართვისთვის მოდულების შექმნა და სისტემაში ჩართვის განხორციელება.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>გლობალურ ინტერნეტზე წვდომის არარსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო დროის შეუფერხებლად მიწოდების გაგრძელება ; სისხლის სამართლის საქმეთა ავტომატიზაციის პროგრამულ უზრუნველყოფაში ადგიკატურის, განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სოციალური მუშაკების, სასჯელადსრულების სისტემისა და სასამართლო სისტემის ჩართვა ; მომსახურების მიმღები დაწესებულებების სისტემებზე არასანქცირებული წვდომისა და ვებ-გვერდების გატეხვის განულება ; მომსახურებაზე აყვანილი ორგანიზაციების პოტენციური დანახარჯების შემცირება საშუალოდ 30%-ით ; პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში, მწარმოებელთან ინციდენტის რეგისტრაციის შესაძლებლობა და მწარმოებლის მხრიდან რეაგირება 24 საათის განმავლობაში ; “Billing“ სისტემის საშუალებით მომხმარებლის მიერ გამოყენებული სიმძლავრეების მიხედვით ანგარიშსწორება</p>

ელექტრონული მმართველობის განვითარება (26 05)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>არსებული საინფორმაციო სისტემებისთვის მონაცემთა ადაპტერის დამატება ერთიან სისტემასთან კავშირის უზრუნველსაყოფად. ინფორმაციასთან წვდომის გაუმჯობესება, მისი დაცულობა და საიმედოობა. სისტემის საშუალებით ახალი კომბინირებული ელექტრონული სერვისების შექმნა. მოსახლეობისთვის მომსახურების მიწოდება ერთი ფანჯრის პრინციპით და ნაკლები დანახარჯებით;მოქალაქის პორტალში ყველა იმ ელექტრონული სერვისის ინტეგრირება, რომელთაც ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები სთავაზობენ მოქალაქეებს, ბიზნესს თუ არასამთავრობო სექტორს;საკონტეინერო გადაზიდვების პროცესში (იმპორტ/ექსპორტი) ჩართული კერძო და სახელმწიფო სუბიექტებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის პროცესის გამარტივების მიზნით, საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის მხარდამჭერი სისტემის შექმნა;საკონტეინერო გადაზიდვების განხორციელება ბათუმისა და ფოთის პორტის გავლით. სისტემამ უნდა მოიცვას ყველა სახის სახმელეთო და საპარტო ტვირთი. სისტემის ინტეგრაცია მსგავსი პროფილის საერთაშორისო სისტემებთან;სახელმწიფო დაწესებულებებს შორის ოფიციალური დოკუმენტბრუნვის განხორციელება ელექტრონულად, ერთიან სტანდარტზე დაფუძნებით და ინფორმაციის გაცვლის დაცული ინფრასტრუქტურის ფარგლებში;ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივის მომზადება, ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკისა და სტანდარტების</p>

	<p>ჩამოყალიბება;სპეციალური კითხვარის შემუშავება, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო დაწესებულებებს საშუალება მიეცემათ, შეაფასონ საკუთარი მონაცემები და მოახდინონ იმ ცხრილების, მონაცემთა მასივებისა და ელექტრონული სერვისების იდენტიფიცირება, რომელთა გამოქვეყნებაც შესაძლებელია ღია მონაცემების პორტალზე – data.gov.ge;ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სახელმწიფო სისტემის შექმნა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩართული ის სახელმწიფო ორგანიზაციები და მთელი კრიტიკული ინფრასტრუქტურა, რომლებიც ახორციელებენ ელექტრონული სერვისების მიწოდებას; სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისების (მათ შორის, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ელექტრონული სერვისები) ხელმისაწვდომობის ზრდა მოქალაქის პორტალის მეშვეობით; ერთიანი სავაჭრო ქსელის სისტემის გაშვება და მისი მოქმედების არეალის ზრდა; ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სახელმწიფო სისტემაში ჩართული სახელმწიფო დაწესებულებები და შესაბამისად გაზრდილი დოკუმენტბრუნვა; მონაცემთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის მონაცემთა ზრდა; ღია მონაცემების იდენტიფიკაციის, შეგროვების, გამოქვეყნებისა და შეფასების ადმინისტრაციული მექანიზმისა და შესაბამისი პროცედურების შექმნა. ღია მონაცემების პორტალის შემუშავება; ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დანერგვა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტებში; მსხვილ სახელმწიფო და კრიტიკული ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებში ინციდენტების გამოვლენის ზრდა.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ტრანზაქციების რაოდენობა ; მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ჩართული იმ სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კრიტიკული ინფრასტრუქტურის სუბიექტების რაოდენობა ; ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული მონაცემთა ცხრილი (dataset) და API ; სახელმწიფო დაწესებულებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის სერვისის საშუალებით გაგზავნილი ელექტრონული გზავნილის რაოდენობა</p>

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (51 00)

პროექტის განმახორციელებელი	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>საჯარო და კერძო პირებისთვის კონსულტაციის გაწევა მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;</p> <p>მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;</p> <p>მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) საჯარო და კერძო დაწესებულებებში;</p> <p>საზოგადოების ინფორმირება მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;</p> <p>პერსონალური მონაცემების დამუშავების ევროპული სტანდარტების დასანერგვად შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და რეკომენდაციების მომზადება, ინსპექტირების მეთოდოლოგიის შემუშავება და შემდგომი დახვეწა, სხვა ქვეყნებში მონაცემთა გადაცემაზე კონტროლის გაუმჯობესება.</p>

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საჯარო და კერძო სექტორებში უზრუნველყოფილი პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტი; ამაღლებული მოქალაქეთა ცნობიერება მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ;
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის დარღვევების შემცირებული მაჩვენებელი ; საჯარო და კერძო სუბიექტებისთვის გაწეული კონსულტაციების გაზრდილი რაოდენობა

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (48 00)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება; სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა;
პროექტის აღწერა და მიზანი	სადაზღვევო საქმიანობის განზოგადება; სავალდებულო დაზღვევების შესახებ სტანდარტების შემუშავება; სადაზღვევო კომპანიებისთვის ლიცენზიების გაცემა, მათ შორის პიროვნული ლიცენზიების გაცემა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ნორმატიული ბაზის განვითარება/სტანდარტიზაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო (50 00)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობასაჯარო სამსახურის რეფორმის კონცეფციის იმპლემენტაციასაჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის სამსახურების მუშაობის კოორდინაციათანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების დროულად შევსებისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების გავლის პროგრამის კოორდინაცია და კონტროლი.საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობისა და ნორმატიული აქტების შესრულების ანალიზი

მიწის ბაზრის განვითარება (WB) (26 14)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>მსოფლიო ბანკისა და USAID-ის G4G („მმართველობა განვითარებისთვის“) პროექტის დახმარებით, პროექტის ძირითადი საქმიანობების დაწყებამდე მომზადებული მიწის სისტემური რეგისტრაციის პილოტური პროექტის განხორციელების და საკომუნიკაციო სტრატეგიების, საპილოტე არეალებში საზოგადოების ინფორმირების სამოქმედო გეგმის და მიწის სისტემური რეგისტრაციის პილოტური პროექტის კანონპროექტის მიღებისთანავე პილოტ-პროექტის ფარგლებში (დაბა შუახევი, ლახამულა, სალხინო, არბოშიკი, კარალეთი, საგურამო, ზარიძეები, დაბა მანგლისი, არხილოსკალო, ვედიდვარი, ჯიმითი-ბოგდანოვკა; ხანგრძლივობა 30 თვე) დაგეგმილი საქმიანობების განხორციელება, კანონპროექტში ასახული ახალი სარეგისტრაციო პოლიტიკისა და სამართლებრივი რეგულაციების საფუძველზე; პილოტ-პროექტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკადასტრო და პირველადი სარეგისტრაციო სამუშაოების შესრულება; ნაკვეთებისა და მესაკუთრეების იდენტიფიკაცია, უფლების დამდგენი დოკუმენტების მოძიება, არსებული პრობლემების ანალიზი, საკადასტრო აზომვითი სამუშაოების ჩატარება; მიწის მესაკუთრეობასთან მიმართებაში ქალთა უფლებების შეზღუდვის დარეგულირება და გენდერული თანასწორობის პრინციპების პოპულარიზაცია; არასასოფლო-სამეურნეო მიწების აზომვა და რეგისტრაცია; განხორციელებული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე მეთოდოლოგიის შემუშავება; ქვეყანაში მიწების პირველადი რეგისტრაციის დასრულება, სარეგისტრაციო და საკადასტრო ბაზის სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს როგორც სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებას, ასევე უმრავი ქონების ბაზრის გააქტიურებასა და ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესებას.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწების საკადასტრო აზომვები და პირველადი რეგისტრაცია; მიწის ბაზრის განვითარება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	11 საპილოტე არეალში (დაბა შუახევი, ლახამულა, სალხინო, არბოშიკი, კარალეთი, საგურამო, ზარიძეები, დაბა მანგლისი, არხილოსკალო, ვედიდვარი, ჯიმითი-ბოგდანოვკა) განხორციელებული დაახლოებით 48 000 ნაკვეთის საკადასტრო და პირველადი რეგისტრაციის სამუშაოები; სრულყოფილი სარეგისტრაციო და საკადასტრო მონაცემთა ბაზა; შემუშავებული მიწების სარეგისტრაციო და საკადასტრო მეთოდოლოგია

სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციები (11 00 - 19 00)

პროექტის განმახორციელებელი	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციები
პროექტის აღწერა და მიზანი	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია შესაბამის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან კოორდინირებულად შეიმუშავებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების განვითარების სტრატეგიებისა და პრიორიტეტების დოკუმენტებს, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტურისტული პოტენციალის

წარმოჩენის მიზნით მოამზადებს წინადადებებს, გააკონტროლებს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობას.

ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება (26 10)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ სფეროებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებში არსებული ევროპული კანონმდებლობის, სტანდარტებისა და რეგულაციების შესაბამისი ქართული ნორმატიული ბაზის თარგმნის განხორციელება;საქართველოს ნორმატიული აქტების თარგმნა ინგლისურ ენაზე და ევროკავშირის კანონმდებლობის თარგმნა ქართულ ენაზე. თარგმნილი სამართლებრივი აქტების ოპერატიული განთავსება ვებ-გვერდზე და მათი სრული ხელმისაწვდომობა დაინტერესებული მომხმარებლისათვის.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ტერმინოლოგიაზე მუშაობის შემუშავებული მეთოდი და შექმნილი, სისტემატიზებული და ადმინისტრირებული ტერმინოლოგიური ბაზა; თარგმნილი ვერსიებისა და საჯარო ტერმინოლოგიური ბაზის ხელმისაწვდომობა; თარგმანის ხარისხის მართვის მექანიზმის დაწერვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	შესრულებული თარგმანის სიზუსტე – 100% ; 2015 წლის ბოლოსთვის თარგმნილი 200 საკანონმდებლო აქტი ინგლისური ენაზე

საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა (06 03)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
პროექტის აღწერა და მიზანი	საარჩევნო რეფორმების ხელშეწყობა; კომპეტენციის ფარგლებში მონიტორინგის განხორციელება; ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა; საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება; პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობისათვის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციების შესრულება.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	კვალიფიკაცია ამაღლებული მოხელეები; ამომრჩეველთა ინფორმირება და საარჩევნო პროცესებში მათი აქტიური ჩართვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	საარჩევნო პროცესებში ჩართული ჯგუფების (ეთნიკური უმცირესობების, მოწყვლადი ამომრჩევლის, ახალგაზრდების, ქალების) რაოდენობა ; დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა

იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 09)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - იუსტიციის სახლი
პროექტის აღწერა და მიზანი	მომსახურების ხარისხის განვითარების მიზნით სსიპ - იუსტიციის სახლის წინა ხაზის თანამშრომლების პერიოდული გადამზადება, პროდუქტებისა და მომსახურების პროცესების განვითარება, იუსტიციის სახლში დამატებითი კერძო და სახელმწიფო სერვისების ინტეგრაცია, მომხმარებელთა კამაყოფილების კვლევის რეგულარული განხორციელება; სერვისების ცნობადობის ზრდის მიზნით მარკეტინგული და პიარ ღონისძიების განხორციელება. საერთაშორისო მასშტაბით იუსტიციის სახლის კონცეფციის ექსპორტის მიზნით და ბრენდის პოპულარიზაცია დაინტერესებულ ქვეყნებში. იუსტიციის სახლების შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარით მომარაგება. იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში იგეგმება ღონისძიებები სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ხარვეზის გამოვლენისა და მათი აღმოფხვრის მიზნით; საქართველოს მასშტაბით იუსტიციის სახლის ახალი ფილიალების აშენება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე მათთვის სერვისის მაღალკვალიფიციური მიწოდება; კამაყოფილი მომხმარებლების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი; იუსტიციის სახლში არსებულ სიახლეებზე ინფორმირებული მომხმარებლების რაოდენობის მაღალი მაჩვენებელი; იუსტიციის სახლის კონცეფციის გაზიარება და ინტერესებული უცხო სახელმწიფოებისათვის; იუსტიციის ახალი სახლები სხვადასხვა ადმინისტრაციულ ცენტრში: ფოთში, მცხეთაში, თათანეთში, ყაზბეგში, ბორჯომში, სამტრედიაში, ლაგოდებში.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	იუსტიციის სახლის ფილიალის გახსნა ყველა იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა საშუალოდ 20 000 - 30 000-ს უტოლდება ან აღემატება; კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტესტირებაში თანამშრომელთა 85%-ის მიერ მინიმალური ზღვრის გადალახვა; ხარისხის სტანდარტის დახვეწის ხარჯზე მისტიური კვლევით მიღებული საშულო ქულა - 90

სანოტარო მომსახურების ხელშეწყობა და განვითარება (26 13)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატა
პროექტის აღწერა და მიზანი	ლათინური ნოტარიატის სისტემაში დამკვიდრება. საერთაშორისო სემინარებისა და კონფერენციების ორგანიზება, მონაწილეობის მიღება, საერთაშორისო ექსპერტების დასკვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება ქართული კანონმდებლობის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისათვის. ლათინური ნოტარიატის ფუნდამენტური

	<p>პრინციპის – numerus klausus – დანერგვა, რაც გულისხმობს ნოტარიუსთა განსაზღვრული რაოდენობის დანიშვნას კონკრეტულ სამუშაო უბანში. სანოტარო სერვისების ხელმისაწვდომობა მთელი საქართველოს მასშტაბით. ნოტარიუსთა პალატის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება. შეიქმნება სანოტარო დოკუმენტების ელექტრონული არქივი, რომელიც ნოტარიუსებს შესაძლებლობას მისცემს, ცენტრალიზებულად შეინახონ სხვადასხვა სახის ჩანაწერები და დოკუმენტები. ქვეყნის მასშტაბით მომუშავე ნოტარიუსთა ეფექტურ კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით ერთანი კორპორატიული ქსელი შემუშავება; ნოტარიუსთა და სანოტარო ბიუროს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების განხორციელება.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ლათინური ნოტარიატის პრინციპების გათვალისწინებით, ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული ნოტარიატის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა; ნოტარიუსთა პალატის ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება სანოტარო სერვისებთან მიმართებაში: სანოტარო დოკუმენტების ცენტრალიზებული არქივის შექმნა და უსაფრთხო ფუნქციონირება; ნოტარიუსთა კომუნიკაციის კორპორატიული ქსელის შექმნა და ფუნქციონირება; ნოტარიუსების კვალიფიკაციისათვის მაღალი სტანდარტების დაწესება, ნოტარიუსთა და სანოტარო ბიუროს თანამშრომელთა გადამზადება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ცენტრალიზებულ ელექტრონულ არქივში არასანქცირებულ შეღწევათა ნულოვანი ალბათობა; გადამზადებულ ნოტარიუსთა საბოლოო შეფასების მაღალი მაჩვენებელი – არანაკლებ 80%-იანი ბარიერის დაძლევა; გადამზადებულ თანამშრომელთა საბოლოო შეფასების მაღალი მაჩვენებელი – არანაკლებ 70%-იანი ბარიერის დაძლევა; ნოტარიუსთა კომუნიკაციის კორპორატიულ ქსელში საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოსთვის ნოტარიუსთა 75%-ის ჩართვა; სანოტარო დოკუმენტების ცენტრალიზებულ ელექტრონულ არქივში 2016 წლის ბოლოსთვის განთავსდება 2,8 მლნ-მდე ონლაინმინდობილობა და ვიდეოჩანაწერი; ნოტარიული მომსახურების ხელმისაწვდომობა ყველა ქალაქსა და რაიონში

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 11)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სააგენტოს ინფრასტრუქტურის განვითარება, სასერვერო ინფრასტრუქტურის გაძლიერება; გეოგრაფიული ობიექტების, მისი ნაწილებისა და კომპლექსების დამისამართება. ბინების, გზების, ქუჩების, პარკების, სკვერების და ა.შ. აღწერა-ინვენტარიზაცია, უძრავი ქონების მესაკუთრების იდენტიფიკაცია. სამისამართო სისტემის მოწესრიგება, შენობა-ნაგებობებისა და სხვა ფართებისათვის ნუმერაციის მინიჭება, ქუჩის სახელდებისათვის საჭირო სამისამართო პროექტების მომზადება; სახელმწიფო გეოდეზიური გეგმური და სიმაღლური საფუძვლის შესაქმნელად საჭირო მუდმივმოქმედი რეფერენსული GPS სადგურების ქსელის გაფართოვება, არსებული სახელმწიფო გეგმური გეოდეზიური ქსელის რეკონსტრუირება; ახალი ციფრული ტოპოგრაფიული რუკების შექმნის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; მიწის კადასტრისა და რეგისტრაციის ღონისძიებების ფარგლებში პრობლემური არეალების შერჩევა, გამოკვლევა და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, სახელმწიფო ამზომველების ქსელის ფორმირება, მიწის ნაკვეთების აზომვების განხორციელება GEO-CORS-ის გამოყენებით.</p>

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>განსახორციელებელი პროექტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი განახლებული ინფრასტრუქტურა; მონაცემთა დამუშავების სიჩქარის გაზრდა, საინფორმაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერა, სამისამართო სისტემის სრულყოფილი ბაზის შექმნა, ციფრული მონაცემების უზუსტობის გამორიცხვა, ელექტრონულ არქივზე დაინტერესებული პირების წვდომის ამაღლება, შემცირებული დავები მესაკუთრეთა შორის; ქვეყნის ტერიტორიაზე ერთგვაროვანი და უზუსტესი ადგილმდებარეობისა და სიმაღლის განსაზღვრის შესაძლებლობა GPS მოწყობილობის მეშვეობით, ტოპოგრაფიული რუკების შექმნა, სხვადასხვა ობიექტის (ჰესების, გზების, რკინიგზების და სხვა) დაპროექტება და მშენებლობა ნაკლები დანახარჯებით; ცენტრალიზებული ელექტრონული არქივი, ერთიან საძიებო სისტემაში კონსოლიდირებული დოკუმენტები მომხმარებელზე ორიენტირებული სარეგისტრაციო პროცედურები უძრავი ქონების ბაზრის განვითარების მხარდაჭერა.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>აღდგენილი გრავიმეტრიული პუნქტების, განხორციელებული სანიველირო სვლებისა და აერო-ფოტოგადაღებების რაოდენობა; მუდმივმოქმედი საბაზისო სადგურებისა და ამ სადგურების ქსელში მომხმარებელთა რაოდენობა; მიწის რეგისტრაციის მონაცემების დაზუსტება, მიწების პირველადი რეგისტრაციების დასრულება; მოწესრიგებული სამისამართო სისტემა და დამისამართებული ობიექტების რაოდენობა; განახლებული აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის რაოდენობა; ციფრულ მატარებელზე გადატანილი სააღრიცხვო წიგნების რაოდენობა და მოცულობა; შექმნილი ორთო-ფოტო გეგმების მოცულობა და სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურა; სკანირებული კარტოგრაფიული მასალების მოცულობა; დამუშავებული სარეგისტრაციო და დიგიტალიზებული საარქივო მასალების მოცულობა</p>

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი (05 02)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი
პროექტის აღწერა და მიზანი	საჯარო სექტორის აუდიტორთა სერთიფიცირების სისტემის სრულყოფა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი (მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი) სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, საჯარო სექტორის აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების განხორციელება და მომსახურების სისტემის სრულყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საჯარო ფინანსების და აუდიტის სისტემის განვითარების ხელშეწყობა, სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუციური განვითარება.

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
34 02	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	60,947.0	60,947.0	0.0	62,050.0	62,050.0	62,050.0
25 05	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	18,700.0	18,700.0	0.0	30,000.0	30,000.0	30,000.0
34 01	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	8,903.0	8,903.0	0.0	8,950.0	8,950.0	8,950.0
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,350.0	1,350.0	0.0	1,400.0	1,400.0	1,400.0
34 03	დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა	150.0	150.0	0.0	0.0	0.0	0.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		90,050.0	90,050.0	0.0	102,400.0	102,400.0	102,400.0

განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (34 02)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (სამინისტროს აპარატი)
პროექტის აღწერა და მიზანი	იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის განსახლება და მის შესაბამისად იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ღონისძიებების განხორციელება, მათთვის საცხოვრებელი ფართობების მოძიება, აშენება, რეაბილიტაცია და კერძო საკუთრებაში გადაცემა; დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით თბილისა და საქართველოს რეგიონებში მდებარე შენობების სარემონტო-სარებილიტაციო სამუშაოებთან და ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა; საკალალო მდგომარეობაში მყოფი დევნილთა განსახლების ობიექტების შესწავლა და რეაბილიტაცია; ბენეფიციართა რაოდენობის დაზუსტება და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე; იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაწევა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით; საცხოვრებელი ფართობების დაქირავების მიზნით დევნილთა ოჯახებისთვის ყოველთვიური სოციალური დახმარებების გაცემა; დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით რეაბილიტირებული და ახალაშენებული შენობების ელექტროენერგიის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე; იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე; გრძელვადიანი განსახლებისათვის განსაზღვრულ ობიექტებში (აშენებული, რეაბილიტირებული) დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ონისძიებების დასრულებამდე ობიექტების დაცვის მომსახურების შესყიდვა.
პროექტის მოსალოდნებელი საბოლოო შედეგი	დევნილთა გრძელვადიანი განსახლება, ჩასახლების ობიექტებში გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და საცხოვრებელი პირობები.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	იძულებით გადაადგილებული პირებისათვის კერძო საკუთრებაში გადაცემული საცხოვრებელი ბინების რაოდენობა; ჩასახლებული გარემონტებული ობიექტების რაოდენობა

იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (25 05)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
პროექტის აღწერა და მიზანი	იძულებით გადაადგილებული პირების სოციალური დაცვის, მათი ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით დევნილი მოსახლეობის სახცოვრებელი სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ დასახლებებში ადგილობრივი

	ინფრასტრუქტურის განვითარება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	დევნილთა დასახლებებში გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა; იძულებით გადაადგილებული პირების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	იძულებით გადაადგილებულ პირთათვის აშენებული და რეაბილიტირებული სახლების რაოდენობა და ხარისხი

იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (34 01)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი ; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები
	ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით დევნილთა, ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა, თავშესაფრის მამიებელთა, რეპატრიანტთა მიგრაციული ნაკადების რეგულირება, მათი დროებითი ან მუდმივი განსახლების ორგანიზება, ადაპტაციისათვის და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის საჭირო პირობების შექმნა და სოციალური დაცვა;
პროექტის აღწერა და მიზანი	დევნილი მოსახლეობის თვითკმარობის გაზრდა, სახელმწიფოზე მათი დამოკიდებულების შემცირება-აღმოფხვრა და უკიდურესად გაჭირვებული, დაუცველი დევნილების ერთიან სოციალურ პროგრამებში ინტეგრირება საერთო კრიტერიუმების საფუძველზე; რეპატრიანტის სტატუსის მამიებელთა აპლიკაციების სისტემატიზაცია, ანალიზი და განხილვა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად; არალეგარული მიგრაციის პრევენცია, დროებითი ლეგალური შრომითი მიგრაციის შესაძლებლობის გაზრდა; რეადმისიის ხელშეკრულების საფუძველზე დაბრუნებულთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფა და შესაბამისი მონაცემთა ბაზის შექმნა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოთხოვნის მქონე დევნილების გამოკვეთა, აღნიშნული ქონების შემდგომი პრივატიზაციის პროცესის მოსამზადებლად; ეკომიგრანტთა განსახლების ორგანიზება და ახალ საცხოვრებელ ადგილებზე მათი ადაპტაცია-ინტეგრაციის

პროცესის ხელშეწყობა.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (22 00)

პროექტის განმახორციელებელი	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენის, მათი შერიგებისა და დეოკუპაციისათვის საფუძვლის მომზადების მიზნით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰქონილი, სოციალ-ეკონომიკური და ნდობის გაღრმავების მიმართულებით განსახორციელებელი პროექტების ხელშეწყობა და კოორდინაცია. ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათვის განათლების, მედიისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება და მათი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარება. რეინტეგრაციის მიზნით ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელება.

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (34 03)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა; დასაქმების, მომსახურების, ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება; დევნილთა ჩასახლებებში, განსაკუთრებით სოფლად, შესაბამისი პროექტების საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო და სხვა ბიზნესპროექტების დაფინანსების უზრუნველყოფა; იძულებით გადადგილებულ პირთა ხელშეწყობა – ტექნიკური დახმარების გაწევა, ტრენინგებისა და სასწავლო ტურების ჩატარება და საჭირო ინვენტარით აღჭურვა; დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი სამოლოო შედეგი	დევნილთა გაუმჯობესებული სოციალური, საყოფაცხოვრებო და ეკონომიკური მდგომარეობა და მათი სახელმწიფო დახმარებაზე დამოკიდებულების ხარისხის შემცირება; განსახლების ადგილებში დაფინანსებული სასოფლო-სამეურნეო და სხვა ბიზნეს-პროექტები; დევნილების გადამზადების შედეგად, მათი შრომით ბაზარზე სრულყოფილი მონაწილეობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	საარსებო წყაროებით უზრუნველყოფილი დევნილთა რაოდენობა; დევნილთა განსახლების ადგილებში განხორციელებული ბიზნეს-პროექტების შედეგად დასაქმებული დევნილების რაოდენობა; პროფესიულად გადამზადებულ დევნილთა რაოდენობა, რომლებმაც შეძლეს დასაქმება

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
33 02	ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	71,905.0	58,105.0	13,800.0	73,200.0	74,800.0	76,000.0
39 02	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	54,786.0	54,225.0	561.0	54,600.0	55,600.0	56,600.0
42 01	მაუწყებლობის ხელშეწყობა	42,420.0	40,820.0	1,600.0	48,000.0	52,400.0	56,950.0
33 04	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	19,148.0	16,748.0	2,400.0	19,200.0	19,400.0	19,500.0
45 01	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	14,683.0	14,683.0	0.0	14,683.0	14,683.0	14,683.0
39 04	ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	6,985.1	6,465.1	520.0	6,920.0	6,920.0	6,920.0
33 01	საქართველოს კულტურისა და მეგლობა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	5,887.0	5,887.0	0.0	6,000.0	6,000.0	6,300.0
39 03	სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	5,784.0	5,784.0	0.0	5,800.0	5,800.0	5,800.0
55 02	რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება	3,500.0	3,500.0	0.0	3,500.0	3,500.0	3,500.0
39 01	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	3,325.9	3,325.9	0.0	3,400.0	3,400.0	3,400.0
45 09	საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ – ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	2,449.0	2,449.0	0.0	2,449.0	2,449.0	2,449.0
45 08	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	2,000.0	2,000.0	0.0	2,000.0	2,000.0	2,000.0

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
45 03	ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	1,768.0	1,768.0	0.0	1,768.0	1,768.0	1,768.0
45 04	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატისათვის გადასაცემი გრანტი	959.0	959.0	0.0	959.0	959.0	959.0
45 11	საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები	800.0	800.0	0.0	800.0	800.0	800.0
55 01	სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	700.0	700.0	0.0	1,500.0	1,500.0	1,500.0
45 13	ა(ა)იპ ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი	653.0	653.0	0.0	653.0	653.0	653.0
45 12	ა(ა)იპ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისთვის გადასაცემი გრანტი	500.0	500.0	0.0	500.0	500.0	500.0
45 06	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	447.0	447.0	0.0	447.0	447.0	447.0
45 05	საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი	261.0	261.0	0.0	261.0	261.0	261.0
45 07	წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	230.0	230.0	0.0	230.0	230.0	230.0
45 02	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	150.0	150.0	0.0	150.0	150.0	150.0
45 10	ა(ა)იპ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	100.0	100.0	0.0	100.0	100.0	100.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		239,441.0	220,560.0	18,881.0	247,120.0	254,320.0	261,470.0

ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (33 02)

პროექტის განმახორციელებელი	სახელმწიფო და დრამატული თეატრები, ანსამბლები ; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ქვეყნის პოპულარიზაციის და მისი პოზიტიური იმიჯის ჩამოყალიბების მიზნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც გაადვივებენ ინტერესს საქართველოს მიმართ და დაუმკიდრებენ მას სათანადო ადგილს ევროპული ცივილიზაციის ისტორიულ და მიმდინარე კონტექსტშისახელოვნებო ორგანიზაციებში კრეატიული აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობა, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ტრადიციების დაცვა და განვითარება; კლასიკური და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება; საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის უზრუნველყოფა და ანალოგიურ ღონისძიებათა საქართველოში მოწყობა; ქვეყანაში ხელოვნების პოპულარიზაცია, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში საერთაშორისო თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, კინო და საბალეტო ხელოვნების, წიგნის ფესტივალების, კონცერტებისა და გამოფენების მოწყობა-ხელშეწყობა; შემოქმედებითი (მათ შორის ფოლკლორული) კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების სხვადასხვა ქვეყნებში გასამართ ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა; რეგიონებში თეატრების ხელშეწყობა, აგრეთვე მათი სადადგმო ხარჯების დაფარვის თანადაფინანსება; კულტურის სფეროს მდგრადობის და ფინანსური გაძლიერების უზრუნველყოფა; კულტურის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მისი განხორციელების გზების დასახვა გადაუდებელი და ახლად წარმოქმნილი პრობლემების სწრაფად გადაჭრა; სამეზობლო პოლიტიკის შემუშავება, ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება; განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა მათ მიერ შექმნილი პროდუქტების კომერციალიზაციისათვის; საინვესტიციო პროექტების შერჩევა, მომზადება, განხორციელება და მონიტორინგი.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოს, როგორც უნიკალური და უძველესი კულტურით, ასევე თანამედროვე კულტურით ღირსეული ადგილის დაკავება შეოფლიო კულტურის სივრცეში; განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან; საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ჯგუფებში ქვეყნისადმი პოზიტიური განწყობის ამაღლება. საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში განხორციელებული ახალი დადგმებით, გასტროლებით, კონცერტებით, კონკურსებით, ფესტივალებით, გამოფენებით, კინოფილმების ჩვენებით, ახალი წიგნებით, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩინებით კულტურულ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების, მქონე პირთა ინტეგრირებით საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის ამაღლება, გემოვნების დახვეწა და ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. გაუთვალისწინებელი პრობლემებისა და კრიზისების წარმატებული მართვა; კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ქართველ ხელოვანთა მიღწევები, მათი აღიარება საერთაშორისო ასპარეზზე და დადებითი გამოხმაურება მედიაში; საქართველოსა და საზღვარგარეთ ორგანიზებული მუსიკალური ფესტივალების, სპექტაკლების და გამოფენების რაოდენობა; საზღვარგარეთ ჩატარებული საქართველოს კულტურის პრეზენტაციის დღეების რაოდენობა; განხორციელებული ღონისძიებებისადმი მასედიის, საზოგადოების ინტერესის, ღონისძიებებზე

დამსწრეთა, რეალიზებული ბილეთების, მათ შორის ტურისტების დასწრების მაჩვენებლები ; ეროვნულ უმცირესობათა კულტურის განვითარების მხარდამჭერი პროექტების რაოდენობა

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (39 02)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზდების ეროვნული ცენტრი ; სსიპ ქართული სპორტის მუზეუმი ; სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ქართული ფეხბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, სხვადასხვა ასაკობრივი, ქალთა და ფუტსალის ნაკრებებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა;ქართული რაგბის შემდგომი განვითარება და საერთაშორისო ასპარეზზე ღირსეულად წარმოჩენა;ქართული კალათბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, საკალათბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია, ეროვნული ნაკრები და სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრები გუნდებისათვის ყველა საჭირო პირობების შექმნა, შემდგომი წინსვლისათვის ხელის შეწყობა და ყოველმხრივი დახმარება;საქართველოში სპორტის შემდგომი განვითარება, ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები);ფარიკაობის, ჭადრაკის, ხელბურთის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, სახეობების მიხედვით შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, ეროვნული, ასაკობრივი და ქალთა ნაკრებებისათვის სათანადო პირობის შექმნა;საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვის და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდისათვის ხელშეწყობა;ოლიმპიური თამაშებისათვის მეტი ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად საქართველოს ნაკრები გუნდების მზადება და ოლიმპიადებზე საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის ხელშეწყობა;პარაოლიმპური სპორტის განვითარებისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. პარასპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება;საქართველოს კადეტთა და იუნიორთა ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატების მომზადება;საქართველოს რეგიონებში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარება, რეგიონებში სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მასობრივი სპორტისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და დანერგვა, საჯარო სკოლების ჩაბმა სპორტულ გასართობ თამაშებში;საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა. რეგიონებში სპორტული ცხოვრების განვითარება, სპორტული ინვენტარის, ეკიპირებისა და მოწყობილობების შემენა;ქართული სპორტის წარმატებების ამსახველი მასალების შეკრება, დაკომპლექტება, აღრიცხვა, შენახვა-დაცვა, შესწავლა და პოპულარიზაცია;ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი-2015-ისთვის“ შესაბამისი სპორტული რეზერვის მომზადება სპორტის 9 სახეობაში.</p>

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები; მოსახლეობაში დაწერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი; ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით; გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა; ფიფას სტანდარტებით მოწყობილი საფეხბურთო ინფრასტრუქტურა, შესაბამისი ინვენტარით, ეკიპირებით და სათანადო სამედიცინო დონის მომსახურეობით უზრუნველყოფილი ნაკრებები; მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტების რაოდენობა; სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა; საქართველოდან ოლიმპიური, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების რაოდენობა

მაუწყებლობის ხელშეწყობა (42 01)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლი; სსიპ - საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო
პროექტის აღწერა და მიზანი	საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაცემების, ფილმებისა და სპორტული ღონისძიების, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მომზადება და გაშუქების უზრუნველყოფა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უწყვეტი ეთერის უზრუნველყოფა, საზოგადოებისათვის ხარისხიანი საინფორმაციო და ტელეგადაცემების მიწოდება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (33 04)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; სახელმწიფო მუზეუმები და სახლ-მუზეუმები
პროექტის აღწერა და მიზანი	მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა; საქართველოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, დაცვა და პოპულარიზაცია. ინფრასტრუქტურის განვითარება, სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო ღონისძიებების განხორციელება; სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია; UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება; მუზეუმებისა და კულტურული ძეგლების ინფრასტრუქტურის განვითარება; კულტურული მემკვიდრეობის აღგილებში ტურისტების რაოდენობის ზრდა.

<p>საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>	<p>ვიზიტორთა რაოდენობა ; რესტავრირებული კულტურული ძეგლების და ექსპონატების რაოდენობა</p>
--	--

მუზეუმების ხელშეწყობა (33 04 01)	
პროექტის განმახორციელებელი	სახელმწიფო მუზეუმები და სახლ-მუზეუმები ; საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	მუზეუმების ახალ ექსპოზიციათა და მოძრავ გამოფენათა მოწყობა. მუზეუმებში არსებული ექსპონატების განახლება, მუზეუმების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა, მუზეუმების ფონდების პასპორტიზაცია, ახალი გამოცემები, საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროგრამების შემუშავება და განხორციელება; მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვა-კონსერვაცია თანამედროვე გამოცდილების გათვალისწინებით; მუზეუმებში დაცული საგანმურის დაცვის პირობების გაუმჯობესება და ტექნიკური პრობლემების მოგვარება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მუზეუმების ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; რესტავრირებულ და კონსერვირებულ მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები; მუზეუმების კოლექციების, კატალოგებისა და გზამკვლევების მომზადებითა და გამოცემით მუზეუმებში დაცული ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია; საქართველოს მუზეუმების პოპულარიზაციის გაზრდილი დონე – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	საზღვარგარეთ მოწყობილი გამოფენების და წარმოდგენილი ექსპოზიციების რაოდენობა ; გამოცემული სამუზეუმო მეთოდოლოგიური ლიტერატურა ; მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (33 04 02)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების (ისტორიული დასახლებებისა და ქალაქების), კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და რებილიტაცია; მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების შექმნა მათი სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის; სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მდგომარეობის კონტროლის, პრევენციული კონსერვაციისა და რისკისათვის მზადყოფნის მიზნით ეფექტური მექანიზმების შექმნა; ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შექმნის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის შევსება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია მომავალი თაობებისათვის შესანარჩუნებლად და ტურიზმისათვის მიზიდველი გარემოს შესაქმნელად; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება; კვლევის შედეგად მიღებული

	<p>ახალი მასალების, მუზეუმ-ნაკრძალების შესახებ გზამკვლევების, ქართული ხუროთმოძღვრებისა და სხვა მასალების წიგნებად, ალბომებად, კრებულებად გამოცემა; არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების ინვენტარიზაცია, მათი დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების შემუშავება; ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებული საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება; ძეგლთა დეტალური სააღრიცხვო, კვლევითი და სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა სადიაგნოსტიკო დოკუმენტაციის შექმნა; კულტურული მემკვიდრეობის უძრავ-მოძრავი ნიმუშების, ობიექტებისა და ძეგლების სისტემატიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ჩართვა; მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა; მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით.</p>
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>ვიზიტორთა რაოდენობა ; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტთა დასკვნები და შეფასებები ; კულტურული მემკვიდრეობის შესწავლილი, სისტემატიზებული ნიმუშები, ობიექტები და ძეგლები ; კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 50-მდე სარეაბილიტაციო პროექტის და რესტავრირებული ძეგლების რაოდენობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ ; საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი იდენტიფიცირებული, ინვენტარიზირებული და სისტემატიზირებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები/ძეგლები</p>

სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი (45 01)

პროექტის განმახორციელებელი	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდის მიზნით დაფინანსდება საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქართველოს საქართველოს სხვადასხვა (მ.შ. მაღალმთავა) რეგიონებში, კერძოდ, სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები, დედათა და ბავშვთა სახლები, ობილ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები.</p>

ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (39 04)

პროექტის განმახორციელებელი	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აპარატი ; სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი ; სსიპ საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი ; სსიპ – საქართველოს მოსწავლე - ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე
პროექტის აღწერა და მიზანი	სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და წახალისება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა,

	<p>თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ხარჯვის ორგანიზება, საქართველოს ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა; ახალგაზრდა და პოტენციურად მომგებიანი ბიზნეს იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა; ბავშვთა და ახალგაზრდობის გონიერივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვის ხელშეწყობა, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბების და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა. ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებით შემოქმედებითი და დასვენება გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება; კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით; პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა; პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი-2015“ ფარგლებში კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართული, სამოქალაქო თვითშეგნებითა და პატრიოტული სულისკვეთებით გაზრდილი ახალგაზრდები; ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების აქტივობების ზრდა; ქართველ და უცხოელ ახალგაზრდებს შორის საქმიანი თანამშრომლობა, ახალგაზრდებში გაზრდილი სამოქალაქო ცნობიერება და კანონის პატივისცემა, ახალგაზრდების მხრიდან თავისუფალი დროის შინაარსიანი და ეფექტური ხარჯვა; კულტურულ-შემოქმედებით და საერთაშორისო ღონისძიებებში ახალგაზრდები; წახალისებული და მოტივირებული ახალგაზრდები.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>წარმატებული და ინიციატივიანი ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა; ახალგაზრდული ორგანიზაციების რაოდენობის ზრდა; წახალისებული და მოტივირებული ახალგაზრდების რაოდენობის ზრდა</p>

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (33 01)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; ერთიანი სამუზეუმო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება; სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა; კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდა შემოქმედთა მხარდაჭერა; საზღვარგარეთ საქართველოს კულტურის ცენტრების შექმნის ხელშეწყობა, კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების

ორგანიზება;საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური კულტურის კერებისა და ფონდების შექმნა;კულტურულ ღირებულებათა დაცვა, მათი შესწავლა და პოპულარიზაცია.

სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (39 03)

პროექტის განმახორციელებელი	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს აპარატი
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ოლიმპიური ჩემპიონების, საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების დახმარება და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საწვრთნელი პროცესის წარმართვისათვის ხელის შეწყობა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ოლიმპიური ჩემპიონების, საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენების და სპორტის მუშაკების დახმარება და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება; თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საწვრთნელი პროცესის წარმართვაში ხელშეწყობა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ფინანსურად უზრუნველყოფილი პროგრამის ბენეფიციარები და სტიმულირებული სპორტსმენების რაოდენობა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროების სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (39 01)

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ფიზიკური აღრწიდისა, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია; სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა; სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტის სფეროში კვალიფიკაციის ამაღლების კოორდინაცია, ერთიანი სპორტული კლასიფიკაციის შემუშავება და დამტკიცება, სპორტის სახეობათა, პროფესიული და მოყვარულთა სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციების სტატუსის განსაზღვრა; სპორტულ ასოციაციებთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებსა და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა; სპორტში აკრძალულ მასტიმულირებელ საშუალებათა გამოყენების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელება; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა; ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად მათი განხორციელება; თავისი კომპეტენციის ფარგლებში სპორტთან და ახალგაზრდობასთან დაკავშირებული კანონპროექტების შემუშავება; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების განვითარებისათვის საჭირო სამშენებლო,

	სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების წარმოება.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში გატარებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა. .
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება ; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხობრების წესის დამკვიდრება ; სპორტის სფეროში მაღალი შედეგები ; სპორტის მასობრიობა ; სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისობაში მოყვანილი კანონმდებლობა

საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	89,175.0	89,115.0	60.0	104,700.0	104,700.0	109,700.0
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3,100.0	3,100.0	0.0	3,100.0	3,100.0	3,100.0
21 00	დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,200.0	1,200.0	0.0	1,200.0	1,200.0	1,200.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		93,475.0	93,415.0	60.0	109,000.0	109,000.0	114,000.0

საგარეო პოლიტიკის განხორციელება (28 01)

პროექტის განმახორციელებელი	<p>საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>საერთაშორისო არენაზე ქვეყნის ინტერესების გატარება, საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებისა და დასახული ამოცანების შესრულება; საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებით საქართველოს დეოკუპაციისა და ოკუპანტი სახელმწიფოს მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის უზრუნველყოფა, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება; რუსეთზე საერთაშორისო თანამეგობრობის ზეწოლის გაძლიერების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რათა მან სრულად შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება; რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულების აღება; ოკუპირებული რეგიონების მიმართ საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება; ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერება; ნატო-ში გაწევრიანების პროცესის ხელშეწყობა; ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიმართ მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფა; შშ-თან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება და მისი როლის გაძლიერება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის პროცესშირუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება; დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია სუამ-ის და შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ფორმატში რეგიონული და რეგიონთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება და კონკრეტული პროექტების განხორციელება; ქართული პროდუქციის სამართლებრივი მომავალი და ეკონომიკური მოწიდვა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და სტიმულირება; საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა; უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა, მათთვის შეღავათანი პირობების შექმნა და სოციალური უსაფრთხოების დონის ამაღლება.</p>

საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (28 01 01)

პროექტის განმახორციელებელი	<p>საქართველოს საგარეოს საქმეთა სამინისტრო</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დარჩენილ წევრ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება; საქართველოს დიპლომატიური დაწესებულებების ქსელის გაფართოება; არსებული წარმომადგენლობების მიერ გადაფარვის არეალის გაზრდა; ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პროცესის ინტენსიფიკაცია; ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს აქტიური მონაწილეობა; საქართველოს და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების დროებითი გამოყენება და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელება; ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია და საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური დიალოგის ინტენსიფიკაცია; ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება; უელსის სამიტის შედეგად საქართველოსთვის „სპეციალური პაკეტის განხორციელების ხელშეწყობა; ნატო-ს წევრ ქვეყნებთან აქტიური</p>

	<p>პოლიტიკური კონსულტაციების წარმოება; წლიური ეროვნული პროგრამით გათვალისწინებული რეფორმების სათანადოდ წარმოჩენა; საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განხორციელების მიზნით ორგანიზაციები და მრავალმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარება და ინტენსიფიკაცია; საერთაოშიროსო ორგანიზაციების ფარგლებში (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) თანამშრომლობის გაღრმავება საქართველოში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებათა დაცვის განმტკიცების მიზნით, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესში მათი როლის გასაძლიერებლად; აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა რეგიონულ დასაერთაშორისო ღონისძიებებში, მისი ცნობადობის ამაღლების მიზნით. აფხაზეთის რეგიონშირეგისტრირებული ბიზნეს-ოპერატორების ქართულ და უცხოურ ბიზნეს წრეებთან, საქართველოსცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, საქმიანი კავშირების გაღმავების ხელშეწყობა. მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით, თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში საქართველოს სრულფასოვანი მონაწილეობა და ამ პროცესებში დიპლომატიური ურთიერთობების აქტიური გამოყენება; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ეფექტური მომსახურება და კრიზისულ სიტუაციებში შესაბამისი დახმარების გაწევა, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის კუთხით მუშობის გაუმჯობესება.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ საქართველოს მხარდაჭერი რეზოლუციების და სხვა დოკუმენტების მიღება; საქართველოს დევნილების და იმულებით გადაადგილებული პირების პრობლემატიკის აქტუალიზაცია საერთაშორისო არენაზე; ეურევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატისა და დღის წესრიგის შენარჩუნება და მირითად საკითხებზე პროგრესის მიღწევა; ოკუპირებული რეგიონების არაღიარებასთან და რუსეთის, როგორც ოკუპანტ სახელმწიფოსთან დაკავშირებით ერთიანი მტკიცე პოზიციის ჩამოყალიბება საერთაშორისო არენაზე; ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის იმპლემენტაციისთვის შემუშავებული ეროვნული სამოქმედო გეგმით 2015 წელს გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება; ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება; სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის დასრულება; მაღალი დონის ვიზიტების განხორციელება საქართველოსა და ევროკავშირში; ჩრდილოატლანტიკური აღიანსის წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) წარმატებით განხორციელების შედეგად ნატოს სტანდარტებთან მიახლოება; „სპეციალური პაკეტით“ გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და ალიანსში წევრობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა; აშშ-ს და ევროპის სახელმწიფოების მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცების, ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერის შემდგომი გაძლიერება; ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის რეგიონის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება; სხვადასხვა რეგიონის ქვეყნებთან ვიზიტების, კონსულტაციების თუ სხვა სახის ღონისძიებების მეშვეობით მუდმივი კავშირების შენარჩუნება და განმტკიცება; საქართველოს საინვესტიციო გარემოს, ეკონომიკური რეფორმების, ადგილობრივი რესურსების, აგრეთვე საქართველოს საგარეო სავაჭრო და ევროკავშირის ბაზარზე შექმნილი პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების შესახებ საზოგადოების ინფორმირება; ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება კულტურის, განათლებისა და მეცნიერების სფეროებში, თანამშრომლობა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების OECD, WTO, ICAO, IMO, გაეროს ეკონომიკური კომისიებისა (ECOSOC, UNECE, UNESCAP, UNCTAD) და რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების (BSEC, სუამი) ფორმატებში; საქართველოს მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახის დახმარების</p>

	აღმოჩენა პრობლემების მოგვარების კუთხით, ასევე, მათი უზრუნველყოფა საჭირო დოკუმენტაციით.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არაღიარების პოლიტიკის შენარჩუნება/განმტკიცება და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა ; ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება ; საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების მქონე ქვეყნების, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და გადაფარვის ქვეყნების რაოდენობა ; საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო ორგანოების მიერ საქართვლოს მხარდაჭერი რეზოლუციების/განცხადებების რაოდენობა ; საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვის მიზნით ხელმოწერილი შეთანხმებების და ინიცირებული პროექტების რაოდენობა; საკონსულო დეპარტამენტსა და საზღვარგარეთ საქართველოს საკონსულო სამსახურებს შორის კოორდინაციის მექანიზმების გაუმჯობესება

საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (28 01 02)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური წევრობა ქვეყნის ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება საერთაშორისო არენაზე; პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მიღება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, საქართველოში განხორციელებული პროექტები ; საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ფინანსური თუ სხვა ტიპის ვალდებულებების შესრულება

საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (28 01 03)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა ოფიციალური დოკუმენტების თარგმნა, საქართველოში აკრედიტებული უცხოურ ორგანიზაციებთან კავშირების დამყარება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	დოკუმენტების თარგმნის ხარისხის გაუმჯობესება, სხვადასხვა ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებული სირთულეების აღმოფხვრა.

<p>შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>	<p>სსიპ - საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიუროსა და საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების რაოდენობა ; ხარისხიანად ნათარგმნი დოკუმენტების რაოდენობა</p>
--	---

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (20 00)

<p>პროექტის გნმახორციელებელი</p>	<p>სსიპ - საინფორმაციო ცენტრი ნატოს შესახებ ; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</p>
<p>პროექტის აღწერა და მიზანი</p>	<p>ნატო-საქართველოს კომისიის სხდომების კოორდინაცია;საქართველოს 2015 წლის წლიური ეროვნული პროგრამის შემუშვება და განხრციელების მონიტორინგი და კოორდინაცია; თვით-შეფასების დოკუმენტის მომზადება;საზოგადოების ინფორმირება ნატო-სა და ნატო-საქართველოს ურთიერთობების შესახებ;ნატოსთან არსებით ღონისძიებათა პაკეტის განხორციელებისადმი საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვების ხელშეწყობა;;ერთის მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა“ და „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის“ 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია;ევროკავშირის ინიციატივების - „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ (Eastern Partnership) და „პარტნიორობა მობილურობისათვის“ (Mobility Partnership) ფარგლებში თანამშრომლობის განვითარება;ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის 2014-2017 წლების სტრატეგიის 2015 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია;ევროკავშირის დახმარების ფარგლებში გათვალისწინებული საერთაშორისო ფინანსური შეთანხმებების მომზადება და ხელმოწერა, მიმდინარე ევროკავშირის პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების უფლებური კოორდინაცია დახმარების მიმღები დარგობრივი უწყებების შესაძლებლობების გაზრდა ევროკავშირის დახმარების პროექტების განხორციელების პროცედურების შესახებ.</p>

<p>დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (21 00)</p>	
<p>პროექტის გნმახორციელებელი</p>	<p>დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</p>
<p>პროექტის აღწერა და მიზანი</p>	<p>ქართული დიასპორის მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობით მათთვის კონკრეტული პროექტების შეთავაზება და მათი პოპულარიზაცია;</p> <p>ყოველწლიურად საქართველოში დიასპორის დღის აღნიშვნა და ამ დღისადმი მიმღებილ კულტურულ ღონისძიებებში ქართული დიასპორის წარმომადგენელთა ჩართვა;</p> <p>უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, საზღვარგარეთ არსებული დიასპორული ორგანიზაციების, საკვირაო</p>

სკოლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების მხარდამჭერი ღონისძიებების დაფინანსება, ქართული სახლების არეალის გაფართოება;

საქართველოში და საზღვარგარეთ ბიზნეს-სამეცნიერო ფორუმების გამართვა, ქართული კომპანიების დიასპორულ ორგანიზაციებთან დაკავშირება, უცხოეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენებისათვის საინვესტიციო პროექტების შეთავაზება და საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ქართული დიასპორის კავშირების გამოყენება.

სოფლის მეურნეობა

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
37 01	სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	252,993.0	212,895.0	40,098.0	247,340.0	239,900.0	247,470.0
37 02	სურსათის უცნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	29,171.0	24,681.0	4,490.0	31,500.0	31,700.0	31,800.0
37 03	მეცნახეობა-მეღვინეობის განვითარება	20,344.0	19,856.0	488.0	25,100.0	25,100.0	25,100.0
37 04	სოფლის მეურნეობის დარგში სამცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	10,018.0	10,018.0	0.0	14,000.0	14,000.0	14,000.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		312,526.0	267,450.0	45,076.0	317,940.0	310,700.0	318,370.0

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა (37 01)

პროექტის განხორციელებელი	<p>შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“ ; ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ ; სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“ ; საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო</p> <p>ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება ეროვნული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით;</p> <p>სარწყავი და დამშრობი სისტემის, წყალსაცავების რეაბილიტაცია;</p> <p>სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენა;</p> <p>ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციისთვის ღონისძიებების განხორციელება;</p> <p>სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა;</p> <p>სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის საწარმოების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა;</p> <p>მცირემიწიანი ფერმერებისათვის, რომლებიც ფლობებ 1,25 ჰექტარის ჩათვლით მიწის ნაკვეთს, სარგებლის სახით მიწის ნაკვეთის ხვნის სერვისის ან/და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა საქონლის (სასუქები ან/და სათესლე მასალა ან/და სასოფლო-სამეურნეო ქიმიური საშალებები) უსასყიდლოდ მიწოდება; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევაში თანამონაწილეობა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურის განვითარება;</p> <p>სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;</p> <p>ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა;</p> <p>დამუშავებული ფართობების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდა;</p> <p>სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა;</p> <p>სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება;</p> <p>სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროკურედიტის ხელმისაწვდომობის ზრდა; აგროსექტორში სადაზღვეო ბაზრის განვითარება; ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება;</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>გასარწყავებული და დაშრობილი ფართობების მაჩვენებელი ; ლიზინგის სისტემის მეშვეობით დაფინანსებულ პირთა რაოდენობა ; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის ზრდა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებლის გაუმჯობესება ; შეღავათიანი აგროკურედიტებით დაფინანსებულ პირთა რაოდენობა ; დაზღვეული</p>

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის რაოდენობა ; სექტორში დასაქმებულ ფერმერთა რაოდენობა ; სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა ; მცირემიწიანი ფერმერების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მოსავლიანობის ზრდა

სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (37 01 01)

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>აგროსასურსათო სექტორში შემოსავლების ზრდისა და სასურსათო უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და ეფექტურად განხორციელება;</p> <p>ქვეყანაში სოფლის მეურნეობის, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა;</p> <p>სოფლის მეურნეობის პროდუქციის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების ჰარმონიზაციის ხელშეწყობა.</p>

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და აღმინისტრირება რეგიონებში (37 01 02)

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>საინფორმაციო, აგროტექნოლოგიური, აგრო-ტექნიკური, აგროსაკონსულტაციო, სასწავლო-საკვალიფიკაციო და სხვა ტიპის მომსახურების უზრუნველყოფა;</p> <p>მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის მდგრადი აგრარული პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელება და ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის ხელშეწყობა.</p>

სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია (37 01 03)

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია. სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, მანქანა-მექანიზმებისა და მოწყობილობების შეძენა სამელიორაციო ობიექტებზე საექსპლუატაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების საწარმოებლად; შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ სუბსიდირება სარწყავი და დამშრობი სისტემების ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებებისათვის, მექანიკური სატუმბი სადგურების ფუნქციონირებისათვის მოსახმარი ელექტროენერგიის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებებისთვის საჭირო ხარჯების</p>

	დასაფინანსებლად.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება; სარწყავი მიწების წყლით გასარწყავებული გაუმჯობესება; დაშრობილი და განვითარება; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება;
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	დამატებით 12-14 ათასი ბენეფიციარისთვის მორწყვის გარანტირებული შესაძლებლობა ; 19 000 ჰა -ით გაზრდილი სარწყავი მიწების მაჩვენებელი, 3280 ჰა დაშრობილი ფართობი, 17 000 ჰექტარზე სარწყავი წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (37 01 04)

პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ჩატარდება ქართული აგროსასურსათო პროდუქციის გამოფენა-დეგუსტაციები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, რომლთა ფარგლებშიც განხორციელდება წარმომადგენლობითი, კულტურული და სარეკლამო ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას, დამატებითი პრიორიტეტული გასაღების ბაზრების მოპოვებას, ბიზნესკონტაქტების დამყარებას და საკვები პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები (37 01 05)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინსტიტუციური განვითარების, სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ხარისხის და რაოდენობრივი კოეფიციენტის გაუმჯობესების, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კოოპერატივების თავის დამკვიდრების მიზნით განხორციელდება: კოოპერატივების მეპაიეთათვის და გამგეობის/დირექტორატის წევრთათვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ჩატარება (მენეჯმენტი, გაყიდვები და მარკეტინგი, სამართლებრივი საკითხები, საგადასახადო საქმე, ფინანსური აღრიცხვა, პროგნოზირება, ინფორმატიკა, კოოპერაციის

	<p>პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი</p>	<p>თანამედროვე IT ინფრასტრუქტურითა და მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფილი კოოპერატივები;კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება;კოოპერატივების მიერ მოგების მიღების პოტენციალის ზრდა.</p>
<p>შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები</p>	<p>შექმნილი 100-მდე კოოპერატივის ონლაინ-პროფილი ; კოოპერატივების მიერ წარმოებული ან/და გადამუშავებული პროდუქციის 3 გამოფენა-გაყიდვის ღონისძიების ჩატარება ; ტრენერთა ტრეინინგების და შესაბამისი სტაჟირებაგავლილი დაახლოებით 40 ბენეფიციარი ; ციკლური ტრეინინგების მეშვეობით თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების დანერგვის მიმართულებებით კვალიფიკაცია ამაღლებული 5-დან 10-მდე კოოპერატივის მეპაიე ; კვალიფიკაცია ამაღლებული 600-დან 900-მდე მეპაიე, ან/და გამგეობის/დირექტორატის წევრი ; სახელმძღვანელო მითითებების დისტრიბუცია დაახლოებით 200 კოოპერატივის მეპაიესათვის, ან/და გამგეობის/დირექტორატის წევრისათვის ; „საინფორმაციო ბანკში“ განთავსებული 200-დან 300 მდე მომხმარებლის შესახებ ინფორმაცია</p>	

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (37 01 06)

პროექტის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სოფლის მეურნეობის დარგში დაგეგმილი და მიმდინარე პროექტების მართვა და ეფექტური განხორციელება.

შეღავათიანი აგროკურედიტები (37 01 07)

პროექტის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის საწარმოების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა; ბენეფიციარებზე სესხები (ან ლიზინგი) გაიცემა პროექტში მონაწილე საფინანსო ინსტიტუტებიდან, ხოლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“ განახორციელებს ამ სესხები (ან ლიზინგის) საპროცენტო სარგებელის თანადაფინანსებას. თანხა მოხმარდება, როგორც სააგენტოს მიერ 2013-2014 წელს „შეღავათიანი აგროკურედიტის პროექტის“ ფარგლებში გაცემულ სესხებს, ისე 2015 წელს გასაცემ სესხებსა და ლიზინგს; პროექტის ბენეფიციარი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული იურიდიული პირი; სესხის (ლიზინგის) მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოებისა და გადამამუშავებელი წარმოების საბრუნავი და ძირითადი საშუალებების დაფინანსება; განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალურ პირობებს განისაზღვრება საქართველოს მთავრობია.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების გახსნა და არსებულის გაფართოება; სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გაფართოება;
	სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის საბანკო კრედიტების გაიაფება და ხელმისაწვდომობის გაზრდა; სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ლიზინგით გაცემის ფორმის განვითარება; დარგში საბანკო სექტორის მონაწილეობის გაფართოება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	სასოფლო-სამეურნეო დარგის დაფინანსებაში არანაკლებ 10 კომერციული ბანკის მონაწილობა; არანაკლებ 3 000 ახალი სესხის და ლიზინგის გაცემა; აქტიური პორტფელის გაზრდა სავარაუდოდ 100 000 000 ლარით

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები (37 01 08)

პროექტის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
---------------------------------------	--

	<p>პროექტის პოტენციური ბენეფიციარები არიან ის ფიზიკური პირები, რომლებსაც საკუთრებაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს 1,25 ჰექტარი ფართობის ჩათვლით მიწის ნაკვეთი.</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ბენეფიციარები სარგებლის სახით უსასყიდლოდ მიიღებნ მათ საკუთრებაში ან ფაქტიურ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ხვნის სერვისს ან/და სასოფლო-სამეურნეო საქონელს (სასუქებს ან/და სათესლე მასალას ან/და სასოფლო-სამეურნეო ქიმიურ საშუალებებს).</p>
	<p>განსახორციელებელი ღონისძიებების დეტალურ პირობებს განისაზღვრება საქართველოს მთავრობა.</p>
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	<p>სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჩართული მცირემიწიანი ფერმერების საქმიანობის სტიმულირება;</p> <p>ბენეფიციარების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მოსავლიანობის ზრდა.</p>
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>სავარაუდოდ 200 ათასი ჰა მიწის ფართობის მოხვნა ; 750 ათასზე მეტი ბენეფიციარი მიიღებს ქვეპროგრამით გათვალისწინებულ სარგებელს</p>

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა (37 01 09)	
პროექტის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ანგარიშზე თანხის გადარიცხვის „შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის N36 და „იაპონური გრანტის პროგრამა 2KR ის ფარგლებში საპარტნიორო ფონდში დეპონირებული თანხების გამოყენების „შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 27 დეკემბრის N2587 განკარგულებების შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში 2015 წლის ვალდებულების დაფარვა.

აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (37 01 10)	
პროექტის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
პროექტის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება. განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევაში თანამონაწილეობა.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება; ფერმერებისთვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება;

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	10 000 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებზე მოსავლის დაზღვევა
---	--

აგროსექტორის ხელშეწყობა/განვითარება (37 01 12)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
პროექტის აღწერა და მიზანი	ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სამელიორაციო სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება; სოფლის მეურნეობის სექტორში სალიზინგო სისტემის განვითარება და შესაბამისად, სექტორში დასაქმებულ პირთათვის თანამედროვე ძირითადი სამუშალებებისადმი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა; შიდა საირიგაციო ქსელების რეაბილიტაცია; კლიმატზე ადაპტირებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება/გადამუშავება/რეალიზაციის მთლიანი ქსელის განვითარების ხელშეწყობა; „ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის პროექტის“ განვითარების ეტაპისთვის (პირველი ეტაპი) პროექტირებისა და კვლევების განხორციელება.
პროექტის მოსალოდნელი შუალედური შედეგი	სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; დაშრობილი და გასარწყავებული მიწის ფართობის ზრდა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების განვითარება.
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორები	1000 - მდე მცირე და 30 - მდე 100 000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტების გაცემა აგრობიზნესისა და პირველადი წარმოების სფეროში; დამატებით მორწყული 30 000 მდე ჰა ფართობი; 19 000 მდე კომლისათვის წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; 5000 მდე ფერმერისთვის გაუმჯობესებული წყლისა და ნიადაგის მართვის სისტემა

სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა (37 02)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ „სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია“; სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო“
პროექტის აღწერა და მიზანი	სურსათის უვნებლობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდება: სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი საწარმოების ინსპექტირება, სამომხმარებლო ბაზრის მონიტორინგი და პროდუქციის ლაბორატორიული კვლევა; თურქულის, ჯილეხის, ცოფისა და ბრუცელოზის ვაქცინაცია და ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა;

	<p>ცხოველთა იდენტიფიკაცია/პასპორტიზაციის სისტემის ჩამოყალიბება;</p> <p>ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი;</p> <p>საკარანტინო და მავნე ორგანიზმების გავრცელების წინაღმდეგ შესაბამისი ღონისძიებების ჩატარება და პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი;</p> <p>რეკომენდაციების გამოცემა ფერმერთა ზოგადი ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით;</p> <p>ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა საშიში მავნე ორგანიზმების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა;ყირიმ-კონგოს ცხელების გავრცელების ადგილებში ცხოველების, მათი სადგომებისა და სამოვრების ინსექტო-აკარიციდიული დამუშავება;სურსათის/ცხოველის საკვების და სასმელი წყლის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევა;მსხვილფეხა პირუტყვის ნოდულარული დერმატიტით დაავადების მაღალი რისკის ზონებში პირუტყვის ვაქცინაცია;</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>სამომხმარებლო ბაზარზე მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტების შემცირება/აღკვეთა;</p> <p>განსაკუთრებით საშიში მავნებლებისგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვა და მოსავლის შენარჩუნება კლიმატური პირობების გათვალისწინებით;</p> <p>ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევა-შენარჩუნება და სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმომობის პროდუქტების განთავსება;</p> <p>ბაზარზე უსაფრთხო პრეპარატების მიმოქცევა და წუნდებული პროდუქციის შემცირება/აღკვეთა;</p> <p>ლაბორატორიაში საკვლევად წარმოდგენილი ვარგისი ნიმუშების ოპტიმალურ ვადაში სწორი ტესტირება, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ამა თუ იმ დაავადებების პროფილაქტიკა და გამოვლენის შემთხვევაში ლოკალიზება-ლიკვიდაცია.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	ცხოველთა ზოონოზური დაავადებების რაოდენობა, ცხოველების ექსპორტის რაოდენობა და გეოგრაფიული არეალი ; სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნეს-ოპერატორების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან ; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (მცენარეული/ცხოველური) ექსპორტის ზრდა ; მავნებელი სურსათით გამოწვეული მოწამვლის შემთხვევების შემცირება ; საკვლევად წარმოდგენილი ყველა ვარგისი ნიმუშის გამოკვლევის დრო და სიზუსტე

მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება (37 03)

პროექტის განხორციელებელი	<p>სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>მევენახეობა-მედვინეობის დარღის განვითარების, ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისების და მომხმარებლის უხარისხო ღვინოპროდუქციისგან დაცვის მიზნით განხორციელდება:</p> <p>ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენების და პრესტურების მოწყობა, რომლთა ფარგლებშიც ჩატარდება წარმომადგენლობითი და კულტურული ღონისძიებები;</p> <p>სპეციალიზირებული უცხოური ჟურნალებისათვის საქართველოს მევენახეობა-მედვინეობის შესახებ სტატიების მომზადება-გამოქვეყნება;</p> <p>სარეკლამო რგოლების დამზადება და ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით საჭირო სხვა ღონისძებების განხორციელება;</p> <p>ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) მასპინძლობა ბრიუსელში;</p> <p>ალკოჰოლიანი სასმელების სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად ლაბორატორიული კვლევის ჩატარება;</p> <p>ვენახების ფართობების აღრიცხვა, რეგისტრაცია, პასპორტიზაცია, სპეციფიკური ზონების საზღვრების დაზუსტება;</p> <p>საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწების და მერქნის მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით შესწავლა და წიპწების მოპოვების მიზნით წარმოებულ არქეოლოგიურ გათხრებში თანამონაწილეობა;</p> <p>ვაზის აბორიგენული ჯიშების და ველური ვაზის მოლეკულური გენეტიკის მეთოდებით შესწავლა;</p> <p>კვლევები არქეოლოგიურ მასალაზე ღვინის ნაშთების აღმოსაჩენად;</p> <p>ლიტერატურული წყაროების მოძიება, შეკრება და პუბლიუკაციების მომზადება ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად;</p> <p>მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურმნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით მათი სუბსიდირება..</p> <p>ქართული ღვინოების პოპულარიზაცია და ახალი სამომხმარებლო ბაზრის ათვისება;</p> <p>მომხმარებლის დაცვა ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან;</p> <p>ვენახების ფართობებისა და ვაზის ჯიშების დადგენა;</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	

	<p>სანედლეულო ბაზის რესურსების დადგენა;</p> <p>ვაზის წარმოშობის შესახებ ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგების გამოყენებით ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაცია მსოფლიო ბაზარზე.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	შიდა და საექსპორტო ბაზარზე დაბალხარისხიანი ან ფალსიფიცირებული პროდუქციის აღკვეთა ; ვენახების ეროვნული კადასტრის ფორმირება ; ქართული ღვინოპროდუქტების ექსპორტის მოცულობა

სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება (37 04)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“
პროექტის აღწერა და მიზანი	საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა რეგიონების ნიადაგების მდგომარეობის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება; ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, კონსერვაცია, საკოლექციო და სადედე ნარგაობების შექმნა; ხილისა და ბოსტნეულის შენახვის უნარისა და ნედლად შენახვის ტექნოლოგიების კვლევა-შემუშავება; საქართველოში გავრცელებული შინაური ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სასარგებლო-სამეურნეო მწერების ექსპედიციური კვლევა, გენეტიკური ბანკის შექმნა.
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	შეიქმნება ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ერთიანი ეროვნული სტანდარტი; შემუშავდება ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიები; დადგინდება ნედლად შენახვის, შრობისა და სწრაფ გაყინვის ოპტიმალური რეჟიმები ნედლეულის სახისა და ჯიშური თავისებურებების გათვალისწინებით; მოძიებული იქნება ადგილობრივი ცხოველთა ჯიშებისა და პოპულაციების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო სასარგებლო მწერების ტიპიური სულადობა, მოხდება მათი იდენტიფიცირება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	მოძიებული და გაუმჯობესებული ადგილობრივი ცხოველთა ჯიშებისა და პუპულაციების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების რაოდენობა; გამოკვლეული და განოყიერებული ნიადაგების რაოდენობა; ვაზის უნიკალური ჯიშების გამრავლება; ხეხილის ინტროდუცირებული ჯიშების ახალი ბალების რაოდენობა

სასამართლო სისტემა

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	48,755.0	48,685.0	70.0	48,730.0	48,720.0	49,720.0
08 01	საქართველოს უზენაესი სასამართლო	6,615.0	6,615.0	0.0	6,615.0	6,615.0	6,615.0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	27,800.0	3,500.0	24,300.0	26,500.0	26,500.0	26,500.0
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	3,390.0	3,390.0	0.0	3,315.0	3,315.0	3,315.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საგუნი	2,700.0	2,700.0	0.0	2,700.0	2,700.0	2,700.0
26 12	აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	29,965.0	0.0	29,965.0	23,000.0	23,000.0	23,000.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		119,225.0	64,890.0	54,335.0	110,860.0	110,850.0	111,850.0

სასამართლო სისტემა (07 00 - 10 00)	
პროექტის განმახორციელებელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სასამართლო სისტემის მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართული ფუნქციონირებისათვის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის დაწერვა;</p> <p>მოსამართლეთა ვაკანტური ადგილების ეტაპობრივად შევსება. შესაბამისად საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კონკურსების ორგანიზება, მოსამართლედ გამწესება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო კურსის გავლის შემდეგ;</p> <p>ნაფიცი მსაჯულების და მსაჯულობის კანდიდატების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;</p> <p>საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭირვალობის და საჯაროობის პროცესის გაგრძელება;</p> <p>მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა; საზოგადოებისათვის სასამართლო რეფორმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.</p>
პროექტის მოსალოდნები საბოლოო შედეგი	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსამართლებსა და სასამართლოს აპარატის თანამშრომლებს შეექმნებათ მყარი სოციალური გარანტიები. 2. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ყველა რაიონული, საქალაქო და სააპელაციო სასამართლო განთავსებული იქნება გარემონტებულ და შესაბამისი სტანდარტით აღჭურვილ შენობაში. 3. მოხდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარება; 4. გაუმჯობესდება საქმისწარმოება, მართლმსაჯულება გახდება უფრო სწრაფი და ეფექტური; 5. საზოგადოებაში კიდევ უფრო ამაღლდება სასამართლო სისტემის ავტორიტეტი და ნდობის ხარისხი; 6. კონსტიტუციური კანონიერების, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	სასამართლოთა რაოდენობა, სადაც ამოქმედებულია საქმის მართვის წარმოების კომპიუტერული პროგრამა. ერთიან კომპიუტერულ სისტემაში ჩართული სასამართლოების რაოდენობა ; მიმდინარე კონსტიტუციური კანონიერების, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; რეფორმებისა და საკანონმდებლო სიახლეების შესახებ მომზადებული სარეკლამო რგოლების/კლიპების/საგაზეთო პუბლიკაციების რაოდენობა ; ნაფიცი მსაჯულებისა და მსაჯულობის კანდიტატების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც სრულად აუნაზღაურდათ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები ; მოსამართლეთა და სასამართლოს აპარატის თანამშრომელთა სოციალური დაცვის ხარისხი ; მოდერნიზებული და შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი სასამართლო შენობების რაოდენობა
სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო (46 00)	
პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

პროექტის აღწერა და მიზანი	სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიზანია კანონმდებლობით დადგენილი წესით და კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით განსაზღვრული ექსპერტიზისა და გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნის შედგენა და გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
--------------------------------------	---

აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (26 12)

პროექტის განმახორციელებელი	სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო
პროექტის აღწერა და მიზანი	მომსახურების ხარისხიანად და ეფექტურად წარმართვის მიზნით მომსახურების სათანადო სტანდარტების შემუშავება და დანერგვა; მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის შექმნა და განვითარება; ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით საინფორმაციო ბაზების გაუმჯობესება. მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებლების მიღწევა-შენარჩუნების მიზნით, მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევის პერიოდულად განხორციელების პრაქტიკის განვითარება; ბიზნეს პროცესების მონიტორინგის, კვლევისა და ოპტიმიზაციის სისტემების განვითარება; საქმის გაძლიერების თანამედროვე მეთოდების, კორპორატიული ეთიკისა და პროფესიული უნარების განვითარების მხარდამჭერი სისტემების დანერგვა;
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მიწოდებული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება; მიღებული სააღსრულებო მომსახურებით მომხმარებელთა კმაყოფილების დონის გაზრდა; პროგნოზირებად ვადებში საქმეების აღსრულების მაჩვენებელის გაუმჯობესება; აღუსრულებელი საქმეებისა და წაგებული სასამართლო პროცესების რაოდენობის შემცირება.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	მიღებული სააღსრულებო მომსახურებით მომხმარებელთა კმაყოფილების დონის 5% გაზრდა; 2013 წელს ჩატარებულ კვლევასთან შედარებით, ორგანიზაციის ნდობის ხარისხი 5%-ით გაზრდა; აღუსრულებელი საქმეების ოდენობა 50%-ით შემცირება საანგარიშო პერიოდის დასაწყისში დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

კოდი	დასახელება	2015 წლის პროექტი	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ. საკუთარი სახსრები	2016 წლის გეგმა	2017 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა
38 02	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	11,800.0	11,800.0	0.0	12,800.0	12,800.0	12,800.0
38 04	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	14,155.0	10,455.0	3,700.0	15,000.0	15,100.0	15,200.0
38 03	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	9,237.0	7,087.0	2,150.0	10,300.0	10,450.0	11,100.0
38 01	გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა	5,941.0	5,941.0	0.0	6,100.0	6,100.0	6,100.0
38 05	სანერგე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	877.0	677.0	200.0	950.0	950.0	950.0
38 06	გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	660.0	610.0	50.0	550.0	550.0	550.0
38 07	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია	9,550.0	0.0	9,550.0	9,500.0	9,500.0	9,500.0
სულ პრიორიტეტის დაფინანსება		52,220.0	36,570.0	15,650.0	55,200.0	55,450.0	56,200.0

გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (38 02)

პროექტის განხორციელებელი	<p>გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი</p> <p>გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება;</p> <p>გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის საშუალოვადიანი სტრატეგიის და განსახორციელებელ მოქმედებათა გეგმა-გრაფიკის შემუშავება/განხორციელება;</p> <p>რეგულირების ობიექტების შემოწმებათა განხორციელება ყოველწლიურად დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად;</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვების, გარემოს დაბინძურების ფაქტების გამოვლენისა და აღვეთის, ასევე ორგანიზაციათა მომართვებზე, მოქალაქეთა საჩივრებზე და შეტყობინებებზე რეაგირების მიზნით არაგეგმიური შემოწმებების განხორციელება;</p> <p>რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების ხელშემწყობი ღონისძიებების (პროგრამების) დანერგვა, მათ შორის, ამ მიზნით ელექტრონული საინფორმაციო სისტემების დანერგვა/განვითარება;</p> <p>გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სფეროში თანამშრომელთა უწყვეტი სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;</p>
პროექტის მოსალოდნები საბოლოო შედეგი	<p>გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულების უზრუნველყოფა.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე რეაგირების შედეგები ; სახელმწიფო კონტროლის საშუალოვადიანი სტრატეგიის განსახორციელებელ მოქმედებათა გეგმით დასახული ღონისძიებების შესრულების ანგარიში ; დამტკიცებული წლიური გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები ; კვალიფიკაცია ამაღლებულ თანამშრომელთა რაოდენობა ; რეგულირების ობიექტების რაოდენობა, რომლებიც აკმაყოფილებენ გარემოსდაცვითი ანგარიშების მოთხოვნებს</p>

სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 04)

პროექტის განხორციელებელი	<p>სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო</p>
-------------------------------------	--------------------------------------

<p>პროექტის აღწერა და მიზანი</p>	<p>ტყის მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა;</p> <p>ტყის რესურსების მართვის არსებული ელექტრონული სისტემის შემდგომი განვითარება;</p> <p>სააგენტოს თანამშრომელთა უწყვეტი სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება;</p> <p>მერქნულ რესურსზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ტყეკაფების გამოყოფა;</p> <p>ტყეების მრავალფუნქციური დანიშნულებით გამოყენების მექანიზმების შემუშავება;</p> <p>ტყის მოვლისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;</p> <p>ტყეების ეფექტურად მართვისა და ფიზიკური დაცვის გაუმჯობესების მიზნით სააგენტოს ინსტიტუციონალური გამლიერებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;</p> <p>ტყის ფონდის ფუნქციონალური ზონირებისა და ტყის ინვენტარიზაციის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტური სისტემის შექმნა;</p> <p>სახელმწიფო ტყის ფონდის დარეგისტრირებით ტყის ფონდის ტერიტორიების დაზუსტება, რითაც თავიდან იქნება აცილებული ტყის ფონდის ფრაგმენტაცია და ტყის ფართობების შემცირება.</p>
<p>პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი</p>	<p>ჩამოყალიბებული ტყის ფონდის მართვის ქმედითი სისტემა;</p> <p>საქართველოს ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების, მათ შორის ბიოლოგიური მრავალფეროვნების დაცვა;</p> <p>ტყის ეკონომიკური პოტენციალის ეფექტური გამოყენება გრძელვადიანი სარგებლის მიღების გათვალისწინებით;</p> <p>აღდგენილი ტყის ეკოსისტემები;</p> <p>გაზრდილი ტყით დაფარული ფართობები;</p> <p>მოსახლეობის მერქნული რესურსით მომარაგების მოწესრიგებული სისტემა;</p> <p>მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობა (ტურიზმი და რეკრეაცია, სატყეო მიწების სასოფლო-სამერნეო მიზნით სარგებლობა, არამერქნული რესურსები და სხვ).</p>

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>მერქნულ რესურსზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით გამოყოფილი ტყეეაფების მოცულობა ; კვალიფიციური სპეციალისტების გაზრდილი რაოდენობა ; შენარჩუნებული ტყის ფონდის ფართობი ; შემუშავებული სატყეო სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული დოკუმენტები და მეთოდოლოგიური ბაზა ; შემუშავებული ტყის მართვის გეგმები</p>
---	--

დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 03)

პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო</p> <p>დაცული ტერიტორიების გაფართოება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით;</p> <p>საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად;</p> <p>უნიკალური და იშვიათი ორგანული, თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების დაცვა მათი შენარჩუნების მიზნით;</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>დაცულ ტერიტორიებზე პათოლოგიური კვლევების ჩატარება, დაზიანებული ფართობების დადგენა და მავნებლებთან ბრძოლის მიზნით შესაბამისი პრეპარატების შეძენა;</p> <p>დაცულ ტერიტორიებისათვის ტურიზმის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშავების საფუძველზე ახალი ტურისტული სერვისების დაწერვა, რომლებიც თანხვედრაში არიან ეკოტურიზმის პრინციპებთან;</p> <p>ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით;</p> <p>ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის დაცვის, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს აღდგენისათვის და მის შესანარჩუნებლად.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>დაცული ტერიტორიების ფართობის ზრდა;</p> <p>საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა;</p> <p>ბუნებრივი წარმონაქმნების შენარჩუნება;</p> <p>ეკოტურიზმის განვითარება და დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა ნაკადის ზრდა;</p>

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>ეკოდერეფნებით ერთმანეთთან დაკავშირებული დაცული ტერიტორიები ; საქართველოს უნიკალური ბიომრავალფეროვნების დაცვისა და გადაშენებული სახეობების რეინტროდუქციის (სახეობების აღდგენა ისტორიულ არეალებში) გზით ჯანსაღი პოპულაციების რიცხოვნობის გაზრდილი რაოდენობა ; შექმნილი ტრანსასაზღვრო დაცული ტერიტორიების რაოდენობა ; ვიზიტორთა და შემოსავლების გაზრდილი რაოდენობა ; ახალი ეკოტურისტული პროდუქტების რაოდენობა</p>
---	---

გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (38 01)

პროექტის განმახორციელებელი	<p>საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს აპარატი</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>გარემოს დაცვისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;ნარჩენების, ქიმიური ნივთიერებების, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, ბიომრავალფეროვნების სახელმწიფო მართვა; მიწის დეგრადაციასთან ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა;გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაგეგმილი საქმიანობების შესწავლა (პოტენციური ეკოლოგიური საშიშროების რისკის შეფასება) და გარემოსდაცვით მოთხოვნათა და გარემოს დაცვის ნორმათა გათვალისწინებით დასაბუთებული საექსპერტო დასკვნების მომზადება;ბიომრავალფეროვნების მუდმივი მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული ცხოველთა, მათ შორის საქართველოს წითელ წუსხაში შეტანილი სახეობების აღრიცხვა და მდგომარეობის შეფასება; საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების ჩატარება, სახელმწიფო, არასამთავრობო, ბიზნეს და საერთაშორისო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება;დაინტერესებული მხარეებისთვის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>გარემოს ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნება, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება და მათი მდგრადი გამოყენება;ცხოველთა, მათ შორის საქართველოს წითელ წუსხაში შეტანილი სახეობების საწყისი მონაცემთა ბაზის შექმნა; ცხოველთა სახეობების ეფექტური დაცვის მექანიზმების შემუშავება; საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით საკითხებზე, გარემოსდაცვით აქტივობებში საზოგადოების ჩართულობა.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>ცხოველთა, მათ შორის საქართველოს წითელ წუსხაში შეტანილი სახეობების მონაცემთა ერთიანი ბაზა ; კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვები ; შემუშავებული და დამტკიცებული დარგობრივი გარემოსდაცვითი სტრატეგიები ; საქმიანობის შესწავლის საფუძველზე მიღებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურის თანახმად შენარჩუნებული გარემოს ეკოლოგიური წონასწორობა ; განახლებული გარემოსდაცვითი კანონმდებლობა</p>

სანერგე მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (38 05)

პროექტის განმახორციელებელი	<p>სსიპ - ეროვნული სატყეო სანერგე მეურნეობა</p>
---------------------------------------	---

პროექტის აღწერა და მიზანი	<p>მაღალი ხარისხის სარგავი მასალის (ნერგები) გამოყვანა ტყისა და ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განაშენიანებისათვის, მუნიციპალიტეტებისა და ქალაქებისათვის; ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის; ტყის ჯიშთა სარგავი მასალის გამოყვანისათვის ტრადიციული მეთოდისა (ღია გრუნტში) და ასევე კონტეინერული მეთოდის (სასათბურე მეურნეობაში) გამოყენება; გამოყვანილი ნერგების სახეობების ზრდა; ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობებისა და მაგისტრალური მილსადენების დაცვის ზონების უსაფრთხო ფუნქციონირების ფარგლებში საქართველოს „წითელი ნუსხაში“ შეტანილი სახეობების გარემოდან ამოღებით (ჭრით) გარემოსთვის მიყენებული ზიანის შესარბილებლად მათი დაცვა-აღდგენის ხელშეწყობა.</p>
პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	<p>ტყისა და ქარსაფარი ზოლების აღდგენ/განაშენიანება; მუნიციპალიტეტებისა და ქალაქებისათვის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კერძო მოთხოვნების დაკმაყოფილება მაღალი ხარისხის სარგავი მასალით (ნერგებით); საქართველოს „წითელი ნუსხაში“ შეტანილი მერქნიანი მცენარეების დაცვა-აღდგენის განხორციელება.</p>
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	<p>გამოყვანილი ნერგების რაოდენობა (300 ათასიდან 500 ათასამდე); განაშენიანებისთვის მიწოდებული ნერგების რაოდენობა; საქართველოს „წითელი ნუსხაში“ შეტანილი სახეობების გარემოდან ამოღებით (ჭრით) გარემოსთვის მიყენებული ზემოქმედების საკომპენსაციოდ, აღნიშნული სახეობების დაცვა-აღდგენის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები</p>

გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (38 06)

პროექტის გნმახორციელებელი	<p>სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა; გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით; გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის - საქართველოს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კოორდინაციის უზრუნველყოფა; საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების უზრუნველყოფა სხვადასხვა კამპანიების ორგანიზებით; შესაბამისი სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზების უზრუნველყოფა; მონაცემების სისტემატიზაციის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და გამარტივების მიზნით გარემოსდაცვით მონაცემთა სისტემის შექმნა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის და ანალიტიკური ანგარიშების მომზადებისა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის მიწოდების მოქნილი მექანიზმის უზრუნველყოფა.</p>

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოძიებისთვის საჭირო წყაროებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა; სხვადასხვა უწყებაში არსებულ, სათანადოდ დამუშავებულ, ადვილად აღსაქმელ და სანდო გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა; სხვადასხვა კამპანიებისა და პროგრამების ორგანიზების გზით საზოგადოებაში გაზრდილი გარემოსდაცვითი ცნობიერება; შესაბამისი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით გარემოს დაცვის საკითხებისადმი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების შეცვლილი ქცევა; სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზების გზით გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების გაძლიერებული შესაძლებლობები; სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო პროგრამული და სამართლებრივი უზრუნველყოფა.
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები	სამიზნე ჯგუფებისთვის მომზადებული და განხორციელებული გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების რაოდენობა; შექმნილი და გამართულად ფუნქციონირებადი წყლისა და ჰაერის მიმართულებებით მონაცემთა შეგროვების პროგრამა; სამიზნე ჯგუფებისთვის ჩატარებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი წვრთნების რაოდენობა და მომზადებული სასერტიფიკატო პროგრამების და გაცემული სერტიფიკატების რაოდენობა; ცენტრის მიერ დამუშავებული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მოცულობა; შექმნილი რეგულარულად განახლებადი ვებ-გვერდი

გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება და პრევენცია (38 07)

პროექტის გნომახორციელებელი	სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო
	<p>ჰიდრომეტეოროლოგიურ პარამეტრებზე სტანდარტული და სპეციალიზირებული დაკვირვების სისტემების შემენა და დანერგვა;</p> <p>შავი ზღვისა და მდინარეთა სანაპიროების დაცვა-რეაბილიტაცია სტიქიური ჰიდროგენიკური მოვლენებისგან;</p> <p>საშიში გეოლოგიური პროცესების პრევენცია და ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის განხორციელება;</p>
პროექტის აღწერა და მიზანი	<p>ატმოსფერული ჰიდროგენიკური მონიტორინგისათვის ავტომატური სადგურების ეტაპობრივი შეძენა;</p> <p>სანაპირო ზონების ინფრასტრუქტურის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, სანაპირო ზონებში მიმდინარე მორფოდინამიკურ პროცესებზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და რიგ შემთხვევაში აღნიშნული პროცესების გაუმჯობესების გზით;</p> <p>სანაპირო ზონის დაცვა ანთროპოგენული ფაქტორის მავნე ზემოქმედებისგან, სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა;</p> <p>ატმოსფერულ ჰიდროგენიკურ დაკვირვების ავტომატური სადგურების მონაცემების საშუალებით ჰაერის დაბინძურებაზე</p>

	<p>უწყვეტი დაკვირვება და ქალაქების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეალური სურათის მიღების უზრუნველყოფა;</p> <p>ამინდის პირობების მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარე დარგების - ავიაციისა და საზღვაო ფლოტის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ;</p> <p>მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების არსებული მდგომარეობის შეფასება და მომავალში მათი გამოყენების შესაძლებლობების დადგენა;</p> <p>საკომუნიკაციო, ტურისტული და რეკრეაციულის ინფრასტრუქტურის შენარჩუნება-განვითარების ხელშეწყობა;</p> <p>შავი ზღვის სანაპიროს განვითარების მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზის შემუშავება და ავარიული სიტუაციების თავიდან ასაცილებლად კონკრეტული პრევენციული ონბისმიერების დაგეგმვა;</p> <p>გაზრდილი მოსალოდნელი სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების პროგნოზების სიზუსტე და გამართლებადობა;</p> <p>შესაძლო სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული შერბილებული ეკონომიკური ზარალი;</p> <p>სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენებით გამოწვეული ადამიანთა შესაძლო მსხვერპლის გამოირიცხვა ან მინიმუმამდე დაყვანა;</p> <p>ამინდის პირობებისადმი მგრძნობიარე ეკონომიკის დარგების ეფექტურად მართვის ხელშეწყობის უზრუნველყოფა;</p> <p>რეკრეაციული დანიშნულებისა და ნაპირდაცვითი ფუნქციის მქონე პლაჟების მდგრადობის შენარჩუნება, რაც უზრუნველყოფს სანაპირო ზონის მიმდებარედ დასახლებული და ქალაქის განაშენებული სანაპირო ტერიტორიების წარეცხვისაგან დაცვას;</p> <p>ზღვის სანაპირო ზოლში ჭარბი აკუმულაციისა და მყარი ნატანის დეფიციტით შექმნილი ავარიული უბნების გამოვლენა, რაც უზრუნველყოფს წყალქვეშა ფერდის კრიტიკული გადატვირთვით გამოწვეული ნაპირების დამეწყვრა-ჩაქცევის პროცესების პრევენციას;</p> <p>ატმოსფერულ ჰაერზე დაკვირვების ავტომატური სადგურების მონაცემების საშუალებით ჰაერის დაბინძურებაზე უწყვეტი დაკვირვება და ქალაქების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების რეალური სურათის მიღების უზრუნველყოფა.</p>
--	--

**საბოლოო შედეგის
შეფასების
ინდიკატორები**

ბუნებრივი კატასტროფების შედეგების შემცირებული მასშტაბები ; შემცირებული მსხვერპლი და მატერიალური ზარალი ; ეკომიგრანტების შემცირებული რაოდენობა ; საერთაშორისო მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის სისტემა